№ 98 / 17 -23 ნოემბერი / 2011 ფასი 2 ლარი

ლიბერალი

მთავარი თემა:

სხოვრება ტყივილის ბარეშე

კომენტარი
მარკ მალენი
შექმენით საქართველოს სამხედრო ტოჩკესი
გვ. 12

რეპორტაჟი
ნაფის მსაჯულთა პირველი სასამართლო
გვ. 18

პოლიტიკა
"ენვეარის" N1 "ჯაშუშის" ბანაჩენი
გვ. 26

ეკონომიკა
ოთხმილიარდიანი საბარეო ვალი
გვ. 34

მიზანშია "ქართო ბანკი"

გვ. 22

ISSN 1987-7528

© Khatia Psuturi

ლიბერალი

№ 98 / 17 -23 ნოემბერი / 2011

მთავარი რედაქტორი
შორენა შავერდაშვილი

რედაქტორები
სოფო ბუკია
მაგდა მემანიშვილი

ჟურნალისტური გამოძიება
ნინო ზურიაშვილი

ვებგვერდის რედაქტორი
ნანა საჯაია

ჟურნალისტები:
მაია წიკლაური, ეკა ჭითანავა, თამარ ფარადაშვილი, ცირა გვასალია, მალხაზ ჭკადუა, ზურა ვარდიაშვილი, ანიტა თვაური, ანი ჭანკოტაძე, ლიკა ზაკაშვილი, თათია ხალიანი

კონტრიბუცია:
გიორგი ცხადაია, მარკ მალენი, მანანა ვარდიაშვილი, გოგი ცაგარელი, გიორგი მგელაძე, მარია ბესტაევა, დიანა ჩაჩუა, ანა დოლიძე, კახა თოლორდავა

რედაქცია:
ფოტო-რედაქტორი
ლევან ხერხეულიძე
გრაფიკული დიზაინი
თორნიკე ლორთქიფანიძე
რედაქტორ-სტილისტი პაატა შამუგია
კორექტორი თამარ ღონღაძე

გამომცემლობა:
დირექტორი
ქეთევან ბაბუნაშვილი
გაყიდვებისა და ბიზნესის განვითარების მენეჯერი
რუსუდან ბარათაშვილი
კლიენტთა მომსახურების და დისტრიბუციის მენეჯერი
ნათია რუსაძე
გაყიდვების მენეჯერები:
ლევან ჯაბუა, სოფო პაპუნაშვილი, ქეთევან ქავთარაძე, ქეთევან მეგრელიძე, ელენე ხარაზაშვილი, მარიამ მიქელაშვილი, ზურაბ ზანდარაშვილი, თინა ოსეფაშვილი

დისტრიბუტორი:
მიხეილ გედენიძე

ჟურნალის გამოწერის მსურველებმა
დარეკეთ: 2962311, 2910151 პრეს-ექსპრესი

www.liberali.ge

რედაქტორისგან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალის რედაქტორის სვეტს რომ არ ვწერდე, ბევრ რამეზე დავწერდი დიდი სიამოვნებით. მაგრამ ახლა, არც რედაქტორობა მინდა და არც საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების მიმოხილვა (ამისათვის იხილეთ „ლიბერალის“ წინამდებარე ნომერი), თუმცა გვერდს ცარიელს ვერ დავტოვებ, გაგიზიარებთ ერთ მინიატურას.

მებრძოლი მამალი
ჯუან-ძი

ქი სიაო-ძი საბრძოლველად წვრთნიდა თავადის მამალს.

ათი დღე რომ გავიდა, თავადი შეეკითხა:

„მზადაა ჩემი მამალი?“

„ჯერ არა. ძველებურად ყოყოჩობს და მხოლოდ ჩხუბზე უჭირავს თვალი“.

ათი დღის მერე თავადმა ისევ იკითხა თავისი მამლის ამბავი.

„ჯერ მზად არაა, ვინაიდან ბრაზი ერევა, სხვა მამლებს რომ დაინახავს, ან მათ ხმას რომ გაიგონებს ხოლმე“.

კიდევ ათი დღე რომ გავიდა, თავადმა ისევ მოიკითხა მამალი.

„მზად არაა, ვინაიდან თვალები სისხლითა აქვს სავსე და ბოღმისგან მთელი ტანი უცახცახებს“.

კიდევ ათი დღის შემდეგ თავადმა ისევ რომ მოიკითხა თავისი მამალი, ქი სიაო-ძიმ კმაყოფილებით უთხრა: „ახლა კი მზადაა, სხვა მამლებმა რამდენიც გინდა იყივლონ, ეს ყურსაც არ გაანძრევს. ერთი შეხედე, რა მშვენიერია – გეგონება ხისგანაა გამოთლილი. მის თვისებებს წუნი არ დაედება. უცხო მამლები ვერ გაბედავენ მასთან შებრძოლებას, როგორც კი დაინახავენ, შებრუნდებიან და გაიქცევიან“.

შორენა შავერდაშვილი

სხოვრება ტკივილის გარეშე

მედიცინაში უკვე არსებობს ცალკე მიმართულება, რომელიც „ტკივილის მართვის“ სახელითაა ცნობილი. საქართველოში ეს ტერმინი ათი წელია, რაც გაჩნდა. ქართველი ექიმების დიდმა ნაწილმა მხოლოდ თეორიულად იცის, როგორ გააყუჩოს ქრონიკული ტკივილი, სხვებს კი ამის შესახებ არც კი სმენიათ. ქრონიკულ ტკივილს სხვადასხვა მიზეზი აქვს – ბოლო სტადიის სიმსივნე, ართრიტი, დიაბეტური ნეიროპათია, ძვლების ანთება, ოსტეომიელიტი, ძვალ-კუნთოვანი სისტემის დაავადება, ფიბრომიალგია, ოსტეოქონდროზი და შაკიკიც კი.

ეკა ქითანავა
გვ.38

"ენვერის" N1 "ჯაშუშის" გასაჯაროებული განაჩენი

დოკუმენტაციის ნაწილის გაცნობით შეუძლებელია იმის დადგენა, მართლაც ჯაშუშია თუ არა ბაკურ კილურაძე, რომელიც „ენვერის“ წევრთა სიაში პირველ ნომრად მოხვდა. თუმცა, განაჩენი უამრავ კითხვას აჩენს, რასაც სახელმწიფო ბრალდებამ და სასამართლომ პასუხი არ თუ ვერ გასცა. სასამართლოს გადაწყვეტილებაში ვარაუდი უფრო მეტია, ვიდრე მტკიცებულებებით გამყარებული არგუმენტები. ეს პირველი განაჩენია, რომელიც „ენვერის“ საქმის ირგვლივ ჟურნალისტებისათვის ხელმისაწვდომი გახდა.

გიორგი მგელაძე
გვ.26

მიზანშია "ქართუ ბანკი"

საქართველოს ხელისუფლებას ახალი პოლიტიკური ოპონენტი ჰყავს. მოქალაქეობაჩამორთმეული მილიარდერის ბიზნესაქტივზე იერიშისთვის ხელისუფლებამ 4 წლის წინ აპრობირებული მეთოდი გამოიყენა.

ახალი პოლიტიკური ოპონენტის მიმართ ანგარიშსწორების საქმეში საქართველოს ხელისუფლებამ ძალიან იჩქარა და უხეში შეცდომაც დაუშვა. ქართველმა სამართალდამცავებმა მსოფლიოს წამყვანი ბანკების

ფოტო: ნოდარ ცაცანაშვილი / RFE/RL

მეშვეობით განხორციელებულ ფინანსურ ოპერაციას ფულის გათეთრების კვალიფიკაცია მისცეს. ამ ოპერაციაში მონაწილე ყველა მხარე ქართველმა სამართალდამცავებმა დანაშაულის თანამონაწილეებად აქციეს. მათ შორის „კომერც ბანკი“ და „დოიჩე ბანკიც“.

ზუსტად 4 წლის წინ საქართველოს ხელისუფლება ანალოგიური მიზეზით და ანალოგიური სქემით კამპანიას ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის კუთვნილი „სტანდარტ ბანკის“ წინააღმდეგ ახორციელებდა.

მანანა ვარდიაშვილი
გვ.22

ნაფიცი მსაჯულების პირველი სასამართლო

150 ადამიანზე გათვლილი დარბაზი სავსეა, თავისუფალი ადგილი არც ჟურნალისტებისთვის გამოყოფილ ლოჟაში მოიძებნება. გარეთ რჩება დარბაზში მოხვედრის უამრავი მსურველი. ასეთი განსაკუთრებული ინტერესის მიზეზი, მოსამართლის ხელმარჯვნივ, სპეციალურ განყოფილებაში მჯდომი 12 პიროვნებაა – ქართული სასამართლოს ისტორიაში პირველად, საქმეს ნაფიცი მსაჯულები განიხილავენ. პროცესის დაწყებამდე ისინი ფიცს დებენ:

„ვფიცავ, პატიოსნად და მიუკერძოებლად აღვასრულო ნაფიცი მსაჯულის მოვალეობა, გავითვალისწინო ყველა კანონიერი მტკიცებულება, გადაწყვეტილება მივიღო შინაგანი რწმენის საფუძველზე, როგორც შეეფერება სამართლიან ადამიანს“.

ზურაბ ვარდიაშვილის რეპორტაჟი
გვ.18

ფოტორეპორტაჟი

ხლინიჯა



ფოტო: გიორგი ცაგარელი

გიორგი ცაგარელის ფოტორეპორტაჟი
გვ.42–45

ასევე ნომერში:

04 მოკლედ
06 რიცხვები, ციტატები
08 **ორი აზრი**
უნდა ეხმაურებოდეს თუ არა პატრიარქი ქადაგებებში პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს?
ოთარ ზოიძე VS თათა ცოფურაშვილი
კომენტარი
10 რა უნდა მოსთხოვოს ოპოზიციონერმა ამომრჩეველმა ბიძინა ივანიშვილს?
გიორგი ცხადაია
12 შექმენით საქართველოს სამხედრო კორპუსი
მარკ მალენი
ინტერვიუ
14 „ივანიშვილის გამოჩენა ზემოდან ჩარევის, ხელოვნურობის იერს ატარებს“
ლელა გაფრინდაშვილი
კვლევა
28 საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სისტემა
კონფლიქტები
32 პუტინის ფსონი VS კოკოითის ამფსონი
ეკონომიკა
34 ოთხმილიარდიანი საგარეო ვალი
ლიბერალის ვებგვერდიდან
47 ხმამაღალი დუმილი
ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები
48 ბავშვებს! ბავშვებს!

გამომცემელი:
შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0183, ჟღენტის ქ. 35. ტელ.: (995 32) 2145002, 2145004. ელ-ფოსტა: info@liberali.ge

სხვა გამოცემები:
„ცხელი შოკოლადი“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“.
„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნანილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.
ბეჭდვა:
სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.
გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ხუთშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

ჟურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ მხარდაჭერით.

ავტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ღია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად,, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

ბრეივიკის პირველი საჯარო გამოსვლა

ანდერს ბერინგ ბრეივიკი, ადამიანი, რომელმაც 2011 წლის ივლისში ნორვეგიაში 77 ადამიანის მკვლელობა აღიარა, პირველად საჯაროდ გამოჩნდა სასამართლოს წინაშე.

პროცესს 14 ნოემბერს ოსლოს სასამართლოს დარბაზში 120 ადამიანი ესწრებოდა, სხვები კი ვიდეოხიდის საშუალებით სასამართლოს რამდენიმე ოთახიდან ადევნებდნენ თვალს. „ბიბისი“-ს ცნობით, სასამართლო დარბაზში დაძაბული ატმოსფერო იყო. ბრალდებული ანდერს ბრეივიკი მშვიდად გამოიყურებოდა. მან წინა განხილვების მსგავსად თავდასხმა აღიარა, მაგრამ ტერორიზმის ბრალდება უარყო. დაღუპულთა ოჯახების წევრების, თავდასხმისას გადარჩენილებისა და ჟურნალისტების წინაშე ბრეივიკმა გაიმეორა, რომ თავს უდანაშაულოდ თვლის. ბრალდებულის თქმით, ადამიანების ხოცვა-ჟლეტით მან ნორვეგია და ევროპა ისლამისტებისა და მულტიკულტურალიზმისგან იხსნა.

„მე ნორვეგიის წინააღმდეგობის მოძრაობის სამხედრო მეთაური ვარ“, – განაცხადა ბრეივიკმა. მან სასამართლოს ლეგიტიმურობა ეჭვქვეშ დააყენა.

32 წლის მემარჯვენე ექსტრემისტი მას შემდეგ დააპატიმრეს, რაც 22 ივლისს ოსლოში მთავრობის სახლთან აფეთქება მოაწყო და შემდეგ ახალგაზრდულ ბანაკს კუნძულ უტოიაზე თავს დაესხა. სულ დაიღუპა 77 ადამიანი და დაშავდა 151 ადამიანი. ბრეივიკის მორიგი სასამართლო პროცესი 16 აპრილს დაინიშნა, რადგან ბრალდებულის ფსიქიატრიული შემოწმება ჯერ არ დასრულებულა.

მარიო მონტი - იტალიის ახალი პრემიერი

სილვიო ბერლუსკონიმ იტალიის პრემიერ-მინისტრის თანამდებობა დატოვა. განცხადება გადადგომის შესახებ მან 12 ნოემბერს დაწერა. იტალიის პრეზიდენტმა ჯორჯო ნაპოლიტანომ კი ხელი დოკუმენტს მეორე დღეს, ბერლუსკონისთან შეხვედრის შემდეგ მოაწერა. ბერლუსკონიმ იტალიის საკანონმდებლო ორგანოში 8 ნოემბერს გამართულ კენჭისყრაზე უმრავლესობის მხარდაჭერა ვერ მიიღო. გადადგომის შესახებ განცხადება კი მას შემდეგ დაწერა, რაც პარლამენტმა ევროპელი პარტნიორების მხრიდან მოთხოვნილი ეკონომიკური გეგმა დაამტკიცა. ამ დოკუმენტის მიხედვით, იტალიის ფინანსური პრობლემები უნდა გამოსწორდეს და ქვეყნის ეკონომიკას უნდა დაუბრუნდეს ნდობა საერთაშორისო ბაზრებზე.

პრეზიდენტ ნაპოლიტანოსა და საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლების მოლაპარაკებების შემდეგ გადაწყდა, რომ იტალიის მთავრობას ევროპის კავშირის ყოფილი კომისარი, მარიო მონტი უხელმძღვანელებს. ახალ პრემიერს სამთავრობო კაბინეტი ჯერ არ დაუკომპლექტებია. მისი ამოცანაა იტალიის პარლამენტის მხარდაჭერის მოპოვება და ქვეყნის ფინანსური კრიზისის დაძლევა.

მარიო მონტის პრემიერ-მინისტრად დანიშვნას მიესალმნენ ევროკავშირის ლიდერები. ბერლუსკონის ცენტრისტულ-მემარჯვენე პარტიაში აცხადებენ, რომ ახალ მთავრობას იმ შემთხვევაში დაუჭერენ მხარს, თუკი მისი გეგმა ბერლუსკონის მიერ ევროპელი პარტნიორებისათვის მიცემულ დაპირებებს უპასუხებს და მთავრობაში არ აღმოჩნდებიან ცენტრისტულ-მემარჯვენე პარტიასთან დაპირისპირებული პირები.



საბერძნეთის ახალი მთავრობა გამოსავალს ეძებს

საბერძნეთის ახალი პრემიერ-მინისტრი ევროპის ცენტრალური ბანკის ყოფილი ვიცე პრეზიდენტი, ლუკას პაპადემოსი იქნება. ყოფილმა პრემიერმა გეორგიოს პაპანდრეუსმა თანამდებობა გასულ კვირას ქვეყანაში შექმნილი ფინანსური პრობლემების გამო დატოვა.

ლუკას პაპადემოსმა დროებითი მთავრობა უნდა შექმნას და ევროკავშირიდან კრედიტის მისაღებად უკვე შეთანხმებული ზომების გატარება შეძლოს. თუ პაპადემოსი კრიზისის დაძლევას ვერ მოახერხებს, საბერძნეთი გაკოტრდება – ქვეყანა დახმარების გარეშე ფინანსურ რესურსებს ამოწურავს და შესაძლოა ევროზონაც დაატოვებინონ.

ევროკავშირისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდი საბერძნეთს დახმარების სახით 130 მილიარდ ევროს სთავაზობს. გარდა ამისა, ათენს ვალების 50 პროცენტი უნდა ჩამოაწერონ. ამ დახმარებას საბერძნეთი მხოლოდ მაშინ მიიღებს, თუ ქვეყნის მთავრობა მომჭირნეობის პროექტს განახორციელებს. პროექტის მიხედვით, საჯარო სამსახურებში თანამშრომლების, პენსიებისა და სოციალური დახმარებების შემცირება იგეგმება. პროექტის განხორციელებას საბერძნეთის მოსახლეობა ეწინააღმდეგება.

ტიმოშენკოს საერთაშორისო სასამართლოს იმედი აქვს

უკრაინის ყოფილი პრემიერ-მინისტრი იულია ტიმოშენკო თავის დაცვას საერთაშორისო სასამართლოებში გეგმავს. ამის შესახებ განცხადება ტიმოშენკოს ადვოკატმა სერგეი ვლასენკომ გააკეთა. მისი თქმით, უკრაინის ყოფილი პრემიერი უკრაინის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებას ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში გეგმავს.

გასულ თვეში უკრაინის სასამართლომ ტიმოშენკოს 7 წლით თავისუფლე-



ბის აღკვეთა მიუსაჯა. ის დამნაშავედ ცნეს პრემიერ-მინისტრობის პერიოდში უფლებამოსილებების გადამეტებაში. მას რუსეთიდან გაზის იმპორტის კონტრაქტზე ხელმოწერით სახელმწიფოს ქონების გაფლანგვა ბრალდება. პროკურატურის მტკიცებით, ტიმოშენკომ უკრაინის ბიუჯეტი დაახლოებით 405 მილიონი დოლარით აზარალა. სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ ტიმოშენკოს ახალი ბრალდებები წაუყენეს. მას ამჯერად ფულის მითვისებასა და გადასახადების გადაუხდელობაში ადანაშაულებენ.

ყოფილი პრემიერ-მინისტრი სასამართლოს გადაწყვეტილებას და მის წინააღმდეგ ბრალდებებს „პოლიტიკურს“ უწოდებს.

(UNESCO)-ს ფინანსური ჯობლემები აქვს

გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციამ (UNESCO) გაავრცელა ინფორმაცია, რომ წლის ბოლომდე ახალი პროგრამების დაფინანსებას წყვეტს. ამის შესახებ განცხადება ორგანიზაციის გენერალურმა დირექტორმა ირინა ბოკოვამაც გააკეთა. მისი თქმით, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ისრაელმა უარი განაცხადეს ორგანიზაციის ფონდის დაფინანსებაზე, რის გამოც ორგანიზაციას 65 მილიონი დოლარი დაეკლდა. ოფიციალური ინფორმაციით, ფინანსების ნაკლებობა ახალ პროგრამებზე, თანამშრომელთა მივლინებებზე და კომუნიკაციის ხარჯებზე უარყოფითად იმოქმედებს.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ისრაელმა ორგანიზაციის დაფინანსებაზე უარი გასულ თვეში განაცხადეს. რის მიზეზადაც გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციაში პალესტინის ნამდვილ წევრად მიღება დაასახელეს.

ნიუ-იორკში "დაიკავე უოლ სტრიტის" 70 წევრი დააპატიმრეს

ნიუ-იორკის პოლიციამ „დაიკავე უოლ სტრიტის“ საპროტესტო აქციის მონაწილეების ბანაკი დაშალა. მოძრაობის წევრები Zuccotti Park-ის ტერიტორიაზე იყვნენ დაბანაკებული. პოლიციამ მათი გაყრა და კარვების აღება 15 ნოემბერს ღამით დაიწყო. დააპატიმრეს 70 ადამიანი.

პოლიციამ აქციის მონაწილეებს მოედნის დატოვების ვადა ღამის პირველ საათამდე მისცა. თუმცა სამართალდამცავების ეს მოთხოვნა არ შესრულდა. „დაიკავე უოლ სტრიტის“ წევრებს დაურიგეს ფურცლები, სადაც ეწერა: „დაუყოვნებლივ აიღეთ ყველა პირადი ნივთი! წინააღმდეგ შემთხვევაში, ნებისმიერი საკუთრება, რასაც ნიუ-იორკის დასუფთავების სამსახურის თანამშრომლები შეკრების ადგილზე იპოვნიან, საწყობში მოთავსდება და აქციის მონაწილეებს აღარ შეეძლებათ მისი უკან დაბრუნება“. აქციის მონაწილეები გააფრთხილეს, რომ ოპერაციაში ჩარევის შემთხვევაში დააპატიმრებდნენ. პოლიციის განცხადებით, ქალაქში საპროტესტო აქციების გაგრძელება საფრთხეს უქმნიდა ჯანმრთელობას და ქმნიდა ხანძარსაშიშ სიტუაციას. ქალაქის მერის, მაიკლ ბლუმბერგის ადმინისტრაციამ ტვიტერზე დაწერა, რომ აქციის მონაწილეებს შეუძლიათ ისევ უკან დაბრუნდნენ კარვებისა და საძილე ტომრების გარეშე მას შემდეგ, რაც Zuccotti Park-ი გაიწმინდება.

პარკის ტერიტორია ოპერაციის დროს დაიხურა და ჟურნალისტებს შესვლა აუკრძალეს. აქციის ზოგიერთი მონაწილის თქმით, პოლიციამ ცრემლსადენი გაზი და გადაჭარბებული ძალა გამოიყენა. პოლიციის სპიკერის პოლ ბრაუნის განცხადებით, აქციის მონაწილეების უმეტესობამ ტერიტორია მოწოდებისთანავე დატოვა და მხოლოდ პატარა ჯგუფმა განაცხადა უარი პარკის დატოვებაზე.

რიცხვები, ციტატები

2 მილიარდ დოლარად ბიძინა ივანიშვილი მისი კუთვნილი რუსული აქტივების გაყიდვას ცდილობს.

15–17 დეკემბერს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მინისტერიალზე რუსეთს ორგანიზაციის წევრად დაამტკიცებენ.

19 მილიონ ევროს გამოყოფს ევროკავშირი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ეკონომიკური ზრდისთვის მომდევნო 3 წლის მანძილზე.

14 ნოემბერს დიაბეტთან ბრძოლის საერთაშორისო დღე აღინიშნა

27 ადამიანი გარდაიცვალა თეირანის დასავლეთით მდებარე სამხედრო ბაზაში მომხდარი აფეთქებისას.

700 000-ზე მეტი ტაჯიკი ჩადის რუსეთში სამუშაოდ ყოველწლიურად.

100-მდე უკანონო მიგრანტი ტაჯიკის დეპორტაციას გეგმავს რუსეთი.

190-მდე გაიზარდა საქართველოს პარლამენტის წევრთა რაოდენობა.

750 მილიონი მგზავრი გადაიყვანეს ევროპულმა ავიაკომპანიებმა 2010 წელს.

600 ათასი მგზავრი გადაიყვანეს ქართულმა ავიაკომპანიებმა 2010 წელს.

„ქალი პრეზიდენტი გამორიცხულია! ჩვენთან ქალებს არავინ აკნინებს. ჩვენს საზოგადოებაში ქალებს ძალიან კარგად ექცევიან, პატივისცემით, მაგრამ კავკასია მაინც კავკასიაა“.

ედუარდ კოკოითი, სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო პრეზიდენტი

„ჩვენი ახალი კონსტიტუციით პრეზიდენტი მნიშვნელოვან ძალაუფლებას ინარჩუნებს და პრემიერ-მინისტრიც მნიშვნელოვანია, მაგრამ მთლიანად დამოკიდებულია პარლამენტზე. ეს არც თუ ისე საინტერესო თანამდებობაა იმ ადამიანისთვის, რომელიც ამჟამად პრეზიდენტია“.

მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს პრეზიდენტი

„[ახალგაზრდებმა] ისეთივე შემართება უნდა გამოიჩინოთ, როგორც თქვენმა თანატოლებმა 8 წლის წინ, რათა საბოლოო მიზნებს მიაღწიოთ... ილია ჭავჭავაძე იყო საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის და თავისუფლების სიმბოლო. მისი „მგზავრის წერილები“ 150 წლის წინ დაიწერა, მაგრამ ის იდეები დღეს ისევე მნიშვნელოვანია, როგორც მაშინ იყო“.

ანდერს ფოგ რასმუსენი, ჩრდილო-ატლანტიკური საბჭოს გენერალური მდივანი

„დღეს ბევრი ლაპარაკია იმის შესახებ, ბიძინა ივანიშვილი იყოს თუ არა საქართველოს მოქალაქე. რა თქმა უნდა, უნდა იყოს, იმიტომ, რომ ის ქართველია“.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე

„როგორც შიში გატყდა, ისე გატყდება სააკაშვილის ხელისუფლება და მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე ისეთი ხალხი მოვა, რომლებიც რეალურად დაიწყებენ ხალხის პრობლემების გადაწყვეტას“.

ირაკლი ალასანია, „თავისუფალი დემოკრატების“ ხელმძღვანელი

„ჩვენ არ გვჭირდება ატომური ბომბი. ირანელი ხალხი ბრძენია. ის არ შექმნის ორ ატომურ ბომბს მაშინ, როცა თქვენ გაქვთ 20 000 საბრძოლო ქობინა. ეს ერი შექმნის იმას, რასაც თქვენ თავს ვერ გაართმევთ – ზნეობრიობას“.

მაჰმუდ აჰმადინეჟადი, ირანის პრეზიდენტი

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank
Georgia

ანაბრების აქცია!

+1,5%

USD / EUR

ვადიან და მოქნილ ანაბარზე

აირჩიე ბანკი, რომელსაც ენდობი

ფოტო: ეთერ ბარიქიშვილი

უნდა ეხმაურებოდეს ქადაგებებში პოლიტიკ

ოთარ ზოიძე
ნოტარიუსი



დიახ

საკითხს აქვს ორი ასპექტი – სამართლებრივი და რელიგიური.

1) სამართლებრივი ასპექტი

საქართველოში არ მოქმედებს ისეთი აქტი, რომელიც 1992 წლამდე მოქმედებდა მექსიკაში და რომლის შესაბამისად, სასულიერო პირებს აკრძალული ჰქონდათ საჯარო და კერძო შეკრებებზე, რელიგიურ და არარელიგიურ ქადაგებებში ქვეყნის ძირითადი კანონების, ხელისუფლების კრიტიკა...

ეკლესიისა და სახელმწიფოს ინსტიტუციური გამიჯნულობა ეკლესიას იცავს სახელმწიფოს ჩარევისაგან (საქ. კონსტ. მე-9 მ.): „1. სახელმწიფო ... აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის ... დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან.“ მაგრამ ინსტიტუციური სეკულარიზმი არ იცავს სახელმწიფოს ნებისმიერი კონფესიის (სასულიერო პირის) ზემოქმედებისაგან: „1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით.“ (კონსტ. 24-ე მ.) ჩამოთვლილი უფლებებით სარგებლობენ კონფესიური ინსტიტუტებიც (იხ. კონსტ. 45-ე მ.).

შესაბამისად, ეკლესიასა და სხვა ნებისმიერ კონფესიას აქვს შეუზღუდავი კონსტიტუციური უფლება, სახელმწიფოზე/ხელისუფლებაზე იმოქმედოს ლეგალური ფორმით, მათ შორის, ქადაგებით (ანუ აზრის ზეპირი, ან წერილობითი გამოხატვით).

2) რელიგიური ასპექტი

ეკლესია აღიარებს ინსტიტუციურ სეკულარიზმს (სახელმწიფოსაგან ინსტიტუციურ გამიჯნულობას), მაგრამ იგი ვერ მიიღებს მე-20 საუკუნის უდიდეს ერესად მიჩნეულ სეკულარისტულ მსოფლმხედველობას და თავის თავს ვერ განდევნის საჯარო სივრციდან, ღმრთისაგან თავისუფალ სივრცედ ვერ აღიარებს ოჯახს, აღზრდას, განათლებას, პოლიტიკას, ცხოვრების ვერცერთ სფეროს, რომელშიც უხდება ადამიანს ყოველდღიური ყოფნა და რომელიც არის ხსნის, ან დაღუპვის სივრცე. ლოცვისას ქრისტიანი უფალს ევედრება, იყოს ღმრთის ნება არა მხოლოდ „ცათა შინა“, არამედ „ქვეყანასა ზედაც“. შესაბამისად, ეკლესია ქრისტეს სწავლებით შეაფასებს ყველაფერს, რაც ეხება ღვთის ხატად და მსგავსად შექმნილ ადამიანს მისი მოღვაწეობის ნებისმიერ სფეროში.

წმ. იოანე ოქროპირს (IV-V სს.) დევნიდნენ არა აღმსარებლობის, არამედ საიმპერატორო კარის უკეთურებათა მხილების გამო. წმ. ამბროსი ხელაიაც (მე-20 ს.) პოლიტიკური პროცესის (საქართველოს ოკუპაციის) შეფასებისათვის გაასამართლეს. კაცობრიობისა და „ამა სოფლად“ ეკლესიის მყოფობის ისტორია არ დასრულებულა...

საქართველოს პატრიარქი ილია II

... თუ არა პატრიარქი ... ბადანყვეტილებებს?

არა

თათა ცოფურაშვილი
ფილოსოფიის დოქტორი

თუკი საქართველოს აქვს პრეტენზია, იყოს თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფო და ინტეგრირდეს ცივილიზებულ სამყაროში, აღიარებული უნდა იყოს ლიბერალური დემოკრატიის პრინციპები, რაც ერთ-ერთ აუცილებელ პირობად სახელმწიფოს სეკულარულობას გულისხმობს.

სახელმწიფოს სეკულარულობა ნიშნავს სეკულარიზმის პრინციპების აღიარებას, რაც, ერთი მხრივ, გულისხმობს რელიგიისა და სახელმწიფოს ერთმანეთისაგან გამიჯვნის მსოფლმხედველობრივ პროცესს, ხოლო, მეორე მხრივ, არის კონკრეტული პროცესი, რომელიც სამოქალაქო ძალაუფლებას რელიგიური ინსტიტუციებისგან პრაქტიკულად მიჯნავს.

საქართველოში სეკულარიზირების პროცესის შეუმდგარობა, ანუ მოსახლეობის მიერ მსოფლმხედველობრივ დონეზე იმის გააზრება, რომ დემოკრატიული საზოგადოების ქვაკუთხედი საეკლესიო და სამოქალაქო ძალაუფლების გამიჯვნაა, ბადებს სწორედ ისეთ პოლიტიკურ კოლიზიებს, რომლის მომსწრეც პატრიარქის უკანასკნელი განცხადებით ვხდებით.

პატრიარქის მოწოდება იმის შესახებ, რომ ბიძინა ივანიშვილს დაუბრუნდეს საქართველოს მოქალაქეობა და ასევე, საზღვარგარეთ მცხოვრებ ყველა ეთნიკურ ქართველს მიეცეს მოქალაქეობა, მოცემულ მომენტში არის მოწოდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის დარღვევის ან შეცვლისაკენ, რადგან საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ განსაზღვრავს: „საქართველოს მოქალაქე იმავდროულად არ შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქე, გარდა საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევისა.“ (თავი პირველი, მუხლი 1, 2)

პატრიარქის განცხადება, ამ შემთხვევაში, ცალსახად გულისხმობს მოწოდებას კანონით გათვალისწინებული „გამონაკლისი შემთხვევის“ დაშვებისაკენ ყველა ეთნიკური ქართველისათვის. „გამონაკლისი შემთხვევა“, თუკი ის ყველას ეხება, უკვე აღარ არის გამონაკლისი, არამედ კანონი. შესაბამისად, პატრიარქის მოწოდება ცალსახად გულისხმობს მოქმედი კანონმდებლობის შეცვლისკენ მოწოდებას, რაც სახელმწიფოს საერო ცხოვრების მარეგულირებელ კანონმდებლობაში პირდაპირი ჩარევაა და ეწინააღმდეგება დემოკრატიულობისა და სეკულარულობის პრინციპებს.

ვიდრე საქართველოში არ დაიწყება სეკულარიზირების, როგორც რელიგიისა და სახელმწიფოს გამიჯვნის, მსოფლმხედველობრივი პროცესი, დემოკრატიული არჩევნების გზით გამარჯვების მოსურნე პოლიტიკური ძალები იქნებიან ეკლესიის მძევლები, და ეს პროცესი საქართველოში მანამ იქნება შეუქცევადი, სანამ ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობის სამოქალაქო განათლებას არ მიეცემა ქვეყნის განვითარებისთვის პრიორიტეტული მნიშვნელობა.

ხა უნდა მოსთხოვოს ოპოზიციონერმა ამომრჩეველმა ბიძინა ივანიშვილს?

გიორგი ცხადაია
ილიას უნივერსიტეტის პოლიტიკური მეცნიერების მაგისტრანტი



თუ ვინმეს საქართველოში დემოკრატიის განვითარება სურს, მაშინ შესაფერისი მაგალითი თავად უნდა გვანახოს და აბსტრაქტული დაპირებების ნაცვლად, კონკრეტულ ნაბიჯებზე გვესაუბროს.

ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკურ არენაზე გამოჩენის პირველი დღიდან მთავარ აქცენტს დემოკრატიის განვითარებაზე აკეთებს. რა თქმა უნდა, წინასწარ შეუძლებელია იმის თქმა, თუ რამდენად რეალისტურია მისი დაპირებები. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ ურთიერთობას დაამყარებენ პოლიტიკური მოთამაშეები ერთმანეთთან და როგორ განვითარდება მოვლენები. ერთადერთი მექანიზმი, რაც ამომრჩევლებს პოლიტიკოსების განზრახვების შესამოწმებლად გააჩნიათ, პოლიტიკური პროგრამის მოთხოვნაა.

სამწუხაროდ, ქართული პოლიტიკური პარტიები არჩევნებზე მხოლოდ ბუნდოვანი დაპირებებით შემოიფარგლებიან და კონკრეტულ ნაბიჯებზე თითქმის არასდროს საუბრობენ. დროა, ეს მანკიერი ჩვევა დავივიწყოთ და პოლიტიკური დისკუსია უფრო მეტად სამართლიანი და ეფექტიანი გავხადოთ.

ოპოზიციონერმა ამომრჩეველმა უნდა იცოდეს, თუ რა კონკრეტული მექანიზმებით აპირებს ივანიშვილი სისტემის დემოკრატიულობის უზრუნველყოფას. მოგეხსენებათ, რომ დემოკრატიას ერთი პოლიტიკური მოთამაშე ვერ დაამყარებს; დემოკრატია გულისხმობს სამართლიანი თამაშის წესების შემოღებას სხვადასხვა მოთამაშეს შორის. მას შემდეგ, რაც პარტია ხელისუფლებაში მოვა, მის ლიდერებს ხშირად წინასაარჩევნო დაპირებები ავიწყდებათ და ოპონენტების შევიწროებას იწყებენ.

პირველ რიგში, ყურადღება საარჩევნო კოდექსზე უნდა გავამახვილოთ. დღევანდელი საარჩევნო კოდექსი მაჟორიტარობის კანდიდატებს საშუალებას აძლევს, რომ მხოლოდ 30 %-იანი ბარიერის გადალახვით გაიმარჯვონ. ეს იმას ნიშნავს, რომ რომელიმე კანდიდატის წინააღმდეგ შესაძლოა იმაზე მეტმა ამომრჩეველმა მისცეს ხმა, ვიდრე მის სასარგებლოდ, და ამის მიუხედავად, არჩევნებში მაინც მოცემულმა კანდიდატმა გაიმარჯვოს. ეს საარჩევნო კანონის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ჩავარდნაა, რომელიც ქართველი ელექტორატის ინტერესებს აზიანებს. ამას გარდა, სერიოზული პრობლემებია ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების, საარჩევნო სიების და წინასაარჩევნო დაფინანსების კუთხით.

მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემა, უკავშირდება საგადასახადო კოდექსს, რომელიც ბევრი დამკვირვებლის აზრით, პოლიტიკური რეკეტის მექანიზმად იქცა. 2010 წლის მაისში „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ გამოაქვეყნა კვლევა სახელწოდებით „საქართველოს საგადასახადო სისტემის მიმოხილვა“, რომელშიც აღნიშნულია: „იმის გამო, რომ საქართველოში არსებობს გადასახადების გადახდის სუსტი კულტურული მემკვიდრეობა და ბიზნესის წარმოების ისეთი რეალობა, სადაც ფინანსური განათლება არცთუ ისე ადვილი ხელმისაწვდომია, აუდიტორების გასაგზავნად „საბაბის გამოძებნა ყოველთვის შეიძლება“. როგორც თბილისში ერთმა ბიზნესკონსულტანტმა აღნიშნა, „საქართველოში ყველა ბიზნესს აქვს ნაკლი, მაგრამ საგადასახადო ორგანოს მიკროსკოპის ქვეშ მხოლოდ რამდენიმე კარგად შერჩეული კომპანია ხვდება“.

ქართული ბიზნესი ამგვარი ზეწოლისგან დაცული უნდა იყოს და ამისათვის საგადასახადო კოდექსში ისეთი გარანტიების ჩადებაა საჭირო, რომელიც ბიზნესმენებს საშუალებას მისცემს, უფრო ეფექტიანად მოაწესრიგონ თავიანთი ბუღალტერია და „შერჩევითი სამართლის“ მსხვერპლი არ გახდნენ.

მესამე პრობლემური თემა სასამართლო სისტემაა. დღეს ბევრი მიიჩნევს, რომ სასამართლო რეალურად დამოუკიდებელი არ არის და მას მთავრობა ირიბად აკონტროლებს. 2010 წელს „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ გამოაქვეყნა კვლევა, სახელწოდებით „მართლმსაჯულება საქართველოში“. კვლევაში მითითებულია ის შეზღუდვები, რომლებიც მოსამართლეთა დამოუკიდებლობას ხელს უშლის:

„ცალკეული მოსამართლეები მითითებებს ყოველ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით სასამართლოს თავმჯდომარისგან ტრადიციულ შეხვედრებზე, ანუ მოსმენებზე იღებენ. ამ მითითებების დაუმორჩილებლობის შემთხვევებში კი, პროცესში ისეთი მექანიზმები ერთვება, როგორიცაა მოსამართლისთვის სხვა სასამართლოში უფლებამოსილების დაკისრება, ანუ შესაძლოა თბილისის საქალაქო სასამართლოს ურჩი მოსამართლე სრულიად უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად განუსაზღვრელი ვადით გადაის-

როლონ ყველაზე შორეულ რეგიონულ სასამართლოში. აქვე ერთვება შრომის ანაზღაურების სუბიექტური გარემოებები, დისციპლინური პასუხისმგებლობები შინაგანაწესის დარღვევისათვის და თვით სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობაც კი“.

გამოდის, რომ მოსამართლეთა დამოუკიდებლობის მთავარი შემზღუდველი თავად სასამართლო ხელისუფლების შიგნით არსებული „ელიტური“ მოსამართლეების კასტაა (რომლებიც, სავარაუდოდ, ხელისუფლებასთან არიან შეკრულები). ერთი სიტყვით, ამ სფეროში ძირეული რეფორმების განხორციელებაა საჭირო, რომელთა კონკრეტული კონტურები ქართულმა პოლიტიკურმა პარტიებმა უახლოეს მომავალში უნდა შემოგვთავაზონ.

ფოტო: ლევან ხერხეულიძე

ოპოზიციონერმა ამომრჩეველმა უნდა იცოდეს, თუ რა კონკრეტული მექანიზმებით აპირებს ივანიშვილი სისტემის დემოკრატიულობის უზრუნველყოფას. მოგეხსენებათ, რომ დემოკრატიას ერთი პოლიტიკური მოთამაშე ვერ დაამყარებს.

მეოთხე მნიშვნელოვანი თემა მედიის დამოუკიდებლობაა. აუცილებლად გარანტირებული უნდა იყოს არა მხოლოდ ოპოზიციური ტელეარხების დამოუკიდებლობა, არამედ „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ მართული ტელეკომპანიების ხელშეუხებლობაც. თუ ივანიშვილი ხელისუფლებაში მოსვლას გეგმავს, მაშინ მან უნდა დადოს იმის პირობა, რომ „ნაცმოძრაობის“ სატელიტ ტელეკომპანიებზე პოლიტიკური შურისძიება არ განხორციელდება.

ამას გარდა, უნდა გაუმჯობესდეს „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სისტემაც. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და ოპოზიციურმა პარტიებმა უნდა შემოგვთავაზონ ხედვა, თუ როგორ აპირებენ მაუწყებლის მუშაობის გაუმჯობესებას. საჭიროა, ისეთი მექანიზმების შემუშავება, რომლებიც სარედაქციო დამოუკიდებლობას უზრუნველყოფს და ხელს შეუწყობს ჟურნალისტური სტანდარტების ამაღლებას.

ასევე, მნიშვნელოვანია ისიც, თუ რა ბედი ეწევათ საშუალო რგოლის მოხელეებს. თუ ხელისუფლების ყველა ცვლილების შემდეგ საშუალო დონის ბიუროკრატია შეიცვლება, მაშინ შეუძლებელი გახდება ეფექტიანი საჯარო პოლიტიკის წარმოება.

საჯარო მოხელეებს უნდა მიეცეთ პროფესიული განვითარების საშუალება და ამავე დროს, უნდა შენარჩუნდეს კორუფციისგან დაცვის ის მექანიზმები, რომლებიც ახლანდელმა ხელისუფლებამ ნაწილობრივ უკვე აამოქმედა (კორუფციის დონის შემცირებას საჯარო სექტორში ყველა საერთაშორისო დამკვირვებელი აღნიშნავს).

მნიშვნელოვანია გარანტიების მიცემა თავად „ნაციონალური მოძრაობისთვისაც“. თუ ივანიშვილი ხელისუფლებაში მოვა და ამას შედეგად „ნაციონალური მოძრაობის“ შევიწროება მოჰყვება, მაშინ დემოკრატიაზე საუბარიც ფუჭად ჩაივლის. გარკვეულ დონეზე, უზრუნველყოფილი უნდა იყოს „ნაციონალური მოძრაობის“ და მისი დამფინანსებლების (მათი, ვინც პარტიას თავიანთი მოსაზრებებით და არა ზეწოლის შედეგად აფინანსებენ) უსაფრთხოება.

და ბოლოს, პოლიტიკური და ეკონომიკური თავისუფლების უზრუნველყოფაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია იმის გაგება, თუ რაში და როგორ დაიხარჯება გადასახადების გადამხდელებისგან აკრეფილი ფული. როგორც ადრე არაერთხელ აღგვინიშნავს, აუცილებლად უნდა დაისახოს ჯანდაცვის და სოციალური დახმარების, განათლების, გარემოს დაცვის, სოფლის მეურნეობის, ტურიზმის და ა.შ. სექტორების განვითარების კონკრეტული გეგმები.

დროა, რომ ოპოზიციური პარტიები და პოლიტიკოსები შევაფასოთ არა ხელისუფლების ლანძღვა-გინებით, არამედ იმ კონკრეტული ნაბიჯებით, რომლის გადადგმასაც ისინი სიტუაციის გამოსასწორებლად აპირებენ. თავის მხრივ, „ნაციონალურ მოძრაობასაც“ უნდა დარჩეს კონტრარგუმენტებისთვის საკმარისი სივრცე და შესაძლებლობა, რომ სამართლიანი პოლიტიკური თამაშის წესებით იმოქმედოს და ამომრჩევლების მხარდაჭერა მოიპოვოს.

თუ ვინმეს საქართველოში დემოკრატიის განვითარება სურს, მაშინ შესაფერისი მაგალითი თავად უნდა გვანახოს და აბსტრაქტული დაპირებების ნაცვლად, კონკრეტულ ნაბიჯებზე გვესაუბროს.

შეიმენით საქართველოს სამხედრო ჯოხპესი

მარკ მალენი

ქართული ჯარის წვრთნები

ფოტო: ბოგდან ბუსკინი

საქართველოში სამხედრო სამსახურში გაწვევის ქაოტური სისტემა არსებობს და ის რეფორმირებას საჭიროებს. ეს ქვეყანას მხოლოდ სასიკეთო ცვლილებებს მოუტანს.

კარგად ორგანიზებული ეროვნული სამხედრო სამსახური გაწვრთნილი ჯარის საწინდარია, რომელიც პოტენციური დამპყრობლის შემაკავებლად უნდა იქცეს. ეს ეროვნული ინტეგრაციის მექანიზმი უნდა იყოს, სადაც განსხვავებული გამოცდილების და დემოგრაფიული წარმომავლობის ახალგაზრდა მოქალაქეებს ინტერაქციის, ურთიერთპატივისცემის გაჩენისა და დამეგობრების შესაძლებლობა მიეცემათ. გამართული ეროვნული სამხედრო სამსახური, მონაწილეების გარდა, ზოგადად ქვეყნისთვის იქნება სასარგებლო. ეს თავშესაქცევი თუ არა, საინტერესო მაინც უნდა იყოს როგორც მასში ჩართული ინდივიდებისთვის, ისე დამსაქმებლებისთვისაც. მეტიც, ეს ეროვნული დიალოგის მნიშვნელოვან ნაწილად უნდა იქცეს. ამ საკითხისადმი მიდგომის შესაცვლელად, ყველა წარმოქმნილ კითხვასთან დაკავშირებით (რატომ და როგორ) დისკუსია და კონსენსუსია საჭირო. ეს პროცესი სამართლიანობის, მიუკერძოებლობის და ასევე იმის მაჩვენებლად უნდა იქცეს, რომ კანონის წინაშე ყველა თანაბარია.

დღეს არსებული სისტემა არცერთ ზემოთ ჩამოთვლილ პრინციპს არ ემსახურება. საქართველოს ახალწვეულები და რეზერვისტები ნაკლებად შეიძლება ჩაითვალონ პოტენციური დამპყრობლის შემაკავებელ ძალად. საქართველოს ერთადერთი პოტენციური დამპყრობელი ჰყავს – რუსეთი. დაპირისპირების შემთხვევაში სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში, ან მათ მახლობლად, მეზობელი ქვეყნის სამხედრო ძალასთან გამკლა-

ვება შინაგან ჯარებს მოუწევთ. არმიის მთავარი მიზანი ის უნდა იყოს, რომ „ნატოს“ სტანდარტებს მიუახლოვდეს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგისთვის ასი ათასი გაწვრთნილი სამხედრო მოსამსახურე ძალიან მიმზიდველად ჟღერს, სინამდვილეში, ეს ნაკლებად სასარგებლოა, თავად წვრთნები კი – საკმაოდ საეჭვო. რუსეთს და „ნატოს“ კარგად მოეხსენებათ, რომ ისინი, სამხედრო სარგებლიანობის თვალსაზრისით, სათანადოდ არ არიან გაწვრთნილები. ასეც რომ არ იყოს, ისინი ნაკლებად მოახერხებდნენ კონფლიქტის დროს რესურსების გამოყენებას. ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველო ძალის არგამოყენების შესახებ შეთანხმების ხელმომწერია.

საქართველოში მდიდარი და ძალაუფლებიანი ოჯახების შვილები უნივერსიტეტებში აბარებენ, ამიტომ 18 წლის ასაკში ჯარში გაწვეულებთან ურთიერთობა ნაკლებად აქვთ. ეს ეროვნული ინტეგრაციის შემაფერხებელი მთავარი მიზეზია. სამხედრო სამსახური იქცა კიდევ ერთ გზად, რომელიც დანაწევრებისკენ მიდრეკილ საზოგადოებას კიდევ უფრო ანაწევრებს ჯგუფებად, რომლებმაც ერთმანეთზე ბევრი არაფერი იციან და არც ერთმანეთისადმი ნდობა გააჩნიათ.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ახალწვეულს ფორმებს ურიგებენ და ისინი სახელმწიფოსთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვან შენობებს დარაჯობენ, ეს უმეტესად დროის კარგვაა ამ ადამიანებისთვის, განსაკუთრებით კი მათთვის, ვისაც მსახურება წელიწადში ერთხელ უწევს.

მთავრობის წარმომადგენლის ახირების გამო ბიზნესში დასაქმებული ადამიანის ნებისმიერ მომენტში ჯარში 45 დღით გაწვევის იდეა წარმოუდგენლად ჟღერს ქვეყნისათვის, რომელიც საბაზრო ეკონომიკისკენ ისწრაფვის. ასეთი პირობები, რაღა თქმა უნდა, ყველას ექიმისგან საბუთის მიღებისკენ უბიძგებს, როგორც ეს სკოლაში ხდება ხოლმე, როდესაც ბავშვს სკოლის გაცდენა სურს. სახელმწიფო, რომელიც ახალგაზრდა ადამიანს მნიშვნელოვან დროს ართმევს, კორუფციის დიდ რისკს შეიცავს. ინფორმაციას არ ვფლობ გაწვეულების სასურველ ადგილას და სასურველ დროს გაგზავნის ჩასაწყობად რამდენად გამოიყენება ქრთამების და საჩუქრების მეთოდი, თუმცა სისტემის ბუნდოვანებიდან გამომდინარე, ეს მოსალოდნელია. და ეს ყველაფერი იმ მთავრობის პირობებში, რომელიც თავს ლიბერტარიანელს უწოდებს და ცდილობს, საზოგადოებაში ხელისუფლების ჩარევა აღკვეთოს.

აქ ზუსტად არავინ იცის თამაშის წესები და ის ხშირად ძალაუფლების სათავეში მყოფი გარკვეული პირების ახირებების შესაბამისად იცვლება. ვინ არიან ისინი, ზუსტად არც ეს არის ცნობილი.

ამერიკაში 1973 წლის სამხედრო სავალდებულო გაწვევების დასასრულს რამდენიმე ნეგატიური შედეგი ჰქონდა. ერთ-ერთი სოციალური ფრაგმენტაცია იყო, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ ჯარში ახალგაზრდები შერეულად არ ყოფილან. კიდევ ერთ პრობლემას ის წარმოადგენდა, რომ აშშ ომში ჩართვა ძალიან სერიოზულად აღიქმებოდა. ასე იყო არა მარტო მეორე მსოფლიო ომის დროს, არამედ კორეაში და ვიეტნამშიც. თუმცა როდესაც გაწვევა დასრულდა, ხალხის უმეტესობას, განსაკუთრებით მდიდრებს და გავლენიანებს, შვილები ჯარში აღარ მიჰყავდათ. შედეგად შერბილდა ზოგიერთი პოლიტიკოსის დამოკიდებულება აშშ-ის ჯარების ომებში ჩართვასთან დაკავშირებით. ეჭვგარეშეა, რომ ქვეყანა გაცილებით ფრთხილად იმოქმედებდა ამ ომებში, საბრძოლველად ამერიკელი პოლიტიკოსების შვილები და შვილიშვილები რომ გაეგზავნათ.

საქართველოში ყველა ახალგაზრდას, პირველ რიგში, ის უნდა აუხსნან, რომ სამხედრო სამსახურის გავლა ყველასთვის თანაბრადაა საჭირო. ასევე, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სამხედრო სამსახურის გავლისას ისეთი ჯგუფების ერთად მოხვედრაა აუცილებელი, რომლებიც ჩვეულებრივ პირობებში ერთმანეთს ვერასოდეს შეხვდებოდნენ. საქართველოში ახლა ბევრი 18 წლის ახალგაზრდაა, რომელთაც ინგლისური ენის სხვებისთვის სწავლება სოფლებში მყოფ მასწავლებლებზე უკეთ შეუძლიათ. კიდევ ერთი რამ, რაც ევროპაში სამხედრო მსახურების პერიოდში გამოიყენება, ამ ახალგაზრდების საზოგადოებრივი მომსახურების საქმიანობებში ჩართვაა, იქნება ეს სოფლებში მოხუცებისთვის დახმარება, საავადმყოფოებში და სოფლის მეურნეობის სექტორში მუშაობა თუ მშენებლობებში მონაწილეობა.

ვაკეში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის (ვაკის ბირჟავიკები) ცხოვრებაზე ახალი ხედვის შეთავაზებისთვის სამეგრელოში მინდვრად ან ჯავახეთში გზებზე მუშაობაზე უკეთესი შანსი ნაკლებად მოიძებნება. გარკვეული პერიოდით საკუთარი რეგიონების ფარგლებს გარეთ ცხოვრება, კახელებისთვის რაჭაში, რაჭველებისთვის ქართლში, ქართლელებისთვის კი გურიაში, ახალგაზრდების ეროვნული ერთიანობის მისაღწევად უაღრესად მნიშვნელოვანია. აჭარის სანაპიროებზე, თბილისში და ქუთაისში თითქმის ყველა არის ნამყოფი, თუმცა ამ სამი ტერიტორიული ცენტრის გარეთ მცხოვრები ადამიანებიდან ცოტას თუ უნახავს ქვეყნის სხვა რეგიონები.

შესაძლოა, ასევე, მათთვის, ვინც ჯარს ირჩევს, დღის წესრიგში ნაკლები პერიოდით მსახურების საკითხი დადგეს. ეს მიღებული ფორმაა ისეთ ქვეყნებში, სადაც ალტერნატიული შრომითი სამსახური არსებობს.

გარკვეულწილად, სამხედრო სამსახურთან დაკავშირებული ეს საკითხი სხვა პროგრამებისგან და ინიციატივებისგან დიდად არ განსხვავდება. საჭიროა, მკაფიო მიზნის ან მიზნების დასახვა, რომელიც სამართლიანად და მიუკერძოებლად უნდა ადმინისტრირდეს. და რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ცვლილების მისაღწევად ეროვნული დიალოგი უნდა შედგეს. თუმცა, სამთავრობო პოლიტიკის სხვა მიმართულებებისგან განსხვავებით, ეს საკითხი საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე პირდაპირ და მკაფიო გავლენა ახდენს. რეფორმირების დროა!

ინგლისურიდან თარგმნა დიანა ჩაჩუამ.

"ივანიშვილის გამოჩენა ზემოდან ჩარევის, ხელოვნურობის იერს ატარებს"

ინტერვიუ ფილოსოფოს

ლელა გაფრინდაშვილთან

წლების განმავლობაში, ხელისუფლება ივანიშვილს ან საერთოდ არ მოიხსენიებდა, ან – მხოლოდ დადებით კონტექსტში. არც ივანიშვილის ოლიგარქობის თემა იყო აქტუალური და არც მისი „კრემლთან კავშირი". თვეზე მეტია, ხელისუფლებამ შეცვალა ტაქტიკა და ნეგატიური პიარი დაიწყო. თქვენი დაკვირვებით, ეშინია თუ არა მმართველ გუნდს ივანიშვილის?

რა თქმა უნდა... ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენამდე არსებულ სიტუაციას შეიძლება დავარქვათ არამხოლოდ პოლიტიკური, არამედ ზოგადად, სოციალური პროცესის სტაგნაცია. პოლიტიკურ ისტებლიშმენტსა და ხალხში არსებული განწყობები ერთმანეთს განაპირობებს. სასურველია, რომ მოსახლეობაში არსებული განწყობა განსაზღვრავდეს პოლიტიკური წრეების ნაბიჯებს, თუმცა პირუკუ უფრო ხდება. არ ვეთანხმები ბევრი ინტელექტუალის თუ პოლიტიკოსის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სულ ცოტა ხნის წინ ქართულ საზოგადოებაში ნიჰილიზმი იყო გაბატონებული. ძალიან ბევრ ადამიანთან მაქვს ურთიერთობა როგორც თბილისში, ისე რეგიონებში და აქედან გამომდინარე, შემიძლია გითხრათ, რომ ხალხში დაფიქრების ჯანსაღი მომენტი იყო – ამდენი იმედგაცრუების, დაძაბულობის, დაპირისპირების, ხელისუფლების მხრიდან ტოტალური დაშინებისა და რეპრესიების შემდეგ ხალხმა დაიწყო განსჯა და ფიქრი იმაზე, თუ როგორ შეიძლებოდა ცვლილებების განხორციელება.

მოსახლეობაში დაფიქრების მომენტი იყო და არა ნიჰილიზმის – ეს თავისთავად მოსდევს სტაგნაციურ პერიოდს.

ცხადია, რეპრესიებში არ ვგულისხმობ იმ გამოცდილებას, რომელიც საქართველომ 1937 წელს

მესმის, რომ ადამიანს აქვს პოლიტიკაში მოსვლის უფლება და მეტიც, ფილანტროპიის გათვალისწინებით, ივანიშვილი იმსახურებდა კიდევაც პოლიტიკაში მოსვლას, მაგრამ ამას მაინც ხელოვნურ ჩარევად ვაფასებ. დემოკრატია კი „ზემოდან" პროცესი არ არის, ის ყოველთვის „ქვემოდან" იწყება და პოლიტიკურზე მეტად უფრო სოციალური პროცესია.

მიიღო. ახლა სამყარო გაცილებით გახსნილია, არის ინტერნეტი, აქ არიან ევროპის თუ სხვა რეგიონების ელჩები, რომლებიც აკვირდებიან როგორც ხელისუფლებას, ისე ოპოზიციას – რომ არა ეს დაკვირვება, ხელისუფლებას არც არაფერი შეაკავებდა, რომ უფრო მასშტაბური რეპრესიები განეხორციელებინა.

როგორც მოქალაქე, არ მივესალმები ბიძინა ივანიშვილის ტიპის ლიდერის გამოჩენას და ვეცდები განვმარტო, თუ რატომ ვფიქრობ ასე. შეუძლებელი იყო, რომ ასეთ სტაგნაციურ პერიოდს, ავტოკრატიულ მმართველობას, მოსახლეობის მართვის ტოტალურ მეთოდებს არ წარმოეშვა სრულიად ახალი ტიპის საზოგადოებრივი, თუნდაც ახალი პოლიტიკური მოძრაობა. ახალი ვერ წარმოიშობა იქ, სადაც ჩაკეტილი საზოგადოებაა – აქ კი ინფორმაციის გაცვლის, კომუნიკაციის დამყარების სხვადასხვა მეთოდის არსებობის გათვალისწინებით, ეს ახალი მოძრაობა აუცილებლად აღმოცენდებოდა. ივანიშვილის გამოჩენა კი მაინც ზემოდან ჩარევის, ხელოვნურობის იერს ატარებს, არადა, ყველანაირი ლოგიკით, ცვლილება საზოგადოების წიაღიდან იყო მოსალოდნელი. მესმის, რომ ადამიანს აქვს პოლიტიკაში მოსვლის უფლება და მეტიც, ფილანტროპიის გათვალისწინებით, ივანიშვილი იმსახურებდა კიდევაც პოლიტიკაში მოსვლას, მაგრამ ამას მაინც ხელოვნურ ჩარევად ვაფასებ. დემოკრატია კი „ზემოდან" პროცესი არ არის, ის ყოველთვის „ქვემოდან" იწყება და პოლიტიკურზე მეტად უფრო სოციალური პროცესია.

ბიძინა ივანიშვილი რომ არ გამოჩენილიყო, თქვენივე სიტყვებით რომ ვთქვათ, დაფიქრების მომენტი სადამდე მიიყვანდა საზოგადოებას?

აუცილებლად დაიწყებოდა სოცია-

ფოტო: ლევანი ნარიმანიშვილი

ლური პროტესტი – მე ასეთი მოლოდინი მქონდა.

პროტესტის ადგილი ისევ რუსთაველის გამზირი იქნებოდა?

არა, შეიძლება ამას ახალი პოლიტიკური ორგანიზაციის, სულაც პარტიის სახე მიეღო. თავად ამ პარტიებსაც ხომ აკვირდებით, როგორც იცვლიან ადგილებს მათი ლიდერები, ქმნიან რაღაც ერთობებს, მერე იშლებიან. არიან ისეთებიც, რომელთაც ნიშა ჯერაც ვერ უპოვნიათ. ამის მაგალითად დავასახელებ სოზარ სუბარს და სოფო ხორგუანს – ვიცნობ და შემიძლია მათზე თამამად ვისაუბრო. სულ მეგონა, რომ ასეთი ადამიანები 2007 წლის 7 ნოემბრის, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ შექმნიდნენ დამოუკიდებელ პოლიტიკურ პარტიას და სათავეში ჩაუდგებოდნენ ახალ საზოგადოებრივ მოძრაობას. თუმცა ეს ასე არ მოხდა: მგონია, რომ სოზარ სუბარმაც და სოფო ხორგუანმაც შეცდომა დაუშვეს, როცა სხვა პოლიტიკურ პარტიაში გაწევრიანდნენ. სულ ამბობენ ხოლმე, რომ პოლიტიკური პარტიის შექმნას მოქალაქეთა მხარდაჭერაზე მეტად ფული სჭირდება – ეს შეცდომაა. ყველაზე დიდი პოლიტიკური კაპიტალი მოქალაქეთა მხარდაჭერაა, მით უმეტეს ისეთი ტიპის ქვეყანაში, როგორიც საქართველოა. სწორი სვლა ნამდვილად არ არის, როცა ავტონომიური ღირებულების მქონე პოლიტიკური ფიგურა უკვე კარგად ნაცნობ თუ ახალდაარსებულ პარტიას ებმის.

ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამ შეაჩერა ის პროცესი, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ პოლიტიკურ არენაზე მისი გამოჩენა უიმედო პროცესია. მას აქვს შანსი, რომ საზოგადოების განწყობას დაუგდოს ყური და წარმატებისათვის მოქალაქეთა მხარდაჭერა გამოიყენოს. ერთი რამე აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ: ის, რომ დიდი ფული გაქვს და წარმატებული ბიზნესმენი ხარ, არ ნიშნავს, რომ პოლიტიკაში გამარჯვება გარანტირებული გაქვს. პოლიტიკა საზოგადოების ცოდნის უფრო მაღალ დონეს, საზოგადოებაში არსებული ტენდენციებისადმი უფრო მაღალ მგრძნობელობას მოითხოვს. ერთია, როცა იცი, რა ხდება, მეორეა იმის ცოდნა, თუ რა არის ამ პროცესების მიზეზი – უნდა ერკვეოდე პოსტსაბჭოთა სივრცეში, დასავლურ ტენდენციებში და ასე შემდეგ. ასე რომ, ამ წყალში შესვლა გაცილებით მეტ ცოდნას და გამოცდილებას მოითხოვს, ვიდრე ეს ბიზნესმენს შეიძლება ჰქონდეს.

შესაძლებელია თუ არა, რომ ეს ცოდნა და გამოცდილება ახალმა პოლიტიკურმა ფიგურამ თანდათან მიიღოს და გამოიმუშაოს?

სკეპტიკურად ვუყურებ იმას, რომ შესაძლოა, ეს ყველაფერი ივანიშვილმა არჩევნებამდე მიიღოს. ის ცდილობს დაიახლოვოს ის ადამიანები, რომელთაც ეს ცოდნა აქვთ და აანალიზებენ პროცესებს. ივანიშვილი შეხვდა არასამთავრობო ორგანიზაციებსაც: საქართველოში 12 ათასზე მეტი ასეთი ორგანიზაციაა დარეგისტრირებული, ცხადია, რომ ყველა მათგანი არ მოქმედებს, მაგრამ 10% მაინც ხომ აკეთებს თავის საქმეს, მით უმეტეს, რეგიონებში, სადაც არასამთავრობო ორგანიზაციები გაცილებით ახლოს არიან მოსახლეობასთან, ვიდრე თბილისში მოქმედი ორგანიზაციები. სწორედ მათი მოსმენაა საჭირო, თან იმის გათვალისწინებით, რომ ე.წ. აგრარულ რევოლუციას აპირებ. აუცილებელია იმის ცოდნა, თუ რა რესურსია თითოეულ რეგიონში, სოფლის მეურნეობის რომელი დარგი უნდა განვითარდეს ამა თუ იმ კუთხეში. ამიტომაც ეს ყველაფერი ბევრად უფრო ხანგრძლივ და შრომატევად მუშაობას მოითხოვს, ვიდრე არჩევნებამდე პერიოდია.

არის კიდევ მეორე ასპექტი, რომელიც სერიოზული დაეჭვების საფუძველს მაძლევს: ეს არის საარჩევნო კოდექსი. იძლევა თუ არა ეს საარჩევნო კოდექსი დემოკრატიის ხარისხის გაზრდის შესაძლებლობას? ვირჩევთ 150 დეპუტატს, მათგან რაღაც ნაწილი მაჟორიტარი დეპუტატია. მათი უმრავლესობა იმ ქალაქსა თუ რეგიონში არ ცხოვრობს, საიდანაც აირჩიეს. სისტემა აბსოლუტურად ცენტრალიზებულია – ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფუნქცია, პრაქტიკულად, ნულს უტოლდება, სოფლებში არსებულ ორგანოებს არანაირი გადაწყვეტილების მიღების საშუალება არ აქვთ, თან არ აქვთ არავითარი ფინანსური რესურსი. გამოდის, რომ ამ საარჩევნო კოდექსის გათვალისწინებით მომავალშიც ძალაუფლების ისეთივე სტრუქტურა გვექნება, რაც გვაქვს სააკაშვილის მმართველობის პირობებში. თუმცა ივანიშვილის პოლიტიკურ გუნდს ასეთი კოდექსის პირობებშიც შეუძლია არჩევნებში გაიმარჯვოს. ამბობს, „უმრავლესობით მოვალ“-ო – ასეთი მტკიცება კი პოლიტიკოსს დადებითად ნამდვილად არ ახასიათებს. შეიძლება თქვას, რომ ძალიან კარგი პროგრამა ექნება, მომავალ საქმიანობას ქვეყნის რეალობას მოარგებს და საზოგადოების ყველა ფენის ინტერესს დააკმაყოფილებს, მაგრამ მტკიცება იმისა, რომ გაიმარჯვებს აბსოლუტური უმრავლესობით, უფრო პიარ-სვლაა, ვიდრე პოლიტიკური განცხადება.

შესაძლოა, ეს დაპირება საზოგადოების რაღაც ნაწილის განწყობებს ეხმაურებოდეს...

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ წერდნენ, რომ ქართველებს მოსწონთ ავტორიტარი ლიდერები და ამის არგუმენტად სტალინისა და ბერიასადმი დამოკიდებულებას იშველიებდნენ. ეს უფრო მითია, ვიდრე რეალობა. ფსიქიკურად ნორმალურ ადამიანს არ მოსწონს, როცა მას თავში ურტყამენ. მაგრამ დაშინებულმა, დამფრთხალმა, ალტერნატივის არსებობის უცოდინარმა ადამიანმა შეიძლება ნორმალურ და ავტოკრატ

ლიდერს შორის არჩევანი სწორედ ამ უკანასკნელზე შეაჩეროს. მაგრამ აჩვენეთ მას ნორმალური ლიდერი და აბსოლუტურად გააზრებულად, საკუთარი ნებით გააკეთებინეთ არჩევანი და ნახავთ, თუ რა შედეგს მიიღებთ. მოქალაქეებს უნდათ კეთილდღეობა და სტაბილურობა. შესაბამისად, დაპირების დროს უნდა დაასაბუთო, რომ ხარ ამის გამკეთებელი. ივანიშვილი ამბობს, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ყველას დაასაქმებს – მე უნდა დავრწმუნდე იმაში, რომ ის ამას ნამდვილად გააკეთებს. ყველას დასაქმების შესახებ გაკეთებული განცხადება კეთილსინდისიერი არ არის. არ არის საჭირო დაპირებების მთების აღმართვა, საკმარისია ერთი რეალისტური გორაკის შეთავაზება.

რამდენად რეალურია საფრთხე, რომ ბიძინა ივანიშვილი ავტოკრატ მმართველად ჩამოყალიბდეს?

ასეთი რისკი ნამდვილად არსებობს. ჩვენ არ ვიცით, როგორი ურთიერთობა აქვს ბიზნეს-პარტნიორებთან, არაფერი ვიცით მისი ფსიქოტიპის შესახებ. ნამდვილად არ ტოვებს მონსტრის შთაბეჭდილებას, მაგრამ კომუნიკაციის პრობლემა, ინფორმაციის სიმწირე ნამდვილად იგრძნობა. ის კი ცდილობს, რომ პოლიტიკური განცხადებების შემდეგ სულ უფრო მეტად გამოჩნდეს საზოგადოებაში, მაგრამ ჯერ კიდევ ძალიან მკრთალია ის სურათი, რასაც ახლა ვხედავთ. დემოკრატია ნამდვილად იქნება წამალი იმისთვის, რომ არ მოხდეს ძალაუფლების უზურპაცია: თუ მისი პოლიტიკური გუნდი პროექტებს ისე განახორციელებს, რომ ამ პროცესში საზოგადოებრივ აზრს აქტიურად ჩართავს, იქნება გამჭვირვალე, ყურს დაუგდებს განსხვავებულ პოზიციას, მაშინ ავტორიტარიზმის შანსი მინიმუმამდე შემცირდება. აქ მედიამ უნდა შეასრულოს ის როლი, რაც მას აკისრია. მედიის თავისუფლება ვიღაცის ამოჩემება კი არ არის, ეს იმისთვის გვჭირდება, რომ პოლიტიკურ და სოციალურ პროცესზე დაკვირვება მოხერხდეს.

ხელისუფლება, ერთი მხრივ, მადლობას უხდის ბიძინა ივანიშვილს განხორციელებული პროექტებისთვის. მეორე მხრივ კი, საუბრობს კრემლის კარნახით მოქმედ ივანიშვილზე... ასეთ რადიკალურ შეფასებებს ელოდით?

სამწუხაროდ, არ არსებობს ისეთი რამ, რასაც ამ ხელისუფლებისგან არ ველოდები. 7 ნოემბრის, 26 მაისის

იმ გარემოებამ, რომ ივანიშვილის კრემლთან სავარაუდო კავშირის შესახებ საუბარი მხოლოდ ახლა დაიწყო, შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ ეს ასე სულაც არ არის. მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ: თუ ასეთი გავლენები არ არსებობს, მაშინ ივანიშვილისთვის მისაღები და კომფორტულიც კი უნდა იყოს ამაზე საუბარი.

მოვლენების, მოქალაქეთა გამეტებისა და მკვლელობების შემდეგ არაფერი გამიკვირდება. მართალი გითხრათ, ცოტა მსუბუქადაც კი მომეჩვენა ის შეფასებები და ის ქმედებები, რაც ხელისუფლების მხრიდან გაკეთდა ივანიშვილთან დაკავშირებით. მგონია, რომ ახლა, მოქალაქეობის ჩამორთმევასთან და ბანკის საინკასაციო მანქანის დაკავებასთან შედარებით, გაცილებით სერიოზულ გეგმას ამუშავებენ.

რამდენად დამაჯერებელია თქვენთვის ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებები ივანიშვილის კრემლთან უშუალო კავშირის შესახებ?

ამის დასამტკიცებლად რაღაც არგუმენტები აუცილებლად საჭიროა. ბიძინა ივანიშვილმაც უნდა წარმოადგინოს მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ მისი რუსული კავშირები მის პოლიტიკურ ნაბიჯებზე გავლენას ვერ მოახდენს. მეტ-ნაკლებად ყველამ ვიცით, თუ როგორ კეთდებოდა დიდი ფული პოსტსაბჭოთა რუსეთში, ამიტომაც ივანიშვილს „თავის მართლება“ ნამდვილად სჭირდება – ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს მოულოდნელი ისეთი ადამიანისთვის, რომელიც პოლიტიკაში მოდის. თუ ჩვენ საქართველოში ივანიშვილის სახით გვყავს რუსული პოლიტიკის გამტარებელი ადამიანი, მაშინ ძალიან დიდი კითხვის ნიშნები ჩნდება. თუმცა აქ მყისიერად იბადება ასეთი კითხვაც: რატომ გახდა ეს საკითხი აქტუალური აქ და ახლა და არა, ვთქვათ, მაშინ, როცა ივანიშვილი სანდრა რულოვსის პროგრამას, სკოლების, ბაგა-ბაღების, მუზეუმების, თეატრების და სხვა შენობების რემონტს აფინანსებდა. ხელისუფლების აპოლოგეტები ამბობენ: რუსეთში ნაშოვნი ფულით შეიძლება შენს ქვეყანას ეხმარებოდე, მაგრამ პოლიტიკაში მოსვლა წარმოუდგენლად მიუღებელი და შეუძლებელიაო... ეს ხომ აბსურდია?! იმ გარემოებამ, რომ ივანიშვილის კრემლთან სავარაუდო კავშირის შესახებ საუბარი მხოლოდ ახლა დაიწყო, შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ ეს ასე სულაც არ არის. მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ: თუ ასეთი გავლენები არ არსებობს, მაშინ ივანიშვილისთვის მისაღები და კომფორტულიც კი უნდა იყოს ამაზე საუბარი.

ესაუბრა მალხაზ ჭკადუა.

ნაფიც მსაჯულთა პირველი სასამართლო

თბილისის საქალაქო სასამართლოში 11 ნოემბრიდან მიმდინარეობს პროცესი, რომელმაც საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია, პირველად ქართული სასამართლოს ისტორიაში საქმეს ნაფიცი მსაჯულები განიხილავენ.

ზურაბ ვარდიაშვილი

„გთხოვთ, ფეხზე ადგეთ, სასამართლო მობრძანდება“, – აცხადებს მდივანი, იხსნება კარი და წითელი მანტიით შემოსილი მოსამართლე დარბაზში შემოდის. მისთვის განკუთვნილ, მაღალსაზურგიან სავარძელში ადგილს იკავებს და პროცესის დამსწრეთ დასხდომის ნებას რთავს. სასამართლო სხდომა გახსნილად ცხადდება.

150 ადამიანზე გათვლილი დარბაზი სავსეა, თავისუფალი ადგილი არც ჟურნალისტებისთვის გამოყოფილ ლოჟაში მოიძებნება. გარეთ რჩება დარბაზში მოხვედრის მსურველი უამრავი ადამიანი.

ასეთი განსაკუთრებული ინტერესის მიზეზი, მოსამართლის ხელმარჯვნივ, სპეციალურ განყოფილებაში მჯდომი 12 პიროვნებაა – ქართული სასამართლოს ისტორიაში პირველად, საქმეს ნაფიცი მსაჯულები განიხილავენ. პროცესის დაწყებამდე ისინი ფიცს დებენ:

„ვფიცავ, პატიოსნად და მიუკერძოებლად აღვასრულო ნაფიცი მსაჯულის მოვალეობა, გავითვალისწინო ყველა კანონიერი მტკიცებულება, გადაწყვეტილება მივიღო შინაგანი რწმენის საფუძველზე, როგორც შეეფერება სამართლიან ადამიანს“.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი 2010 წლის 1 ოქტომბრიდან მოქმედებს. თავდაპირველად, შემთხვევითი პრინციპით 100 მოქალაქე შეარჩიეს. სასამართლომ ოცდახუთზე თავიდანვე თქვა უარი: ხუთი მითითებულ მისამართებზე ვერ მოძებნეს, ხოლო ოცი ისეთი პროფესიის წარმომადგენელი აღმოჩნდა, რომელიც კანონის შესაბამისად ნაფიც მსაჯულად არ დაიშვება. დარჩენილი კანდიდატებიდან, მხარეებმა 7 ნოემბერს გამართულ სპეციალურ სხდომაზე 45 შეარჩიეს, საიდანაც მოსამართლემ 12 ძირითადი და 3 სათადარიგო მსაჯული დაამტკიცა.

ნაფიცი მსაჯულები კენჭისყრით უფროს მსაჯულს ირჩევენ, სწორედ ის გამოაცხადებს საბოლოო ვერდიქტს. სასამართლო პროცესი იწყება.

განსასჯელის სკამზე ზის რევაზ დემეტრაშვილი, მას ბრალად 1994 წელს ჩადენილ ჯგუფურ ყაჩაღობასა და მკვლელობაში თანამონაწილეობა ედება. თავი მშვიდად უჭირავს და გამომსვლელებს ყურადღებით უსმენს. ორივე მხრიდან ბადრაგები უსხედან. მის პირდაპირ, ნაფიცი მსაჯულების სიახლოვეს, მოწმეთათვის განკუთვნილი ტრიბუნა დგას. მასზე მი-

ილუსტრაცია: სოფო კრავეთი / ნიგნის სახელოვნო

კროფონია დამონტაჟებული, დარბაზის კუთხეში, მოსამართლის სავარძლიდან მარჯვნივ, სათადარიგო მსაჯულები სხედან. მუქი ხით მოპირკეთებული მაღალჭერიანი დარბაზი ოთხი უზარმაზარი ჭაღითაა განათებული.

პროკურორი ნათია მოგელაძე შესავალ სიტყვას წარმოთქვამს, ოდნავ ღელავს, მისი გამოსვლა მგზნებარე და პათეტიკურია: „მოგმართავთ როგორც ქალი, როგორც დედა. მე ვაცნობიერებ პასუხისმგებლობას, რადგან დღეს არის ისტორიული პროცესი, საქმე ეხება განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ, შემზარავ დანაშაულს. რიტუალურ მკვლელობას, როდესაც, 1994 წლის 19 თებერვლის საბედისწერო ღამეს, მინასიანების ოჯახის წევრები ისე დახვრიტეს ერთმანეთის თვალწინ, როგორც ეს ავადსახსენებელ 37 წელს ხდებოდა“.

ბრალმდებლის სიტყვის პარალელურად, სპეციალურ მონიტორზე სისხლიანი სპეცეფექტებით გაფორმებული სლაიდშოუ გადის, ბრალდებულთა ფოტოებს, მკვლელობის ადგილზე გადაღებული სურათები ცვლის. პროკურორი დანაშაულის დეტალებს აღწერს. მისი მონათხრობის მიხედვით, დანაშაულებრივმა ჯგუფმა, რომელშიც შედიოდნენ რევაზ დემეტრაშვილი, გიორგი ოთარაშვილი, გელა ქავთარაძე, მალხაზ მოდებაძე და ძმები ნუკრი და კობა გვრიტიშვილები, 19 წლის ვაზგენ მინასიანი გაიტაცეს. გამოსასყიდის მიღების შემდეგ კი გაათავისუფლეს. ბრალმდებლის მტკიცებით, მოგვიანებით ბრალდებულმა დემეტრაშვილმა შეიტყო, რომ ვაზგენის მამის, ნეშენ მინასიანისთვის ცნობილი იყო გამტაცებელთა ვინაობა და შურისძიებას გეგმავდა. ეს ინფორმაცია მან დაჯგუფების დანარჩენ წევრებს შეატყობინა და მათ მინასიანების ოჯახის ლიკვიდაცია დაგეგმეს. ისინი შეიჭრნენ მინასიანების სახლში და ვაზგენი და მისი მშობლები, ნეშენ და ფლორა მინასიანები ოჯახის დანარჩენი წევრების თვალწინ დახვრიტეს. დაიჭრა ვაზგენის და, გაიანე მინასიანი.

პროკურორის სიტყვა უფრო და უფრო ემოციური ხდება: „19 თებერვლის სუსხიან ღამეს, ერთი ჩვეულებრივი, თბილისური, ბედნიერი ოჯახი რამდენიმე წუთში განადგურდა, წარმოიდგინეთ, რას გრძნობდა ახლად დაქორწინებული კრისტინა ავეტისიანი, რომელსაც ჯერ ქმარი გასტაცეს, მერე კი თვალწინ მოუკლეს, ამ დროს მას 18 დღის ბავშვი ხელში ეჭირა. ბავშვმა მამის სითბო და ალერსი ვერ შეიგრძნო, კრისტინა ავეტისიანი კი უბედურ ქვრივად იქცა“.

საუბრისას პროკურორი ნაფიც მსაჯულებს უახლოვდება და პირდაპირ მიმართავს, შეახსენებს, რომ ამ პროცესზე მართლმსაჯულება ხალხის სახელით ხორციელდება და მოუწოდებს განაჩენის გამოტანისას გაითვალისწინონ ყველა ის მტკიცებულება, რომელსაც სასამართლო დარბაზში წარმოადგენენ.

ბრალმდებლის სიტყვის შემდეგ ფეხზე რევაზ დემეტრაშვილის ადვოკატი დათუნა მოდებაძე დგება – „ძალიან შთამბეჭდავი იყო“, – ირონიულად მიმართავს პროკურორს, – „მაგრამ უფრო შთამბეჭდავი იქნებოდა, თქვენი მონათხრობი სიმართლეს რომ შეესაბამებოდეს“. მოდებაძის თქმით, პროკურორის სიტყვამ მას „რუსთავი 2“-ის წინა დღის სიუჟეტი გაახსენა, – „სწორედ ასეთი პათოსი იგრძნობოდა ჟურნალისტის ხმაშიც“, – დასძინა მან. ადვოკატი აღიარებს, რომ ძალიან ღელავს, – „არტისტული მონაცემებით არ გამოვირჩევი“, – ამბობს ის, – „მაგრამ ჩვენს მხარესაა სიმართლე“.

მოდებაძე არც გატაცების და არც მკვლელობის ფაქტს არ უარყოფს. თუმცა, დანაშაულში ბრალდებულის მონაწილეობას გამორიცხავს.

მინასიანების საქმე 17 წლის შემ-

დეგ ნარკოტიკების შენახვა-მოხმარებისთვის მსჯავრდადებული ლევან კიკაბიძის ჩვენებით გაიხსნა. მან მინასიანების ოჯახის ამოხოცვაში თანამონაწილედ ორი პირი – გიორგი ოთარაშვილი და რევაზ დემეტრაშვილი დაასახელა. ოთარაშვილმა დანაშაული აღიარა, ხოლო დემეტრაშვილი თავს დამნაშავედ არ ცნობს. მის ადვოკატს მიაჩნია, რომ გამოძიების მთავარმა მოწმემ, ლევან კიკაბიძემ თავის გადასარჩენად იცრუა და დემეტრაშვილს ჩადენილი დანაშაული დააბრალა.

„პროკურორის მიერ დღეს ლამაზად წარმოთქმული სიტყვა სოფლის მშენებლებს მაგონებს, რომლებსაც შრომის ნაცვლად სიმღერით უნდათ სოფლის შენება“, – მიმართავს ნაფიც მსაჯულებს ადვოკატი, – „სწორედ შრომაა საჭირო მტკიცებულებების მოსაგროვებლად

მოწმეთა ემოციური მდგომარეობის გამო, დაკითხვა რამდენჯერმე წყდება. დაკითხვისას მოკლული ვაზგენ მინასიანის დას გულნარა მინასიანს, გული მისდის, ეცემა. სასამართლო დარბაზში ექიმს იძახებენ. არანაკლებ ღელავს ვაზგენის მეორე და – გაიანე მინასიანი.

და არა არტისტული თამაში. მე მჯერა, რომ თქვენ სამართლიან გადაწყვეტილებას მიიღებთ“, – მოდებაძე სიტყვას ასრულებს და ჯდება. მოსამართლე ნინო სანდოძე შესვენებას აცხადებს.

შესვენების შემდეგ ადვოკატი სხდომის გადადებას ითხოვს, რადგანაც „თავს შეუძლოდ გრძნობს“, ბრალდების მხარის წინააღმდეგობის მიუხედავად, მოსამართლე თხოვნას აკმაყოფილებს.

პროცესი მეორე დღეს 10 საათზე ახლდება, დარბაზი ნელ-ნელა ივსება, ჯერ ბრალდებული შემოჰყავთ, შემდეგ კი მსაჯულები შემოდიან. ყოველი მათგანი ზუსტად იმ ადგილს იკავებს, რომელზეც წინა დღეს იჯდა. თითოეულს ხელში ბლოკნოტი და კალამი უჭირავს. ისინი კითხვებს არ სვამენ, მხოლოდ პროცესს აკვირდებიან. ბრალდებულის ინტერესებს დღეიდან დათუნა მოდებაძესთან ერთად, ადვოკატი გიორგი ტურაზაშვილიც დაიცავს.

სასამართლო ბრალდების მოწმეთა დაკითხვით გრძელდება, პროკურორი შოთა ტყეშელაშვილი მოწმე ლევან კიკაბიძეს იძახებს.

კიკაბიძე მსჯავრდადებულია და ამიტომ ბადრაგს შემოჰყავს, მას ბორკილებს ხსნიან. ამის შემდეგ მოსამართლე ფიცის ტექსტს უკითხავს: „დაიფიცეთ, რომ მთელი შეგნებით იტყვით სიმართლეს და არაფერს დამალავთ!“ მოწმე ფიცს დებს, დაკითხვა იწყება.

კიკაბიძე ჰყვება, რომ ბრალდებულთან ნარკოტიკები აკავშირებდა, ერთხელაც, როდესაც ფული შემოაკლდათ, მათი საერთო ნაცნობის ალექსანდრე რევაზიშვილის რჩევით, მელაანის ქუჩაზე (ახლანდელი ბუშის ქუჩა) მცხოვრები მინასიანებისთვის ფულის გამოძალვა გადაწყვიტეს. ამის შესახებ მეგობრებს – გიორგი ოთარაშვილს, გელა ქავთარაძეს, მალხაზ მოდებაძეს და ძმებს, ნუკრი და კობა გვრიტიშვილებს აცნობეს. კიკაბიძის თქმით, დანარჩენი ბრალდებულ დემეტრაშვილის მონაყოლიდან იცის, რადგან თვითონ „საქმიდან გავიდა“. „დემეტრაშვილი ადრე პოლიციაში მსახურობდა და მოწმობა ჰქონდა“, – იხსენებს ის, – „მან ვაზგენ მინასიანი გააჩერა და პოლიციაში წაყვანის მოტივით მანქანაში ჩაისვა. შემდეგ მას ხელფეხი შეუკრეს, თვალები აუხვიეს და წინასწარ შერჩეულ ადგილზე წაიყვანეს“.

ლევან კიკაბიძე სრულად იმეორებს პროკურორ ნათია მოგელაძის ვერსიას, ის ხაზს უსვამს, რომ ყველაფერი თავად დემეტრაშვილმა უამბო და თვითონ დანაშაულის ადგილზე არ ყოფილა.

დაკითხვისას მოწმე დაძაბულია, საუბრობს ხმადაბლა, ხელსახოცს ნერვიულად ათამაშებს. ცდილობს, ბრალდებულს არ შეხედოს.

პროკურორის შემდეგ დაკითხვას ადვოკატი იწყებს, მას აინტერესებს, რატომ გადაწყვიტა მოწმემ სიმართლის თქმა 17 წლის შემდეგ. კიკაბიძე არ უარყოფს, რომ მას სასჯელის შემსუბუქება სურდა.

ლევან კიკაბიძის შემდეგ, ბრალდების მხარე ალექსანდრე რევაზიშვილს იძახებს, ის სიტყვა-სიტყვით იმეორებს კიკაბიძის ჩვენებას. რევაზიშვილი ვაზგენ მინასიანის და მისი მეუღლის, კრისტინა ავეტისიანის კლასელი იყო და მათ ოჯახს კარგად იცნობდა. მოწმე აღიარებს, რომ „დაჯგუფების წევრებს თავად მისცა საქმე“. მისი თქმით, მკვლელობის შესახებ ბრალდებულმა უამბო.

სხდომა გიორგი ოთარაშვილის დაკითხვით გრძელდება. მისივე აღიარებით, ის, როგორც გატაცების, ისე მკვლელობის თანამონაწილეა. „ჩვენ სახლში შევედით, დემეტრაშვილი გარეთ დარჩა – პერიმეტრს აკონტროლებდა, მას პოლიციელის მოწმობა ჰქონდა და საჭიროების შემთხვევაში, მისი გამოყენება შეეძლო“. მისი მონათხრობის მიხედვით, თვითონ პირველ სართულზე დარჩა, მინასიანების ავადმყოფ შვილს ყარაულობდა, ოჯახის დანარჩენი წევრები მეორე სართულზე აიყვანეს, სადაც ყაჩაღობის იმიტაცია გაათამაშეს, შემდეგ კი ნუკრი გვრიტიშვილმა ნეშენ, ვაზგენ და ფლორა მინასიანებს ესროლა.

ადვოკატი ცდილობს, ოთარაშვილისგან მკვლელობის მოტივი გაიგოს. მოწმე ბრალდების ვერსიას იმეორებს: „დემეტრაშვილმა გვითხრა, რომ ოჯახის უფროსმა ჩვენს შესახებ რაღაც იცოდა და სანამ პოლიციაში განაცხადებდა, უნდა დაგვესწრო“. მოდებაძე ჯვარედინ დაკითხვას განაგრძობს, „დაინახა თუ არა გატაცებისას ვაზგენმა თქვენი, გამტაცებლების სახეები?“ მოწმე თავს უქნევს, „შეეძლო თუ არა მას ხელმეორედ ნახვისას თქვენი ამოცნობა?“ „კი“, – პასუხობს ოთარაშვილი. ადვოკატი გრძნობს, რომ მოწმე შეუსაბამობაში „დაიჭირა“ და შეტევაზე გადადის: „თუ მინასიანების დახოცვის მოტივი იყო თქვენი შიში, თითქოსდა ნეშენ მინასიანმა თქვენს შესახებ რაღაც იცოდა,

მაშ რატომ გაათავისუფლეთ ვაზგენ მინასიანი, რომელსაც თქვენი ამოცნობა შეეძლო?“ ოთარაშვილი დუმს, თუმცა გამოსავალს მალე პოულობს და ამბობს, რომ ერთია, როცა სახეზე გცნობენ, და მეორე, როდესაც ვინაობა იციან. დაკითხვა სრულდება. მოსამართლე შესვენებას აცხადებს.

სხდომა ბალისტიკური და სამედიცინო ექსპერტების დაკითხვით გრძელდება. ბალისტიკის ექსპერტი მიხეილ ივანიკაშვილი მკვლელობისას გამოყენებულ ტყვიებზე საუბრობს და აცხადებს, რომ „ასეთი ტყვიები ექსპანსიური ხასიათისაა“, „ტყვია სხეულში მოხვედრისას მოძრაობას განაგრძობს და მრავალ ორგანოს აზიანებს“, – განმარტავს ექსპერტი.

სასამართლო მეორე დღეს გრძელდება. ბრალდება ისნის რაიონის პოლიციის ყოფილ უფროსს, ვახტანგ ელგადაშვილს იძახებს. 1994 წელს დანაშაულის ადგილზე პირველად სწორედ ის გამოცხადდა. ის აღწერს მაშინდელ კრიმინოგენულ ვითარებას და ჰყვება, რომ „ყოველი მხრიდან სროლა ისმოდა. პოლიციას არ ენდობოდნენ, ჩვენთან არავინ თანამშრომლობდა, ჩვენ დავიწყეთ გამოძიება, დავკითხეთ მეზობლები, ნათესავები, მაგრამ საქმე ვერ გავხსენით“.

ნაფიცი მსაჯულები მოწმეებს ყურადღებით უსმენენ. სხდომების დასაწყისში თითოეული მათგანი მობილიზებულია, შენიშვნებს ხშირ-ხშირად იწერენ. თუმცა, რამდენიმე საათის შემდეგ იღლებიან. ღია ფერის კოსტუმში გამოწყობილი მამაკაცი წინ გადმოწეულია, მის გვერდით მჯდომი ახალგაზრდა მსაჯული ჟურნალისტების ლოჟას ათვალიერებს. პროკურორი 1994 წლის საქმეზე დაწყებული გამოძიების ოქმს კითხულობს, ოქმი საკმაოდ ვრცელია. მსაჯულთა წინა რიგში მჯდომი, ჭაღარათმიანი ქალბატონი გამუდმებით წერს, უფროსი ნაფიცი მსაჯული ბრალდებულის რეაქციებს აკვირდება. დემეტრაშვილს დაღლა ეტყობა, ნიკაპით მუშტებს ეყრდნობა.

მოწმის ტრიბუნასთან მოკლული ნეშენის ძმა, ლევან მინასიანი დგას, ფიცის დადების შემდეგ, 17 წლის უკან მომხდარ ტრაგედიას იხსენებს. ძმის ოჯახზე თავდასხმის შესახებ მან მეზობლების საგელეფონო ზარით შეიტყო. დანაშაულის ადგილის აღწერისას, ცრემლებს ვერ იკავებს, თავს შეუძლოდ გრძნობს, დაკითხვა დროებით წყდება.

ადვოკატ გიორგი ტურაზაშვილის კითხვებზე, ლევან მინასიანი ღიზიანდება. ის სრულად ეთანხმება გამოძიების ვერსიას და დემეტრაშვილის დასჯას მოითხოვს.

სასამართლო პროცესი ორშაბათს, 14 ნოემბერს გრძელდება. ეს დღე განსაკუთრებით ემოციურია, პროკურორი მოწმედ მინასიანთა ოჯახის ცოცხლად დარჩენილ წევრებს იძახებს.

მოწმეთა ემოციური მდგომარეობის გამო, დაკითხვა რამდენჯერმე წყდება. დაკითხვისას მოკლული ვაზგენ მინასიანის დას, გულნარა მინასიანს, გული მისდის, ეცემა. სასამართლო დარბაზში ექიმს იძახებენ. არანაკლებ ღელავს ვაზგენის მეორე და – გაიანე მინასიანი. მისი მონათხრობის მიხედვით, 19 თებერვლის ღამეს მთელი ოჯახი სახლში იმყოფებოდა, როდესაც ეზოში ხმაური გაისმა. ეზოში გამოსული მინასიანები თავდამსხმელებმა მეორე სართულზე, ერთ ოთახში შეიყვანეს. ისინი მოითხოვდნენ ფულს და ძვირფასეულობას, რამდენიმე წუთში კი ერთ-ერთმა ნიღბიანმა სროლა დაიწყო, ნეშენ, ფლორა და ვაზგენ მინასიანები ოჯახის დანარჩენი წევრების თვალწინ დახვრიტეს. დაიჭრა თავად მოწმე – გაიანე მინასიანი.

თავდასხმის დეტალების აღწერისას მოწმე ტირის, დაძაბულობა იგრძნობა დარბაზშიც. ცრემლებს ვერ იკავებენ ნაფიცი მსაჯულებიც.

ვაზგენ მინასიანის მეუღლე – კრისტინა ავეტისიანი დაკითხვის ბოლოს სიტყვას თხოულობს: ის მადლობას უხდის გამოძიებას და იმედს გამოთქვამს, რომ ნაფიცი მსაჯულები სამართლიან ვერდიქტს გამოიტანენ.

სამართლიანი განაჩენის იმედი აქვს ბრალდებულის დედას, ნაირა დემეტრაშვილსაც. ძლიერი სტრესის მიუხედავად, ცდილობს, თავი მტკიცედ ეჭიროს. „ლიბერალთან“ საუბარში ის იმეორებს ადვოკატ დათუნა მოდებაძის სიტყვებს და ამბობს, რომ „სიმართლე მის მხარესაა“. ნაირა დემეტრაშვილი მინასიანთა ოჯახს თანაუგრძნობს, მაგრამ დანაშაულში შვილის მონაწილეობის არ სჯერა. მას მიაჩნია, რომ 12 ნაფიცი მსაჯული უფრო სამართლიანად განსჯის საქმეს, ვიდრე ერთი მოსამართლე.

შემდეგი სხდომა ბრალდებულ რევაზ დემეტრაშვილის დაკითხვით იწყება. იგი დანაშაულთან ყოველგვარ კავშირს უარყოფს. თუმცა აღიარებს, რომ მკვლელობის შესახებ იცოდა. მისი თქმით, ყველაფერი ლევან კიკაბიძემ უამბო. პოლიციაში კი იმიტომ არ განაცხადა, რომ „მეგობარი ვერ გაწირა“.

სასამართლო პროცესი გრძელდება, 17 ნოემბერს მსაჯულები პროკურორისა და ადვოკატის დასკვნით სიტყვებს მოისმენენ. შემდეგ კი ჯერი ნაფიც მსაჯულებზე მიდგება. საზოგადოება დიდი ინტერესით ელის, თუ როგორი იქნება ნაფიც მსაჯულთა პირველი ვერდიქტი.

ნაფიცი მსაჯულები

მსაჯულობის უფლება არ აქვთ: სასულიერო პირებს, იურისტებს, ფსიქოლოგებს, ფსიქიატრებს, პოლიციელებს, ჯარისკაცებს, პოლიტიკური თანამდებობის პირებს და მათ, ვისაც ოდესმე ნარკოტიკების მოხმარებისთვის ადმინისტრაციული სახდელი დაკისრებიათ.
საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესული ცვლილების შემდეგ გამოძიებასთან თანამშრომლობის შემთხვევაში, პროკურორს შეუძლია ბრალდებულს სასჯელის შემცირებაზე შეუთანხმდეს. ამას სხვაგვარად საპროცესო შეთანხმებას უწოდებენ. სწორედ ასე, ანუ გამოძიებასთან მსჯავრდადებულ კიკაბიძის თანამშრომლობის საშუალებით, გამოძიებამ 17 წლის უკან მომხდარი ყაჩაღობისა და ჯგუფური მკვლელობის ბრალდება წაუყენა ორ პირს – გიორგი ოთარაშვილსა და რევაზ დემეტრაშვილს. ნაფიცმა მსაჯულებმა გადაწყვეტილება თათბირის შედეგად უნდა გამოიტანონ, თათბირის საიდუმლოება დაცულია და მისი გამხელის უფლება არავის აქვს. პროცესის დასრულებამდე კონფიდენციალურია მსაჯულთა ვინაობაც.

ფოტო: ნინო ალბერიკაშვილი / RFE/RL

მიზანშია "ქართული ბანკი"

საქართველოს ხელისუფლებას ახალი პოლიტიკური ოპონენტი ჰყავს. მოქალაქეობაჩამორთმეული მილიარდერის ბიზნესაქტივზე იერიშისთვის ხელისუფლებამ 4 წლის წინ აპრობირებული მეთოდი გამოიყენა.

მანანა ვარდიაშვილი

27 ოქტომბრის ჩათვლით, „ქართუ ბანკიდან“ 45 მილიონი ლარი გავიდა — ბანკში ანგარიში 250-მდე მსხვილმა ორგანიზაციამ დახურა. „ეს ძირითადად ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების წევრთა მიერ კონტროლირებადი ბიზნესკომპანიების ანგარიშები იყო“, – ამბობს „ქართუ ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ნოდარ ჯავახიშვილი.

„ქართუ ბანკის“ თანამშრომლები სამართალდამცავებმა „საქართველოს ბანკის“ სათავო ოფისის ტერიტორიაზე 18 ოქტომბერს, 17:15 სთ-ზე დაიკავეს. სისხლის სამართლის საქმე საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლის მესამე ნაწილით (განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფულის გათეთრება) აღიძრა. პოლიციამ „ქართუ ბანკის“ კუთვნილი 2 მილიონი აშშ დოლარი, 1 მლნ ევრო და „VOLKSWAGEN“-ის ფირმის ჯავშნიანი საინკასაციო მანქანა დააყადაღა. ბანკის თანამშრომლები იმავე დღეს, გვიან ღამით, მოწმის სტატუსით დაკითხვის შემდეგ გაათავისუფლეს. თუმცა, სისხლის სამართლებრივი დევნა ამ დრომდე არცერთი პირის მიმართ არ დაწყებულა. ბანკის მენეჯმენტმა თბილისის ცენტრში ჩატარებულ ამ სპეცოპერაციას ბიძინა ივანიშვილის მიმართ პოლიტიკური ანგარიშსწორება უწოდა: „ქართუ ბანკი“, რომელიც აქტივების სიდიდის მიხედვით, მეექვსე ბანკია საქართველოში (ქვეყანაში სულ 19 კომერციული ბანკი ფუნქციონირებს), ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილს ეკუთვნის.

ახალი პოლიტიკური ოპონენტის მიმართ ანგარიშსწორების საქმეში საქართველოს ხელისუფლებამ ძალიან იჩქარა და უხეში შეცდომაც დაუშვა. ქართველმა სამართალდამცავებმა მსოფლიოს წამყვანი ბანკების მეშვეობით განხორციელებულ ფინანსურ ოპერაციას ფულის გათეთრების კვალიფიკაცია მისცეს.

საქართველოს კანონმდებლობით, ტერმინი „ფულის გათეთრება“ უკანონო შემოსავლების ლეგალიზებას გულისხმობს. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია კი უკანონო საქმიანობიდან (იარაღით უკანონო ვაჭრობა, ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობა, ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვა) მიღებული ფულისათვის ან სხვა ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემას, აგრეთვე, უკანონო შემოსავლის წყაროს, ადგილმდებარეობის, განთავსების, მოძრაობის, ქონების ნამდვილი მესაკუთრის ან მფლობელის, ანდა ქონებრივი უფლების დამალვას ნიშნავს.

18 ოქტომბერს „ბანკმა ქართუმ“ საბანკო საქმიანობაში მიღებული ოპერაციის – სალაროს გამაგრების მიზნით

„საქართველოს ბანკიდან“ ნაღდი ფულის გამოტანა გადაწყვიტა და „კომერც ბანკსა“ (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) და „დოიჩე ბანკში“ (ამერიკის შეერთებული შტატები) არსებული ანგარიშებიდან „საქართველოს ბანკის“ ანგარიშზე ერთი მილიონი ევრო და ორი მილიონი დოლარი გადარიცხა. ამ ტრანზაქციების სანაცვლოდ „ქართუ ბანკს“ „საქართველოს ბანკში“ ნაღდი ფულის სახით 2 მლნ აშშ დოლარი და 1 მლნ ევრო უნდა მიეღო.

„კომერც ბანკიდან“ და „დოიჩე ბანკიდან“ „ქართუ ბანკის“ ანგარიშზე თანხების გადმორიცხვის ოპერაციისთვის უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის („ფულის გათეთრების“) კვალიფიკაციის მინიჭებით, ამ ოპერაციაში მონაწილე ყველა მხარე ქართველმა სამართალდამცავებმა დანაშაულის თანამონაწილეებად აქციეს.

მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლებრივი დევნა ამ დრომდე არცერთი პირის მიმართ არ დაწყებულა, „ქართუ ბანკი“ კუთვნილი ქონების – ფულისა და საინკასაციო მანქანის დაბრუნებას დღემდე ამაოდ ელოდება.

„ქართუ ბანკის“ ინკასაციის მანქანაზე ფულის გათეთრების აღკვეთის საბაბით განხორციელებულ სპეცოპერაციამდე რამდენიმე დღით ადრე ზეწოლა ბანკის კლიენტებზე დაიწყო. 7 ოქტომბრიდან (ამ დღეს გააკეთა ბიძინა ივანიშვილმა განცხადება პოლიტიკური პარტიის შექმნისა და 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის შესახებ) 27 ოქტომბრის ჩათვლით, „ქართუ ბანკიდან“ 45 მილიონი ლარი გავიდა — ბანკში ანგარიში 250-მდე მსხვილმა ორგანიზაციამ დახურა. „ეს ძირითადად ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების წევრთა მიერ კონტროლირებადი ბიზნესკომპანიების ანგარიშები იყო“, – ამბობს „ქართუ ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ნოდარ ჯავახიშვილი.

„საქართველოს ბანკის“ ტერიტორიაზე სამართალდამცავი ორგანოების მიერ განხორციელებული სპეცოპერაციის მეორე დღეს, 19 ოქტომბერს ეროვნულმა ბანკმა „ქართუ ბანკის“ შემოწმება დაიწყო.

„ქართუ ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ, გენერალურმა დირექტორმა, მისმა მოადგილეებმა, რომლებიც თითქმის ათი წელია, „ბანკ ქართუს“ აქციონერის ინტერესებს წარმოადგენდნენ, ამავე აქციონერთან კონფლიქტის შემდეგ ერთსა და იმავე დღეს თანამდებობები დატოვეს. ადმინისტრაციის ასეთი რადიკალური, ბუნდოვანი და დაუსაბუთებელი ცვლილება, ბუნებრივია, შეკითხვებს ბადებს, რაც ეროვნული ბანკის ყურადღების მიღმა ვერ დარჩებოდა“, – ამბობს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე.

„ქართუ ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელმა და „ქართუ ჯგუფის“ პრეზიდენტმა გიგა ჩრდილელმა თანამდებობა მას შემდეგ დატოვა, რაც ბიძინა ივანიშვილმა 12 ოქტომბერს ის ხელისუფლების „აგენტობაში“ დაადანაშაულა. ბანკიდან გიგა ჩრდილელის წასვლის შემდეგ საკუთარი განცხადებების საფუძველზე თანამდებობიდან გადადგნენ „ქართუ ბანკის“ გენერალური დირექტორი გიორგი კვირიკაშვილი და მისი მოადგილეები.

ქადაგიძე ამბობს, რომ „ქართუ ბანკის“ შემოწმება იმდენ ხანს გაგრძელდება, რამდენიც „ყველა კითხვაზე პასუხის გაცემას“ დასჭირდება.

„ბანკ ქართუში“ აცხადებენ, რომ ბანკში მყისიერად დაწყებული შემოწმება, ფაქტობრივად, დროებითი ადმინისტრაციის რეჟიმში ფუნქციონირებს. ამ შემოწმების შედეგების შესახებ ეროვნული ბანკი კომენტარს არ აკეთებს.

ზუსტად 4 წლის წინ საქართველოს ხელისუფლება ანალოგიური მიზეზით და ანალოგიური სქემით კამპანიას „სტანდარტ ბანკის“ წინააღმდეგ ახორციელებდა. „სტანდარტ ბანკის“ აქტივები ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილს ეკუთვნოდა. საქართველოს ხელისუფლებამ ცნობილი ოლიგარქის კუთვნილი ბანკის წინააღმდეგ ფინანსური ბერკეტები 2007 წლის ნოემბერში აამოქმედა – მაშინ, როცა პატარკაციშვილი პოლიტიკურ არენაზე ღიად გამოვიდა.

„სტანდარტ ბანკის“ წინააღმდეგ გალაშქრებას წინ უძღოდა მედია ჰოლდინგ „იმედის“ დახურვა და მთაწმინდის პარკის ჩამორთმევა. 2007 წლის 24 ნოემბერს ეროვნულმა ბანკმა ლიკვიდობის პრობლემის საბაბით „სტანდარტ ბანკში“ დროებითი ადმინისტრაცია დანიშნა. არადა, მანამდე „სტანდარტ ბანკს“ აქტივების სიდიდით საქართველოს უმსხვილეს ბანკებს შორის მე-7 ადგილი ეკავა. ბანკში დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნამდე რამდენიმე თვით ადრე კი ეროვნულმა ბანკმა „სტანდარტ ბანკს“ „CAMEL“-ის სისტემის მიხედვით მეორე კატეგორია მიანიჭა, რაც ქართულ კომერციულ ბანკებს შორის უმაღლესი კატეგორიაა.

SALFORD GEORGIA-ს აღმასრულებელი დირექტორი, ირაკლი რუხაძე აცხადებდა, რომ ხელისუფლების ზეწოლით „სტანდარტ ბანკიდან“ კლიენტებმა 2007 წლის ნოემბრის მხოლოდ ორი კვირის განმავლობაში ბანკის აქტივების 25%, ანუ 40 მილიონი ლარი გაიტანეს. რუხაძე ამბობდა, რომ: „ეს განზრახ გაკეთდა, რათა ხელოვნურად შემცირებულიყო „სტანდარტ ბანკის“ ლიკვიდობის კოეფიციენტი“.

სწორედ ლიკვიდობის პრობლემა გახდა „სტანდარტ ბანკში“ დროებითი ადმინისტრაციის დანიშვნის მიზეზი. SALFORD GEORGIA-ს წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ ბანკის ფინანსური რესურსების შევსება შეეძლოთ. თუმცა, მათ ამის საშუალება საქართველოს ხელისუფლებამ არ მისცა.

„სტანდარტ ბანკის“ დროებით ადმინისტრაციას ეროვნული ბანკის ამჟამინდელი პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე ხელმძღვანელობდა. ის მაშინ ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ხელმძღვანელი იყო.

პატარკაციშვილის გარდაცვალების შემდეგ, ბანკი არაბეთთა გაერთიანებული საამიროს საინვესტიციო ჯგუფზე გაიყიდა. მისმა ოჯახმა ეს აქტივი ვერც საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული შეთანხმების შემდეგ დაიბრუნა.

„სტანდარტბანკისგან“ განსხვავებით, „ქართუ ბანკის“ მიმართ ქართული საზოგადოება უფრო სოლიდარული აღ-

„საქართველოს ეროვნული ბანკის“ შენობა

ფოტო: დავითი მაჩიხარიშვილი / REUTERS

ზუსტად 4 წლის წინ საქართველოს ხელისუფლება ანალოგიური მიზეზით და ანალოგიური სქემით კამპანიას „სტანდარტ ბანკის“ წინააღმდეგ ახორციელებდა. „სტანდარტ ბანკის“ აქტივები ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილს ეკუთვნოდა. საქართველოს ხელისუფლებამ ცნობილი ოლიგარქის კუთვნილი ბანკის წინააღმდეგ ფინანსური ბერკეტები 2007 წლის ნოემბერში აამოქმედა – მაშინ, როცა პატარკაციშვილი პოლიტიკურ არენაზე ღიად გამოვიდა.

მოჩნდა. ბიძინა ივანიშვილის კუთვნილი ბანკისთვის მორალური მხარდაჭერის მიზნით, აქცია 1 ნოემბერს დაიწყო. „ქართუ ბანკის“ მხარდასაჭერ ინიციატივას ანაბრების გახსნის თაობაზე 600-ზე მეტი ადამიანი გამოეხმაურა. ბანკის ახალი მეანაბრეები ძირითადად რიგითი მოქალაქეები არიან.

„ქართუ ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭომ აქციის მეორე დღეს სპეციალური განცხადება გაავრცელა და განაცხადა, რომ ეროვნული ბანკის შემმოწმებლებმა ყველა იმ ფიზიკური და იურიდიული პირის დეტალური პირადი ინფორმაცია (სახელი, გვარი,პირადი ნომერი, ანგარიშის ნომერი და თანხა) მოითხოვეს, რომლებმაც მორალური მხარდაჭერის ნიშნად ბანკში ანგარიშები გახსნეს.

„ქართუ ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ნოდარ ჯავახიშვილი ამბობს, რომ „უსაფუძვლოდ წართმეული დიდი ოდენობის ფულადი სახსრების“ მიუხედავად, ბანკი ფინანსურ პრობლემებს არ განიცდის.

„FORBES“-ის რეიტინგის მიხედვით, ბიძინა ივანიშვილს მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ადამიანების რეიტინგში 185-ე, ხოლო რუსეთის მდიდარი ადამიანების სიაში 25-ე ადგილი უკავია.

მისი ქონება 5,5 მილიარდ დოლარად არის შეფასებული (3.46 მილიარდი ევრო), რაც ქართული ეკონომიკის მთლიანი ღირებულების დაახლოებით ნახევარია.

შესაძლოა, „ქართუ ბანკის“ წინააღმდეგ დაწყებული კამპანია მხოლოდ შესავალია.

პოლიტიკური ძალაუფლებისთვის ბრძოლა საქართველოში ახლა იწყება.

მანამდე კი „ქართუ ბანკი“ „უსაფუძვლოდ და უპრეცედენტო ძალადობით შელახული სახელისა და იმიჯის აღდგენას და უკანონოდ ჩამორთმეული დიდი ოდენობის ფულადი სახსრების დაბრუნებას ითხოვს“.

"ენვერის" N1 "ჯაშუშის" განაჩენი

დოკუმენტაციის ნაწილის გაცნობით შეუძლებელია იმის დადგენა, მართლაც ჯაშუშია თუ არა ბაკურ კილურაძე, რომელიც „ენვერის“ წევრთა სიაში პირველ ნომრად მოხვდა. თუმცა, განაჩენი უამრავ კითხვას აჩენს, რასაც სახელმწიფო ბრალდებამ და სასამართლომ განაჩენში პასუხი არ თუ ვერ გასცა. ფაქტია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებაში ვარაუდი უფრო მეტია, ვიდრე მტკიცებულებებით გამყარებული არგუმენტები. ეს პირველი განაჩენია, რომელიც „ენვერის“ საქმის ირგვლივ ჟურნალისტებისათვის ხელმისაწვდომი გახდა.

გიორგი მგელაძე

გრიფით „საიდუმლო“ საქმეები

2010 წლის 5 ნოემბერს შინაგან საქმეთა სამინისტრომ საზოგადოებას ოპერაცია „ენვერის“ შესახებ ამცნო. კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წარმომადგენლის განცხადებით, მათ 15-მდე ჯაშუში დააკავეს, რომლებიც რუსული სპეცსამსახურების სასარგებლოდ მუშაობდნენ. რუსეთის ფედერაციის, თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის მთავარ სამმართველოსთან ე.წ. გრუს-თან ფარულ კავშირში ეჭვმიტანილი 13 პირის ვინაობა იმავე დღეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

მას შემდეგ 1 წელი გავიდა, დაკავებულთაგან, ნაწილს საპროცესო შეთანხმება გაუფორმეს, მეორე ნაწილმა დანაშაული არ აღიარა და ჯაშუშობისთვის სოლიდური სასჯელი მიუსაჯეს. მათი საქმე დღეს სააპელაციო სასამართლოშია გასაჩივრებული.

ცამეტივე დაკავებულის საქმეს გრიფი „საიდუმლო“ ადევს და საზოგადოებისთვის თითქმის არაფერია ცნობილი, გარდა „რუსთავი2“-ის და შსს-ს მიერ ერთობლივად მომზადებულ დოკუმენტურ ფილმში მოხმობილი ცნობებისა. ამჯერად 13-კაციანი სიის პირველი ნომრის, ბაკურ კილურაძის გრიფით „საიდუმლო“ საქმეზე მოგითხრობთ.

ჯაშუში N1

შსს-ს ინფორმაციით, ოპერაცია „ენვერის“ ფარგლებში დააკავეს ბაკურ შალვას ძე კილურაძე, რომელიც „გრუ-ს გადასცემდა საიდუმლო ინფორმაციას უცხო ქვეყნებთან საქართველოს სამხედრო თანამშრომლობის შესახებ“.

კილურაძის დაკავების კადრები „ენვერის“ შესახებ მომზადებულ დოკუმენტურ ფილმშიც მოხვდა.

ვინ არის ბაკურ კილურაძე და როგორ მოხვდა 13-კაციანი სიის თავში?

კილურაძე ათეულობით წელია ბიზნეს საქმიანობითაა დაკავებული, მისი კომპანია „ნიბა ინვესტი“ ახორციელებდა ათეულობით მილიონ დოლარად ღირებულ დეველოპერულ პროექტს „ნიბა დელისი“. პროექტი დელისის მეტროსთან მინისქვეშა სავაჭრო კომპლექსის და 165-მეტრიანი სავაჭრო კოშკის აშენებას ითვალისწინებდა. კილურაძის მთავარი პარტნიორი პარლამენტის ყოფილი წევრი ნიკო ლეკიშვილი იყო.

სამართალდამცავებმა დაკავებული კილურაძე საზოგადოებას ორგანიზაცია „გლობალიზაციის ინსტიტუტის“ დამფუძნებლად წარუდგინეს. წარდგენილ ბრალს მისი საქმიანობის ეს ნაწილი ალბათ უფრო დამაჯერებელს ხდიდა.

თუმცა, 5 ნოემბერს ოპერაცია „ენვერში“ მისი გვარის მოხსენიება და მისი დაკავების კადრების ჩვენება ოჯახის წევრებისთვის მოულოდნელი იყო. ბაკურ კილურაძე „ენვერამდე“ 4 თვით ადრე, 10 ივლისს დააპატიმრეს. ოჯახის წევრებმა, ადვოკატების დახმარებით გაარკვიეს, რომ კილურაძეს „ენვერთან“ არაფერი აკავშირებდა.

კილურაძე და „ენვერი“

ბაკურ კილურაძე ჯაშუშობის ბრალდებით გაასამართლეს და 9-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. კილურაძემ ქართული სასამართლოს ყველა ინსტანცია ისე გაიარა, ბრალი არ უღიარებია. ოჯახის წევრები და ადვოკატები ამბობენ, რომ ის უდანაშაულოა და ჯაშუშობის ბრალდება აბსურდულია.

კილურაძის საქმის მასალებში და მის მიმართ გამოტანილ განაჩენში „ენვერის“ არცერთი მონაწილე არაა ნახსენები. ბრალდება მას „ენვერის“ წევრებთან კავშირში არც შედავება. ბაკურ კილურაძე არც იმ 9 პატიმრის საქმეშია ნახსენები, რომლებიც ბათუმის სასამართლომ ოპერაცია „ენვერის“ ფარგლებში გაასამართლა.

ეს ფაქტი ჩვენ 9 პატიმრიდან ნაწილის ადვოკატებთან გადავამოწმეთ. „ბაკურ კილურაძის სახელი და გვარი პირველად მესმის, მე ამ 9 პატიმრიდან რამდენიმეს ვიცავ და მათ პროცესებში ვმონაწილეობდი. არც თანამზრახველად, არც მოწმედ და საერთოდ, კილურაძე პროცესზე არა-

ვის უხსენებია“, – გვითხრა ადვოკატმა ნანა წულაძემ.

ანალოგიური კომენტარი მოგვცა 9 პატიმრიდან ერთ-ერთის ადვოკატმა გელა ნიკოლაიშვილმაც. „დარწმუნებით გეუბნებით, კილურაძის ხსენება არ ყოფილა პროცესზე, „ენვერის“ მონაწილეებს შორის ბაკურ კილურაძე არც ყოფილა და არც არის.“

როგორ მოხვდა სამართალდამცავების მიერ გავრცელებულ „ენვერის“ მონაწილეთა სიაში ბაკურ კილურაძე და რატომ არ ჩანს მის მიმართ წარდგენილ ბრალში „ენვერი“? ამ კითხვაზე პასუხი მთავარ პროკურატურას ვთხოვეთ, თუმცა უშედეგოდ.

კილურაძის ეპიზოდი „ენვერის“ საქმეში ბევრ კითხვას აჩენს, ეჭვი მძაფრდება იმ ფონზე, როცა ოპერაციის მასალებს გრიფი „საიდუმლო“ ადევს.

მტკიცებულებები

საქართველოში ბოლო წლების პრაქტიკის შესაბამისად, ბაკურ კილურაძის საქმის მასალებიც სრულად გასაიდუმლოებულია, მიუხედავად იმისა, რომ კანონი ნაწილობრივ გასაიდუმლოებასაც ითვალისწინებს, ქართული სასამართლო საზოგადოებას არ წყალობს. კილურაძის განაჩენი, რომელიც ჩვენს ხელთ აღმოჩნდა, ეჭვს ბადებს, რომ ჯაშუშობის საქმეების მთლიანად გასაიდუმლების ერთ-ერთი მიზეზი მტკიცებულებების სისუსტეა. განაჩენის მიხედვით, პროკურატურა კილურაძეს 2 ეპიზოდს ედავებოდა.

პირველი ეპიზოდი

ბრალდების მიხედვით, ბაკურ კილურაძემ რუსეთის სადაზვერვო სამმართველოს დავალებით, 2002 წელს დააფუძნა „გლობალიზაციის ინსტიტუტი“, სადაც ქართველი ექსპერტების ნაწილი შემოიკრიბა და მათთან ერთად საქართველოს გეოპოლიტიკურ ვექტორებზე კვლევებს ამზადებდა. ბრალდების ვერსიით, კილურაძე გრუ-ს დავალებით ამ მეცნიერების ნაშრომებს რუსული მხარისთვის მისაღებ ინტერპრეტაციას აძლევდა. გამოძიების ვერსიით ინტერპრეტირებულ ნაშრომებს კილურაძე პუტინის ყოფილ მრჩეველს, ალექსანდრე დუგინს უგზავნიდა, რომელიც ამ ნაშრომებს ინტერნეტში საკუთარ ვებგვერდზე ათავსებდა. „მისი კილურაძის) უშუალო ნებართვის გარეშე, ვერანაირად მოხერხდებოდა მათი განთავსება ხსენებულ ვებგვერდზე“, – ამ ფრაზით სრულდება ბრალდების პირველი ეპიზოდი. ამ ეპიზოდის ნივთიერი ან სხვა სახის პირდაპირი მტკიცებულება ბრალდე-

ბაკურ კილურაძე

კილურაძის საქმის მასალებში და მის მიმართ გამოტანილ განაჩენში, „ენვერის“ არცერთი მონაწილე არაა ნახსენები. ბრალდება მას ენვერის წევრებთან კავშირში არც შედავებია. ბაკურ კილურაძე არც იმ 9 პატიმრის საქმეშია ნახსენები, რომლებიც ბათუმის სასამართლომ ოპერაცია „ენვერის“ ფარგლებში გაასამართლა.

ბას სასამართლოსთვის არ წარუდგენია, ერთადერთი მტკიცებულება „გლობალიზაციის ინსტიტუტის“ ექსპერტის და უშიშროების სტრუქტურების ყოფილი თანამშრომლის, ბ.ო.-ს ჩვენებაა, რომელიც სასამართლოზე ვარაუდებს გამოთქვამს, რომ კილურიძე რუსულ დაზვერვასთან თანამშრომლობდა. მოწმე ბ.ო.-ც, რომელიც 20 წელი უშიშროებაში მუშაობდა, პატიმრობაში იყო, მან კილურაძის წინააღმდეგ ჩვენება გამოძიებასაც და სასამართლოსაც როგორც პატიმარმა მისცა, თუმცა გამოძიებასთან თანამშრომლობის შემდეგ, მალევე გაათავისუფლეს.

პირველ ეპიზოდში ფიგურირებს იმ დროს უკვე ჯაშუშობისთვის გასამართლებული ექსპერტი, ვახტანგ მაისაია, რომელიც თითქოს და ალექსანდრე დუგინსა და კილურაძეს შორის კავშირს ადასტურებდა. დაცვის მხარის არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, მაისაია სასამართლომ არ დაკითხა.

საბოლოოდ, პირველი ეპიზოდის მთავარ დანაშაულად მეცნიერული ნაშრომების დუგინის საიტზე განთავსება ჩაითვალა.

„ის ფაქტი, რომ მაისაიამ წაიღო ეს ნაშრომი და დუგინის საიტზე გამოქვეყნდა, ჩემთვის უცნობია. დუგინს მე არ ვიცნობ, მის საიტზე გამოქვეყნებაზეც ინფორმაციას არ ვფლობ, ვიცი, რომ ეს ნაშრომი მაისაიამ „ნატოში“ წაიღო და „ნატოს“ შეფასებები მივიღეთ. მაისაიას სულ 3-ჯერ შევხვდი, ჩემი გრუ-სთან კავშირი აბსურდია, ამას არასდროს ვაღიარებ“, – წერს ბაკურ კილურაძე ბრალდებაზე პასუხად.

მეორე ეპიზოდი

მეორე ბრალდება უფრო მძიმეა, ბრალდების მიხედვით: „კილურაძე ატყობინებდა რუსულ მხარეს საქართველოში ჩატარებული არჩევნების შედეგებს. აცნობებდა ქვეყანაში მოსალოდნელი დაძაბულობის შესახებ. უგზავნიდა „ნატოს“ საიდუმლო მასალებს, კერძოდ: ეროვნული გვარდიის ქვედანაყოფებში მობილიზაციის გეგმებს, საბრძოლო და რაოდენობრივი ზრდის გრაფიკებს, ასევე სხვა საიდუმლო ინფორმაციებს, რომლებსაც გამოძიებით დაუდგენელი არხების საშუალებით უგზავნიდა კიდეც რუსეთის ფედერაციის სადაზვერვო სამსახურს“ – ციტატის დასასრული.

ამ ბუნდოვან ბრალს სამართალდამცავები აღმოჩენილი დოკუმენტებით ამყარებენ.

გამოძიების მიხედვით, დაკავებული კილურაძის კაბინეტის და სახლის ჩხრეკისას, რამდენიმე ლეპტოპი ამოიღეს, მათ შორის ერთ- ერთი HP-ს ფირმის. სწორედ ამ ლეპტოპში აღმოაჩინა გამოძიებამ ჯაშუშობის მტკიცებულებები. კომპიუტერის ერთ-ერთ ფაილში, ბრალდების ვერსიით, ზემოთ ჩამოთვლილი სამხედრო ინფორმაცია აღმოჩნდა. განაჩენის მიხედვით, ბრალდებამ ვერ დაადგინა, საიდან, როდის, ვინ მოიპოვა და კილურაძეს ვინ გადასცა ეს საიდუმლო დოკუმენტები. ფაქტია ის, რომ რიგით ბიზნესმენს ასეთი ტიპის ინფორმაციაზე ხელი ვერ მიუწვდებოდა.

„სასამართლომ არ დააკმაყოფილა ჩვენი შუამდგომლობები სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებების ექსპერტიზასთან დაკავშირებით, მაგალითად არ შემოწმდა ლეპტოპი HP. ექსპერტიზა დაადგენდა ვინ, როდის, რა ფორმატის და გაფართოების მასალა შეიტანა კომპიუტერში – ანუ როდის არის შეტანილი კომპიუტერში „საიდუმლო“ მასალა.

პირველი ინსტანციის სასამართლოზე დავრწმუნდით, რომ ამ ლეპტოპში შეცვლილი იყო სისტემა, მაგალითად, ზოგიერთი ფაილი შექმნილი იყო იმაზე გვიან, ვიდრე მასში ცვლილება განხორციელდა. მაგალითად, კონკრეტული ფაილი შეიქმნა 2008 წელს, მასში ცვლილება შეიტანეს 2006 წელს, რაც აშკარად გამოკვლევას საჭიროებდა. თუმცა, მოსამართლემ არცერთი შუამდგომლობა არ დაგვიკმაყოფილა“, – ამბობს კილურაძე.

განაჩენის მიხედვით, სწორედ ლეპტოპში აღმოჩენილი ეს ფაილები წარმოადგენს იმ საიდუმლო ინფორმაციას, რომელსაც გამოძიების ვერსიით კილურაძე „გრუ“-ს უგზავნიდა.

ბრალდების მიხედვით, კილურაძე სარგებლობდა ვინმე გიორგი ფხაკაძის სახელზე დარეგისტრირებული „მაგთის“ ნომრით. ამ ნომრით უკავშირდებოდა კილურაძე რუსულ მხარეს და აწვდიდა ინფორმაციას.

განაჩენის მიხედვით, დაუდგენელია მართლაც სარგებლობდა თუ არა კილურაძე ამ ნომრით, არ არის გადამოწმებული და დადგენილი იმ რუსული ნომრის მფლობელი, სადაც სმს-ები იყო გაგზავნილი, საეჭვოა ამ ნომრის კილურაძის მიერ ფლობაც. აქ ერთი ფაქტია ნიშანდობლივი: გამოძიება 3 თვე ოფიციალურად უსმენდა კილურაძის და მისი ახლობლების ნომრებს, მაგრამ საქმეში ჩანაწერები რომელიც ჯაშუშობას გაამყარებდა, ვერ წარმოადგინეს, ბოლოს გაჩნდა საქმეში ოპერ-მუშაკის პატაკი, რომ კილურაძე თურმე ზემოხსენებულ „მაგთის“ ნომერს იყენებდა.

„მაგთის“ იმ ნომრიდან, რომელიც თითქოს მე მქონდა, მხოლოდ 2009–2010 წლების განმავლობაში განხორციელებულია ეს 5 SMS-გზავნილი და 2010 წლის 25 მაისიდან 2010 წლის 10 ივლისამდე პერიოდში სხვა რაიმე ზარი „მაგთის“ ინფორმაციით არ ფიქსირდება. ჩვენ დავადგინეთ, რომ გიორგი ფხაკაძე, რომელზეც ეს ნომერი იყო რეგისტრირებული, ბუნებაში არ არსებობს, გამოძიების მიერ მითითებულ მისამართზე და მითითებული პირადი ნომრით სამოქალაქო რეესტრის მონაცემებით ასეთი პიროვნება არ არსებობს, არ არსებობს გიორგი ფხაკაძეზე გაცემული პირადი ნომერი. ის სიმ-ბარათიც ჩხრეკის დროს სამართალდამცავებმა დამიგდეს მაგიდაზე, რაც მათ მიერ გადაღებულ ჩხრეკის ამსახველ ვიდეო მასალაშიც ჩანს. მიუხედავად ამისა, მოსამართლემ არ დააკმაყოფილა ჩვენი შუამდგომლობა და არ დანიშნა სიმ-ბარათის ექსპერტიზა, რაც დაადგენდა მართლაც ვსარგებლობდი თუ არა ამ ნომრით, ვდებდი თუ არა ტელეფონში და ვატარებდი თუ არა თან, ამის დადგენა შესაძლებელი იყო, მაგრამ სასამართლო არ დაინტერესდა“.

კილურაძე 9-წლიან სასჯელს იხდის, უზენაესმა სასამართლომ მისი საქმე წარმოებაში არ მიიღო. რას შეეწირა მისი თავისუფლება, ჯაშუშურ საქმიანობას თუ მის ათეულობით მილიონიან ბიზნეს, რომელიც შეჩერებულია და ამ ეტაპზე პერსპექტივადაკარგულიც, ამ კითხვებზე პასუხს „ლიბერალი“ ისევ დაუბრუნდება.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ კვლევა

საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სისტემა

საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სისტემა მედიის, პარტიებისა და სამოქალაქო საზოგადოების სისუსტითა და აღმასრულებელი შტოს დომინირებით ხასიათდება. ეს, სხვა ნეგატიურ მხარეებთან ერთად, იმასაც ნიშნავს, რომ თანამდებობრივი ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა საქართველოში კვლავაც სერიოზულ პრობლემად რჩება.

დიანა ჩაჩუა



წყარო: „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“

„2004-2007 წლების მნიშვნელოვანი ზრდის მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკა კვლავ სუსტია, სიღარიბისა და უმუშევრობის მაჩვენებლები კი – მაღალი. ეკონომიკის სისუსტე გავლენას ახდენს ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის საყრდენ ინსტიტუტებზე. მაგალითად, ის განაპირობებს მედიის სარეკლამო ბაზრის სიმცირეს. ამის შედეგად, მსხვილი მედია-ერთეულები იძულებულნი არიან, პოლიტიკურად მოტივირებული ფინანსური ინექციებით იარსებონ, რაც გავლენას ახდენს მათ დამოუკიდებლობაზე. ეკონომიკის სისუსტე ასევე ზღუდავს სამოქალაქო საზოგადოებისა და პოლიტიკური პარტიების მიერ სახსრების მოზიდვის შესაძლებლობებს“, – ნათქვამია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ახალ კვლევაში – „საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის შეფასება“, რომლის ფარგლებშიც 2009-2011 წლებში 12 ძირითადი ინსტიტუტის სიძლიერის ანალიზი განხორციელდა.

სუსტი ეკონომიკური მაჩვენებლების ფონზე, საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სისტემა აღმასრულებელი შტოს და სამართალდამცავი უწყებების დომინირებითა და სხვა ინსტიტუტების შედარებითი სისუსტით ხასიათდება. მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი უწყება მათთვის განსაზღვრულ როლებს კარგად ასრულებს, კვლევის ავტორების თანახმად, სხვა ინსტიტუტების სისუსტის გამო მათი ანგარიშვალდებულება პრაქტიკაში უზრუნველყოფილი არ არის.

2004 წლიდან მოყოლებული, ხელისუფლებამ არაერთი ანტიკორუფციული კანონი მიიღო და შეცვალა. თუმცა, ეს სამართლებრივი ნორმები პრაქტიკაში სრულად ჯერაც არ დანერგილა, რასაც კვლევა პოლიტიკური ნების ნაკლებობით ან მათი აღსრულების ძლიერი მექანიზმების არარსებობით ხსნის.

აღმასრულებელი შტო

აღმასრულებელი შტო საქართველოში ხელისუფლების ყველაზე ძლიერი რგოლია. საერთო დაფინანსების გაზრდითა და დაბალ დონეზე კორუფციის შემცირებით აღმასრულებელმა ხელისუფლებამ საჯარო სექტორის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას მიაღწია. თუმცა „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" კვლევის თანახმად, დამოუკიდებელი და ეფექტიანი საჯარო სექტორის განვითარებას მის საქმიანობაში აღმასრულებელი შტოს გადამეტებული ჩარევა და სრულმასშტაბიანი რეფორმის არარსებობა უშლის ხელს.

საკანონმდებლო ორგანოსა და სასამართლო ხელისუფლებაზე აღმასრულებელი შტოს მეტისმეტმა გავლენამ, კვლევის თანახმად, ურთიერთდაბალანსებისა და კონტროლის სისტემის შესუსტება და მისი ანგარიშვალდებულების ხარისხის შემცირება გამოიწვია.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო მმართველობის ქვედა დონეებზე კორუფცია შემცირდა და თითქმის აღმოიფხვრა, გამოითქვა მოსაზრება, რომ მაღალი დონის კორუფცია, სავარაუდოდ, ისევ პრობლემას წარმოადგენს. ამ მოსაზრების სისწორის დასაბუთება კვლევის ავტორების შეფასებით რთულია, თუმცა „როგორც „ბერტელსმანის ტრანსფორმაციის ინდექსში" სწორად არის აღნიშნული, ბოლო დროს მნიშვნელოვნად გაიზარდა ნეპოტიზმისა და შიდა გარიგებების შესაძლებლობები, რადგან ხელისუფლება ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ პირთა ვიწრო წრის ხელშია კონცენტრირებული", – ვკითხულობთ კვლევაში.

სამართალდამცავი უწყებები

საქართველოში კიდევ ერთ ძლიერ შტოდ მიჩნეულ სამართალდამცავ უწყებებს ზოგ შემთხვევაში ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის ინტერესების გასატარებლად იყენებენ. ამის მაგალითად კვლევის ავტორებს ორი გავრცელებული ინფორმაცია მოჰყავთ: 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში სამართალდამცველების მიერ მმართველი პარტიისთვის ოპოზიციის აქტივისტებზე ზეწოლაში გაწეული დახმარება და 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ პოლიციის მიერ ოპოზიციური კანდიდატების დაშინებაში მონაწილეობა.

„არსებობს მოსაზრება, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო მეტად ძლიერ ორგანოდ რჩება, რომელზეც გარე კონტროლი არ ხორციელდება. არც სამინისტრო და არც პოლიციის ცალკეული თანამშრომლები საკუთარი ქმედებების გამო საკმარისად ანგარიშვალდებულნი არ არიან. სათანადო ზედამხედველობის არარსებობის პირობებში, კვლავაც ხდება თანამდებობის ბოროტად გამოყენების შემთხვევები", – ნათქვამის კვლევაში.

სასამართლო ხელისუფლება

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" კვლევაში სასამართლო ხელისუფლებისადმი მიძღვნილ ქვეთავში ამ უწყების დამოუკიდებლობის არარსებობაზეა საუბარი. ეს განსაკუთრებით ისეთ სიტუაციებს ეხება, როდესაც სასწორზე მთავრობის პოლიტიკური ინტერესები დევს. რაც შეეხება სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებს, მათ უმეტესობას „სასამართლოები, როგორც ჩანს, დამოუკიდებლად და კანონის შესაბამისად განიხილავენ".

საკანონმდებლო ორგანო

საკანონმდებლო ორგანო არასაკმარისად არის დამოუკიდებელი და აღმასრულებელ შტოზე ზედამხედველობის ფუნქციას სათანადოდ ვერ ასრულებს. „ეს ასუსტებს ურთიერთშეკავებისა და გაწონასწორების მთელ მექანიზმს ქვეყნის მმართველობის სისტემაში", – ნათქვამია კვლევაში.

პოლიტიკური პარტიები

როგორც კვლევის ავტორები აღნიშნავენ, ქართულ პარტიებში გადაწყვეტილების მიღების დემოკრატიული პროცესის არარსებობის გამო მთელი პოლიტიკური ძალაუფლება პრეზიდენტისა და მისი გუნდის რამდენიმე ძირითადი წევრის ხელშია კონცენტრირებული. ამასთან, პრაქტიკაში მმართველი პარტია და საჯარო სამსახური ერთმანეთისგან მკაფიოდ არ არის გამიჯნული, რაც არჩევნების დროს მმართველ პარტიას ადმინისტრაციული რესურსებით შეუზღუდავად სარგებლობის საშუალებას აძლევს.

პარტიების სისუსტე გამოწვეულია, როგორც მათი შიდა ნაკლოვანებებით, ისე კონკურენციის თანაბარი პირობების არარსებობით, განსაკუთრებით ფინანსური სახსრებისა და მედიის ხელმისაწვდომობის მხრივ.

„ქართულ პოლიტიკურ პარტიებს დემოკრატიული შიდა მართვის ქმედითი მექანიზმები არ გააჩნიათ. ამის ნაცვლად, ისინი, როგორც წესი, „პერსონებზე ორიენტირებული" ორგანიზაციები არიან, ანუ ცალკეული პოპულარული ლიდერების ირგვლივ ყალიბდებიან და ვითარდებიან. ეს ძალზე დიდ გავლენას ახდენს პარტიების შიდა მართვის სტილზე და მათ უნარზე, შეინარჩუნონ მდგრადობა ლიდერებისგან დამოუკიდებლად", – ნათქვამია კვლევაში „საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის შეფასება".

მედია

სხვა ანგარიშების მსგავსად „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" კვლევაც ქართული მედიის ღრმა პოლარიზაციაზე, მიკერძოებულობაზე და ფინანსურ პრობლემებზე საუბრობს. მედიის დღის წესრიგი, კვლევის ავტორების შეფასებით, ხშირად ხელისუფლების ან ოპოზიციის გავლენით ყალიბდება და „ზოგადად მიიჩნევა, რომ მედია-ერთეულების უმრავლესობა ერთ-ერთი მხარის პოზიციას იზიარებს".

მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება პრაქტიკაში მედიის კეთილსინდისიერი საქმიანობაც, რადგან საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მიღებული ქცევის კოდექსი პრაქტიკაში ეფექტიანად არ სრულდება. კოდექსის დარღვევისთვის მაუწყებლებს სამართლებრივი სანქციები ყოველთვის არ ეკისრებათ და მათ შეუძლიათ თავად გადაწყვიტონ, როგორ უნდა იმოქმედონ.

მედიის დამოუკიდებლობის თვალსაზრისით, არსებული მდგომარეობა დედაქალაქსა და რეგიონებში განსხვავებულია, რადგან ჟურნალისტები თბილისის გარეთ უფრო სერიოზული გამოწვევების წინაშე დგანან.

როგორც კვლევაშია ნათქვამი, საქართველოს კანონმდებლობა მრავალფეროვანი და დამოუკიდებელი მედია-სექტორის არსებობას მნიშვნელოვან

დაბრკოლებებს არ უქმნის. კვლევის მიხედვით, საქართველოს, მთლიანობაში, კარგი კანონმდებლობა აქვს მედიის თავისუფლების მხრივ.

სამოქალაქო საზოგადოება

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ კვლევის შეფასებით, სამოქალაქო ორგანიზაციების კეთილსინდისიერების უზრუნველსაყოფად, პრაქტიკულად, არავითარი საშუალება არ არსებობს, რადგან მათ მთელი სექტორის მასშტაბით მოქმედი ქცევის კოდექსი ან სხვა თვითრეგულირების მექანიზმები არ გააჩნიათ.

მეორე მხრივ, არასამთავრობო ორგანიზაციები ვერც ხელისუფლების ანგარიშვალდებულების ეფექტიანად უზრუნველყოფას ახერხებენ. ეს კვლევის ავტორების თანახმად, როგორც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შიდა სისუსტეებით, ასევე პოლიტიკური გარემოთი არის გამოწვეული.

გარე ფაქტორების თვალსაზრისით, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მონიტორინგისა და ადვოკატირების შედეგიანობას ხელისუფლების მხრიდან მათდამი უყურადღებო დამოკიდებულებაც ამცირებს. კვლევის მიხედვით, ხელისუფლება პოლიტიკურ პროცესში სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობას სწრაფი მოქმედების შემაფერხებელ მუხრუჭად მიიჩნევს.

საარჩევნო ადმინისტრაცია

საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობის გაუმჯობესების მიუხედავად, ეს უწყება საარჩევნო პროცესის ზოგი ასპექტის სათანადოდ მართვას ჯერაც ვერ ახერხებს. საუბარია ხმების დათვლასა და შეჯამებაზე, ასევე არჩევნებთან დაკავშირებული საჩივრებისა და განცხადებების განხილვაზე. ამავე დროს, კვლევის მიხედვით, საარჩევნო ადმინისტრაციას საარჩევნო კამპანიის დაფინანსების მონიტორინგისა და რეგულირების სფეროში სათანადო უფლებამოსილებები არ გააჩნია.

საჯარო სამსახური

2004 წლის შემდეგ საჯარო სამსახურში განხორციელებული რადიკალური რეფორმები კვლევაში დადებითად არის შეფასებული, რის შედეგადაც ქრთამის აღების პრაქტიკა რეალურად აღმოიფხვრა. თუმცა, იქვე აღნიშნულია, რომ მთავრობამ საჯარო სამსახურში საერთო სტრატეგიის შემუშავება ჯერაც ვერ მოახერხა.

საჯარო მოსამსახურეების დასაქმების ვადა და სამუშაო ადგილის საიმედოობა პირდაპირ არის დაკავშირებული პოლიტიკური თანამდებობის პირების უფლებამოსილების ვადასთან. ეს, კვლევის ავტორების შეფასებით, საჯარო მოსამსახურეთა დამოუკიდებლობის უზრუნველმყოფი ქმედითი საკანონმდებლო მექანიზმების არარსებობით არის გამოწვეული.

ქართულ პარტიებში გადაწყვეტილების მიღების დემოკრატიული პროცესის არარსებობის გამო მთელი პოლიტიკური ძალაუფლება პრეზიდენტისა და მისი გუნდის რამდენიმე ძირითადი წევრის ხელშია კონცენტრირებული.

სახალხო დამცველი

კვლევაში სახალხო დამცველის ინსტიტუტი ძლიერ და დამოუკიდებელ უწყებად არის მოხსენიებული, რომელიც ადამიანის უფლებების დარღვევებს წარმატებით აღრიცხავს. ამის მიუხედავად, სახალხო დამცველი გარკვეული პრობლემების წინაშე დგას რესურსების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, ხოლო სხვა სამთავრობო უწყებები მას გამოძიების წარმოებაში ყოველთვის არ ეხმარებიან და მის რეკომენდაციებზე ყოველთვის არ რეაგირებენ.

კონტროლის პალატა

კონტროლის პალატას დარღვევების დასაფიქსირებლად როგორც სამართლებრივი მანდატი, ისე პრაქტიკული ინსტრუმენტები მოეპოვება. პალატამ ბოლო წლებში არაერთი დარღვევა აღმოაჩინა, თუმცა კვლევის თანახმად, საფუძლიანი ეჭვი არსებობს, რომ ამ უწყებას მთავრობის ყველაზე გავლენიან ელემენტებთან დასაპირისპირებლად საკმარისი დამოუკიდებლობა არ გააჩნია.

ბიზნესი

საქართველოში ბიზნესების რეგისტრაცია მარტივი და იაფი პროცედურაა და სახელმწიფო რეგულირების საერთო ტვირთიც მცირეა. თუმცა კვლევის მიხედვით, საკუთრების უფლებები საქართველოში სათანადოდ მაინც არ არის დაცული. 2006-2007 წლების უძრავი ქონების ბუმის შემდეგ მდგომარეობის გაუმჯობესების მიუხედავად, ხელისუფლება დროდადრო ქონების ექსპროპრიაციას ისევ არ ერიდება.

კვლევაში სასამართლოს მიკერძოებულობა ბიზნესთან დაკავშირებულ ქვეთავშიც არის ნახსენები. ამ გარემოებით ხსნიან „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“-ში იმ ფაქტს, რომ კანონის დებულებები, რომელთა მიზანია ბიზნესის დაცვა არაჯეროვანი ჩარევისგან, პრაქტიკაში ყოველთვის ეფექტიანად არ მოქმედებს.

რეკომენდაციები

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ ხელისუფლებას არსებული პრობლემების ანალიზის საფუძველზე რეკომენდაციებს სთავაზობს, რომლის მიხედვითაც მმართველობის მთელ სისტემაში კეთილსინდისიერების უზრუნველსაყოფად საკანონმდებლო ორგანოსა და სასამართლო ხელისუფლების გაძლიერებაა აუცილებელი. ორგანიზაციაში ასევე მიაჩნიათ, რომ საწყის ეტაპზე, საარჩევნო სისტემის ნაკლოვანებების აღმოფხვრა და არჩევნების დროს პოლიტიკური პარტიებისთვის თანაბარი პირობების უზრუნველყოფა სწორი ნაბიჯი იქნებოდა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ დასკვნით, ძალზე მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ არსებული ანტიკორუფციული კანონები პრაქტიკაში სრულყოფილად და თანმიმდევრულად გატარდეს და ყველა მნიშვნელოვან საჯარო უწყებასა და თანამდებობის პირზე გავრცელდეს.

სამხრეთ ოსეთი

პუტინის ფსონი VS ოპოზიციის ამფსონი

საპრეზიდენტო არჩევნები, რომელიც 13 ნოემბერს სამხრეთ ოსეთში გაიმართა, ყველაზე არაპროგნოზირებადი იყო რესპუბლიკის ისტორიაში. ვინ იფიქრებდა, რომ კანდიდატი, რომელიც თავად კრემლმა „აკურთხა“ პირველივე ტურში გამარჯვებას ვერ მოახერხებდა?

მარია ბესტაევა

მსგავს სიურპრიზს ყველაზე ნაკლებად სწორედ სამხრეთ ოსეთისგან ელოდნენ, სადაც პრორუსული განწყობები საკმაოდ მძლავრია. თუმცა, მოხდა ისე, რომ კრემლის კანდიდატს, სამხრეთ ოსეთის საგანგებო საქმეთა მინისტრს, ანატოლი ბიბილოვს მეორე ტურში ოპოზიციის კანდიდატის, განათლების ექსმინისტრის – ალა ჯიოევას დამარცხება მოუწევს. და არავინ იცის, მოახერხებს თუ არა იგი ამას.

რუსეთის ფავორიტს ამომრჩეველთა 25,44 პროცენტმა დაუჭირა მხარი. მეორე ადგილზე, უმნიშვნელო – 0,07 პროცენტიანი სხვაობით ალა ჯიოევა გავიდა. იგი ერთადერთი ქალი იყო პირველ ტურში მოასპარეზე პრეზიდენტობის 11 კანდიდატს შორის.

13 ნოემბერს, საპრეზიდენტო არჩევნების პარალელურად, სამხრეთ ოსეთში რეფერენდუმიც გაიმართა. «გსურთ თუ არა, რომ რუსულ ენას სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე სახელმწიფო ენის სტატუსი მიენიჭოს?» – ამ კითხვას მოსახლეობის 83,99 პროცენტმა დადებითად უპასუხა. ედუარდ კოკოითიმ რეფერენდუმის ამ შედეგს «რუსეთის საჩუქარი» უწოდა.

არჩევნების მეორე ტური 27 ნოემბერს გაიმართება. როგორც ოსი და რუსი ექსპერტები ამბობენ, მეორე ტურისთვის წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვა ზომიერ ბიბილოვს უფრო გაუჭირდება. არჩევნებმა აჩვენა, რომ კოკოითის ხელისუფლების თავშეკავებული კრიტიკით ფონს ვერ გახვალ, რადგან რესპუბლიკის მოსახლეობის დიდ ნაწილში საპროტესტო განწყობა მძლავრობს.

41 წლის ანატოლი ბიბილოვი კრემლის კანდიდატია. წინასაარჩევნო კამპანიის დროს მის მხარდასაჭერად ცხინვალში რიგრიგობით ჩამოდიოდნენ დუმის დეპუტატები და ბიბილოვის კანდიდატურას ღიად უჭერდნენ მხარს. ცხინვალში იმასაც ამბობენ, რომ კრემლის მხრიდან ასეთმა დაუფარავმა სიმპათიამ ბიბილოვს დათვური სამსახური გაუწია.

ბიბილოვმა სამხედრო კარიერა რუსეთში გაიკეთა. მან რიაზანის ლენინური კომსომოლის სახელობის რიაზანის უმაღლესი საჰაერო-სადესანტო სასწავლებელი დაამთავრა. სასწავლებლის დასრულების შემდეგ ფსკოვის სადესანტო დივიზიაში გაანაწილეს და ამავე დივიზიის შემადგენლობაში 1992 წელს ქართულ-ოსურ კონფლიქტში მონაწილეობდა. იგი 2008 წლის აგვისტოს ომის მონაწილეცაა.

2011 წლის სექტემბერში რუსეთის პრეზიდენტის, დიმიტრი მედვედევის განკარგულებით, რუსულ-ოსურ ურთიერთობებში შეტანილი წვლილისთვის ბიბილოვი მეგობრობის ორდენით დაჯილდოვდა.

ბიბილოვს დეკლარირებული მხარდაჭერა ქვეყნის მოქმედმა პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმაც გამოუცხადა, თუმცა ცხინვალში ეჭვი არავის ეპარება, რომ ეს, უბრალოდ, ფარსი იყო. რეალურად, კოკოითს თავის მემკვიდრედ სხვა კანდიდატი – ინფორმაციისა და კავშირგაბმულობის მინისტრი გიორგი კაბისოვი ესახებოდა. თუმცა, ედუარდ ჯეჯეის ძეს არ ეყო გამბედაობა, ღია წინააღმდეგობა გაეწია კრემლის კანდიდატისთვის.

ფორუმზე, რომელიც ბიბილოვის კანდიდატურის მხარდასაჭერად ცხინვალში გაიმართა, კოკოითი მის გვერდით იდგა. ეს უნდა ყოფილიყო იმის დემონსტრაცია, რომ კოკოითი კრემლის პოზიციას იზიარებს. ფორუმზე დუმის დეპუტატმა კონსტანტინ კოსაჩოვმა პრემიერ პუტინის მიერ გამოგზავნილი ტელეგრამა წაიკითხა. როდესაც კოსაჩოვმა კითხვა დაასრულა, მან ძვირფასი ტელეგრამა არა პრეზიდენტ კოკოითს, არამედ ბიბილოვს გადასცა. ყველამ შეამჩნია, რომ კოკოითი აშკარად გაღიზიანდა ამის გამო.

თუმცა, კრემლისთვის და ბიბილოვისთვის უკეთესი იქნებოდა, კოკოითი ამ ფორუმზე საერთოდ არ მისულიყო. არაპოპულარული პრეზიდენტის მხარდაჭერა მხოლოდ საზიანო აღმოჩნდა ბიბილოვისთვის.

პროფესიით პედაგოგის – ალა ჯიოევას წარმატებას სამხრეთ ოსეთში იმით ხსნიან, რომ კოკოითის მოსისხლე მტერმა, ოპოზიციონერმა ჯამბულატ თადეევმა საპრეზიდენტო არჩევნებში სწორედ მას დაუჭირა მხარი. თავად თედეევს პრეზიდენტობის კანდიდატად რეგისტრაციაზე უარი უთხრეს. გამოკითხვებით, თედეევს სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის 20 პროცენტი უჭერდა მხარს და ამ ხმების დიდი ნაწილი არჩევნებზე სწორედ ჯიოევამ მიიღო.

ალა ჯიოევა 2002-2008 წლებში სა-

ანატოლი ბიბილოვი

ალა ჯიოევა

მხრეთ ოსეთის განათლების მინისტრი იყო. 2008 წლის თებერვალში იგი დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს. მის წინააღმდეგ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების მუხლით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. საქმე უწყებაში აღმოჩენილ ფინანსურ დარღვევებს ეხებოდა.

ალა ჯიოევა კოკოითის ხელისუფლების რადიკალური კრიტიკით გამოირჩევა. ცხინვალში მას „რკინის ლედის“ და „სტალინს ქვედაბოლოში“ უწოდებენ.

ჯიოევას ამომრჩეველი საპროტესტო ელექტორატია. 2008 წლის ომის შემდეგ კოკოითის ხელისუფლების მიმართ პროტესტმა კრიტიკულ ზღვარს მიაღწია. პირველ რიგში, იმის გამო, რომ მიუხედავად რუსეთის მიერ გამოყოფილი სოლიდური დახმარებისა, ომიდან სამი წლის თავზე რესპუბლიკაში არ არის დასრულებული აღდგენითი სამუშაოები.

მეორე ტურის შედეგებზე იმოქმედებს ისიც, თუ ვის დაუჭერენ მხარს მეორე ტურში ვერგასული კანდიდატები. მეორე ტურში, როდესაც ჯიოევას გამარჯვების რეალური შანსი არსებობს, კოკოითი ერთმნიშვნელოვან მხარდაჭერას სწორედ ბიბილოვს გამოუცხადებს.

ალა ჯიოევას შტაბში ამბობენ, რომ გაყალბების მთავარი საფრთხე ლენინგორის (ახალგორი) რაიონშია. აქ მოსახლეობის დიდი ნაწილი პასპორტების ნაცვლად ე.წ. „ფორმა ნომერი ორით“ აძლევს ხმას, რაც გაყალბების შანსს ზრდის. საქმე ისაა, რომ ლენინგორში მოსახლეობის უმრავლესობას ქართული პასპორტები აქვს. «რა ვქნათ, ეს

სამხრეთ ოსეთის მოქალაქეების დიდ ნაწილს, რომელთაც სამხრეთ ოსეთის პასპორტები აქვთ, არჩევნებში მონაწილეობის საშუალება არ მიეცათ – ჩრდილოეთ ოსეთში, სადაც სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი იმყოფება, საარჩევნო უბნები არ გახსნეს.

ხალხი დაიბადა ლენინგორში, აქაურები არიან. ჩვენ ვერ ავუკრძალავთ მათ არჩევნებში მონაწილეობას,» – პასუხობს ამაზე ცესკოს თავმჯდომარე ბელლა პლიევა.

ამასთან, სამხრეთ ოსეთის მოქალაქეების დიდ ნაწილს, რომელთაც სამხრეთ ოსეთის პასპორტები აქვთ, არჩევნებში მონაწილეობის საშუალება არ მიეცათ – ჩრდილოეთ ოსეთში, სადაც სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი იმყოფება, საარჩევნო უბნები არ გახსნეს.

ჯერ კიდევ პირველ ტურამდე, ბიბილოვმა ტელედებატებში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. ამჯერად კანდიდატებს მოუწევთ ერთმანეთთან კამათი და ამომრჩევლის გულის მოგება. როცა საქმე ეხება ხელისუფლების კრიტიკას, ჯიოევა აქ ბევრად ჯაბნის ბიბილოვს. ხოლო სამომავლო პერსპექტივებზე საუბრისას ეს უკანასკნელი უფრო სოლიდურად გამოიყურება.

ბიბილოვი ამბობს, რომ იგი რადიკალიზმის წინააღმდეგია: «ოსეთი რადიკალიზმს ვერ გაუძლებს, უნდა გავაერთიანოთ საზოგადოება». ჯიოევა კი პირიქით, რკინის ლედის თამაშობს, რადიკალურ ცვლილებებზე ლაპარაკობს და ხშირად იმეორებს ფრაზას «ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ».

ამ სუსხიან ნოემბრის თვეს ცხინვალი განსაკუთრებით სევდიანად გამოიყურება.

უკვე მეორე წელია, ცხინვალის ქუჩები გადათხრილია, რადგან ქალაქში წყლის მილებსა და გზებს აკეთებენ, თუმცა ამ სამუშაოების დასრულებას საშველი არ დაადგა. თოვლი და წვიმა ქალაქისთვის სტიქიური უბედურების ტოლფასია. ქუჩაში გადაადგილება მხოლოდ რეზინის ჩექმებითაა შესაძლებელი. თოვლ-ჭყაპი არჩევნების დღესაც იყო. საარჩევნო ურნებამდე ხალხი მუხლამდე ტალახში მიდიოდა. ეს კიდევ ერთი მოტივაცია იყო, რომ იმ დღეს ოპოზიციისთვის მიეცათ ხმა.

HEINRICH BÖLL STIFTUNG
სამხრეთ კავკასია

სტატია მომზადებულია ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის მხარდაჭერით. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამოხატავდეს ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის შეხედულებებს.

ოთხმილიარდიანი საბაჰეო ვალი

ბოლო კვირების მანძილზე, სატელევიზიო და ინტერნეტ სივრცეში საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები პერმანენტულად ავრცელებენ კომენტარებს, რომლის თანახმადაც, საქართველოს საგარეო ვალი სულაც არ არის საგანგაშო. რამდენად საფუძვლიანია პოლიტიკური თანამდებობის პირთა ოპტიმიზმი?

თათია ხალიანი

13 ნოემბერს ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გადაცემა „P.S.“-ის სიუჟეტში საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა განაცხადა: „საგარეო ვალი მთლიანი შიდა პროდუქტის 32%-ია, ეს ჯანსაღი მაჩვენებელია და, რაც მთავარია, ის არის გრძელვადიანი“.

ორი კვირით ადრე, 31 ოქტომბერს გილაურმა სოციალურ ქსელ „ფეისბუკით“ გამართულ ვიდეოკონფერენციაზე განაცხადა: „საგარეო ვალი პრობლემატური საკითხია მსოფლიოში, თუმცა ეს არ არის პრობლემატური საქართველოსთვის. ტენდენცია არის კლებისკენ, ამიტომ ჩვენ ვალის სიჯანსაღით იმდენად კარგ მდგომარეობაში ვართ, თავისუფლად შეგვიძლია ერთი-ორი მილიარდი ისე დავიმატოთ როგორც არაფერი, უბრალოდ, არ გვჭირდება“.

ამ თვალსაზრისს სრულად იზიარებს საქართველოს ფინანსთა მინისტრი დიმიტრი გვინდაძეც. მისი თქმით, „ჩვენ ვალებს ვიღებთ და ვისტუმრებთ, ვერავინ იტყვის, ვინც ჩართულია ამ საგარეო ვალის მართვაში, რომ 2020 წელს ჩვენ დავასრულებთ ამას, ჩვენ ვერასდროს ვერ დავამთავრებთ ვალებს. ქვეყანა იარსებებს 2020 წელს, 2022 წელს და ა.შ და თუ ქვეყანა იარსებებს, მაშინ ის 2022 წელს აიღებს ვალს, რომელსაც გაისტუმრებს 2050 წელს. პრაქტიკულად, არ არსებობს ქვეყანა, ვისაც არ აქვს ვალები“, – ასეთი განცხადება გააკეთა მან „P.S.“-ის იმავე სიუჟეტში.

ასეთი კომენტარების ფონზე ჩნდება კითხვა — რატომ გამოთქვამენ ეკონომიკის ექსპერტები შეშფოთებას საქართველოს საგარეო ვალის შესახებ? საქმე ისაა, რომ საქართველოს საგარეო ვალი ბოლო წლებში სულ უფრო იზრდება, როგორც ექსპერტები ამბობენ, ვალმა არ უნდა მიაღწიოს საგანგაშო ნიშნულს, ანუ მთლიანი შიდა პროდუქტის 60%-ს.

ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორის, დავით ნარმანიას თქმით, „საგარეო ვალის ვერგასტუმრების საფრთხე არ ყოფილა და ყოველწლიურად სტაბილურად ვისტუმრებთ ვალს. თუმცა, პარალელურ რეჟიმში უფრო მეტ ახალ ვალს იღებს ქვეყანა, რის გამოც საგარეო სავალო მდგომარეობა ნელ-ნელა უარესდება. მომდევნო წლებში მეტი წინდახედულება იქნება საჭირო. „ქამრების მოჭერის“ საბიუჯეტო პოლიტიკის გატარებით, შესაძლებელი გახდება ნაკლები ვალების აღება და ამით ვალის სიმძიმის მაჩვენებელი ნელ-ნელა შემცირდება, რათა მან არ გადააჭარბოს მსოფლიო ბანკის მიერ დადგენილ კრიტიკულ მაჩვენებლებს – მშპ-ს 60%-ს და ექსპორტის 110%-ს“.

განსხვავებული ვერსიები ვალის ოდენობის შესახებ

საგულისხმოა, რომ ქვეყნის საგარეო ვალის ზუსტი პროცენტული მაჩვენებლების შესახებ განსხვავებული ინფორმაცია ვრცელდება. ხელისუფლების წარმომადგენლები შედარებით დაბალ პროცენტულ მაჩვენებელს ასახელებენ. მაგალითად, პრემიერ-მინისტრი ამბობს, რომ საქართველოს საგარეო ვალი მშპ-ს 32%-ს შეადგენს, საქართველოს ყოფილმა ფინანსთა მინისტრმა კახა ბაინდურაშვილმა კი, 2011 წლის 22 მარტს საქართველოს პარლამენტის წინაშე გაკეთებულ მოხსენებაში აღნიშნა, რომ საგარეო ვალი მშპ-ს 35%-ს შეადგენდა.

დავით ნარმანიას თქმით, საგარეო ვალმა შიდა პროდუქტის უკვე 38 პროცენტს მიაღწია და გადააჭარბა 7 მილიარდ ლარს. მონაცემის კიდევ ერთი ვერსია საქართველოს ერთ-ერთმა მსხვილმა მევალემ, სავალუტო ფონდის წარმომადგენელმა ედუარდ გარდნერმა გაავრცელა. გასულ კვირას რეგიონში არსებული ოქტომბრის ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისას გარდნერმა აღნიშნა, რომ საქართველოს საგარეო ვალი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში 40%-ს აღწევს. მისივე განცხადებით, საქართველოს წინაშე არსებული ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა სწორედ გაზრდილი საგარეო ვალია.

დავით ნარმანიას თქმით, ქვეყანა ყოველწლიურად დაახლოებით 300 მლნ ლარს მომსახურებაზე იხდის. ანუ ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის უმეტესი ნაწილი მომსახურების თანხა, ანუ ვალის პროცენტია, ხოლო შედარებით მცირე – ვალის ძირითადი თანხა. წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მომსახურებაზე 332 მილიონი ლარი დაიხარჯა.

საგარეო ვალის მნიშვნელოვანი ზრდა 2008 და 2011 წელს საქართველოს მთავრობის მიერ ევროობლიგაციების გამოშვებამ და კომერციული სესხის აღებამ განაპირობა. 2011 წელს აღებული თანხის დაფარვის ვადა 2021 წლამდე გვაქვს. თუმცა, ქვეყანას ჯერ კიდევ დასაფარი რჩება 2008 წელს აღებული ვალის „ნარჩენი“ – 83 მილიონი დოლარი.

2012 წლის საბიუჯეტო პროექტში ფასიანი ქაღალდების გასტუმრება დაგეგმილი არ არის. საგარეო ვალის მომსახურების ნაწილში საქართველოსთვის რთული პერიოდი 2013 წელი იქნება, რადგან ქვეყანას სწორედ ამ წელს მოუწევს 83 მლნ აშშ დოლარის სრულად დაფარვა.

საქართველოს საბჭოთა ვალის ზრდის ტენდენცია (მრავალ აშშ დოლარი)



საქართველოს მიერ აღებული ჯამური სესხები ევროობლიგაციების სახით (მლნ აშშ დოლარი)



ვალის დაგროვების ქრონიკა – 2008 წლიდან დღემდე

საქართველოს საგარეო ვალის ზრდის ტენდენცია 2008 წლიდან დაიწყო. აგვისტოს ომის შემდეგ, ქვეყანას ჯამში 2,691,446 აშშ დოლარის ვალი დაუგროვდა. ეს მაჩვენებელი ყოველწლიურად იზრდება: 2009 წ. – 3,381,513 აშშ დოლარი, 2010წ. – 3,872,145 აშშ დოლარი.

2008 წლის ოქტომბერში ბრიუსელში შედგა დონორთა კონფერენცია, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება, გლობალური ფინანსური კრიზისის ფონზე საქართველოსთვის დახმარების სახით 4,5 მლრდ. აშშ დოლარი გამოეყო, საიდანაც 2 მლრდ. დოლარი გრანტი, ხოლო 2,5 მლრდ. დოლარი კრედიტი უნდა ყოფილიყო. რუსული აგრესიით მიყენებული ზიანის საკომპენსაციოდ გამოყოფილი კრედიტი ქვეყანამ ეტაპობრივად, 2008-2010 წლებში მიიღო. თუმცა ვალი 2011 წელს კიდევ უფრო გაიზარდა.

სახელმწიფო ვალს, ძირითადად, ინსტიტუციური კრედიტორებისგან იღებდა, ესენი იყვნენ სხვა ქვეყნის მთავრობები, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, ასევე ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორიცაა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, აზიის განვითარების ბანკი და ა. შ.

2008 წლის მაისში ქვეყანამ აიღო პირველი კომერციული სესხი ევროობლიგაციების სახით. ლონდონის ბირჟაზე 5-წლიანი ფასიანი ქაღალდების ემისიის გზით, საქართველომ 500 მლნ. აშშ დოლარის მოცულობის ვალი აიღო 7,5% (კუპონის) სარგებლით. ობლიგაციების გადახდის ვადა 2013 წელია.

მაშინდელი პრემიერ-მინისტრი ლადო გურგენიძე 2008 წლის 17 აპრილს გამართულ ბრიფინგზე აცხადებდა, რომ საქართველოს სუვერენული ევროობლიგაციების სადებიუტო ემისია 500 მლნ. დოლარის ოდენობით წარმატებით განხორციელდა. მაისში, როდესაც ქვეყანამ ვალი აიღო, გურგენიძე აცხადებდა, რომ კრედიტი დაიხარჯებოდა გაზსაცავისა და ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობაზე, ასევე მომავლისა და განვითარების ფონდებში. თუმცა, როგორც ექსპერტები ამბობენ, აგვისტოს ომისა და გლობალური ფინანსური კრიზისის გამო ეს თანხები საბიუჯეტო მოთხოვნებისთვის დაიხარჯა.

■ საგარეო ვალის მნიშვნელოვანი ზრდა 2008 და 2011 წელს საქართველოს მთავრობის მიერ ევროობლიგაციების გამოშვებამ და კომერციული სესხის აღებამ განაპირობა. 2011 წელს აღებული თანხის დაფარვის ვადა 2021 წლამდე გვაქვს. თუმცა, ქვეყანას ჯერ კიდევ დასაფარი რჩება 2008 წელს აღებული ვალის „ნარჩენი“ – 83 მილიონი დოლარი.

2011 წლის აპრილში საქართველოს მთავრობამ მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო და კიდევ ერთი კომერციული სესხი იტვირთა. სახელმწიფომ არც 500 მლნ. აშშ დოლარის მოცულობის ობლიგაციების ემისია განახორციელა ევროპის ბაზრებზე. ამჯერად ვალის გადახდის პერიოდი 10 წელია, ხოლო საპროცენტო განაკვეთი 6,9%-ს შეადგენს. ამ თანხით მთავრობამ გადაფარა 2008 წლის ევროობლიგაციები მხოლოდ 417 მლნ. აშშ დოლარის ოდენობით, ხოლო დარჩენილი 83 მლნ. აშშ დოლარი დაემატა 500 მლნ. აშშ დოლარს.

2013 წელს ქვეყანას სწორედ ძველი ევროობლიგაციებიდან დარჩენილი 83 მლნ. დოლარის ვალის გადახდა მოუწევს. ახალი ევროობლიგაციებით მიღებული მეორე სესხის დაფარვის ვადა კი 2021 წლამდე გვაქვს.

ეკონომიკის ექსპერტის, ნოდარ ხადურის თქმით, 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ახალი ევროობლიგაციების გამოშვება არ იყო გათვალისწინებული და მთავრობამ გადაწყვეტილება მოულოდნელად მიიღო.

„მთავრობას არ ჰყოფნიდა თანხები, რომლის მობილიზებასაც გადასახადების სახით აპირებდა. მით უმეტეს, რომ მომავალი წელი წინასაარჩევნო წელია. არავის ეგონა, რომ პოლიტიკური სიტუაცია ასე დაიძაბებოდა. ამიტომ მთავრობამ დაიწყო ისეთი ღონისძიებების განხორციელება, რომელიც თავიდან დაგეგმილი არ იყო და რომელსაც კიდევ ფული დასჭირდება“, – ამბობს ნოდარ ხადური. მისივე თქმით, დამატებითი ფულის მობილიზების სამი წყარო არსებობს, პირველი ეს არის გადასახადების გაზრდა ან ადმინისტრირების გამკაცრება, მეორე წყაროა ზოგიერთი ბიზნესმენის ან მდიდარი ადამიანის იძულება, რომ მან ხელისუფლებას ფულის „აჩუქოს“, მესამე წყარო კი დამატებითი საგარეო ვალის აღებაა.

საქართველოს სახელმწიფოს მევალეები

სახელმწიფო საგარეო ვალის ოთხი ტიპი არსებობს:

- ვალი მრავალმხრივი კრედიტორებისგან – იგულისხმება საერთაშორისო ორგანიზაციებისგან აღებული ვალი;
- ორმხრივი კრედიტორებისაგან აღებული ვალი – ამ დროს მთავრობა რომელიმე მეორე ქვეყნისგან სესხულობს ფულს;
- სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გაყიდვის გზით დაგროვებული ვალი;
- საგარეო ვალი, როდესაც სახელმწიფოს გარანტიის პირობით ვსესხულობთ მესამე ქვეყნიდან, ან საერთაშორისო ორგანიზაციიდან.

საქართველოს მიმდინარე საგარეო ვალის უდიდესი ნაწილი, 2,978,900 ათასი დოლარი, მრავალმხრივ კრედიტორებზე მოდის. მათ შორის ლიდერობს მსოფლიო ბანკი, რომლის მიმართაც

საქართველოს მიმდინარე საბჭოთა ვალის განაწილება მრავალმხრივ კრედიტორებს შორის



საქართველოს მიმდინარე საბჭოთა ვალის განაწილება ორმხრივ კრედიტორებს შორის



დავალიანება 2 მილიარდ 100 მილიონ ლარს აღემატება, ხოლო შემდგომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი მოდის – დაახლოებით 1 მილიარდ 700 მილიონი ლარით. მრავალმხრივ კრედიტორებს შორის ყველაზე ნაკლები დავალიანება საქართველოს სახელმწიფოს ევროგაერთიანების მიმართ აქვს და ეს თანხა ამ დროისათვის 21 მილიონ 406 ათას ლარს შეადგენს.

რაც შეეხება ორმხრივი კრედიტორებს, მათ მიმართ საქართველოს დავალიანება მილიარდ ლარს აღემატება (1,021,998). ორმხრივ კრედიტორებში ლიდერობს გერმანია, რომლის მიმართაც საქართველოს სახელმწიფოს დავალიანება 417 მილიონ ლარამდეა. უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის მიმართ საქართველოს სახელმწიფოს გარანტიით აღებული კრედიტიც აქვს და მისი ოდენობა ექვსმილიონნახევარ ლარამდეა. გერმანიის შემდგომ საქართველოს ყველაზე დიდი დავალიანება რუსეთის მიმართ აქვს და ეს თანხა 187 მილიონ ლარს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ რუსეთის მიმართ საქართველოს სახელმწიფოს დავალიანება 2009 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით თითქმის ათი მილიონი ლარით არის გაზრდილი, ხოლო 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ, ანუ 2008 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობასთან შედარებით, მიმდინარე პერიოდში რუსეთის ფედერაციის მიმართ საქართველოს სახელმწიფოს საგარეო ვალი 50 მილიონ ლარზე მეტით არის გაზრდილი. ყველაზე მცირე დავალიანება საქართველოს თურქმენეთის მიმართ აქვს და ეს თანხა 375 ათას ლარს შეადგენს.

სხოვრება ტკივილის გარეშე

„ტკივილის მოთმენა“ – ეს ფრაზა დასავლეთში ექიმებმა დიდი ხანია დაივიწყეს. საქართველოში კი ეს ტერმინი ჯერ კიდევ აქტიურად გამოიყენება.

ეკა ჭითანავა

„პოლიციელივითაა. სწრაფად მიქრის დანიშნულების ადგილისკენ, კეტავს ქუჩებს, აფერხებს მოძრაობას, მანქანის საყვირის ხმები ისმის... ვხდებით, რომ სადღაც განგაშია,“ – ასე აღწერს ფიზიკურ ტკივილს ერთ-ერთი ამერიკელი ექიმი, რომელიც წლებია ქრონიკული ტკივილის მქონე პაციენტებს მკურნალობს.

მეცნიერები თანხმდებიან, რომ ტკივილი თავისთავად დადებითი მოვლენაა, სიგნალი იმის შესახებ, რომ ორგანიზმში რაღაც უჩვეულო ხდება და იგი შველას ითხოვს. ეს ინფორმაცია ნერვულ იმპულსებს ზურგის ტვინის გავლით თავის ტვინამდე მიაქვთ, სადაც იგი ტკივილის შეგრძნებად იქცევა.

მაგრამ რა ხდება მაშინ, როცა ეს პროცესი პერმანენტულია, ტკივილი მუდმივად – თვეობით, წლობით, ზოგჯერ კი მთელი ცხოვრება გრძელდება და ქრონიკულ ხასიათს იძენს.

ორასი წელია, მეცნიერები ქრონიკული ტკივილის წარმოშობისა და დამარცხების გზებს სწავლობენ. მუდმივად იცვლება ტკივილისადმი მიდგომაც. დღეს ქრონიკული ტკივილი აღარაა მხოლოდ სიმპტომი. მეცნიერების ნაწილი უკვე თანხმდება, რომ ეს ცალკე დაავადებაა, რომელიც მსოფლიოში მილიონობით ადამიანს აწუხებს.

მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ქრონიკული ტკივილის გაქრობა შეუძლებელია, თუმცა შეიძლება მისი მართვა ისე, რომ პაციენტისთვის ეს ტკივილი შეუმჩნეველი გახდეს.

ქრონიკულ ტკივილს სხვადასხვა მიზეზი აქვს – ბოლო სტადიის სიმსივნე, ართრიტი, დიაბეტური ნეიროპათია, ძვლების ანთება, ოსტეომიელიტი, ძვალ-კუნთოვანი სისტემის დაავადება, ფიბრომიალგია, ოსტეოქონდროზი და შაკიკიც კი.

მედიცინაში უკვე არსებობს ცალკე მიმართულება, რომელიც „ტკივილის მართვის“ სახელითაა ცნობილი. საქართველოში ეს ტერმინი ათი წელია, რაც გაჩნდა. ქართველი ექიმების დიდმა ნაწილმა მხოლოდ თეორიულად იცის, როგორ გააყუჩოს ქრონიკული ტკივილი, სხვებს კი ამის შესახებ არც კი სმენიათ.

ტკივილი სუბიექტურია ცნებაა. საქართველოსგან განსხვავებით, სადაც ძირითადად ექიმები განსაზღვრავენ პაციენტის ტკივილის სიძლიერეს, დასავლეთში უკვე დიდი ხანია, თავად პაციენტები მონაწილეობენ საკუთარი ტკივილის მდგომარეობის შეფასებაში.

მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ტკივილი არ არის აბსტრაქტული და მისი გაზომვა შეიძლება. ამისთვის არსებობს ტკივილის შეფასების ათბალიანი შკალა. პაციენტს ეკითხებიან, თუ როგორ ტკივილს გრძნობს. თუ იგი ტკივილს 0-დან 3 ქულამდე აფასებს, ესე იგი ტკივილი მსუბუქია. 4-დან 6-მდე ქულა – საშუალო და 7-დან 10-მდე ქულა კი ძლიერ ტკივილს ნიშნავს.

ტკივილის ინტენსივობის დადგენის შემდეგ მას საფეხურებრივად აყუჩებენ. სუსტი ტკივილისას ნიშნავენ არასტეროიდულ, ანუ ანთების საწინააღმდეგო წამლებს – მაგალითად, ნიმესილს, კეტანოვს, პარაცეტამოლს. თუ ტკივილი საშუალო სიძლიერისაა, მსუბუქი ოპიოიდები, მაგალითად, კოდეინი ინიშნება. შემდეგ ეტაპზე კი ძლიერი ოპიოიდები, მაგალითად, მორფინი.

უკვე 200 წელია, ოპიოიდები ანუ ნარკოტიკული საშუალებები ძლიერი ქრონიკული ტკივილის გაყუჩების თითქმის უალტერნატივო საშუალებაა.

თუმცა, მთელ მსოფლიოში დღემდე არ არის დაძლეული ნარკოტიკების სამედიცინო მიზნით გამოყენების მიმართ შიში, რასაც მეცნიერებაში სპეციალური სახელი – ოპიოფობია ჰქვია.

მედიცინაში უკვე არსებობს ცალკე მიმართულება, რომელიც „ტკივილის მართვის“ სახელითაა ცნობილი. საქართველოში ეს ტერმინი ათი წელია, რაც გაჩნდა. ქართველი ექიმების დიდმა ნაწილმა მხოლოდ თეორიულად იცის, როგორ გააყუჩოს ქრონიკული ტკივილი, სხვებს კი ამის შესახებ არც კი სმენიათ.

საქართველოში ამ ტკივილგამაყუჩებელი წამლის დანიშნულებისამებრ გამოყენების პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას, რის გამოც ათასობით ადამიანი გამუდმებული ტკივილის შეგრძნებით ცხოვრობს.

ბევრმა დღემდე არ იცის, რომ მორფინი წამალია და სწორად გამოყენების შემთხვევაში, სრულიად უსაფრთხოც.

2010 წელს თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში ჩატარებულ გამოკითხვაში, ქრონიკული ტკივილის მქონე პაციენტების თითქმის ნახევარი ამბობს, რომ ტკივილი მუდმივად ან პერიოდულად აწუხებს. ამასთან, 40 პროცენტის თქმით, მათთვის ოპიოიდებით ტკივილის მართვა არასდროს შეუთავაზებიათ. ამავე გამოკითხვის მიხედვით, ექიმთა 8 პროცენტი საერთოდ არ ნიშნავს მორფინს.

სპეციალისტები ამბობენ, რომ ოპიოიდებით მკურნალობისას მთავარი სწორი დოზირებისა და რეჟიმის შერჩევაა.

მაგალითად, სწრაფი მოქმედების მორფინი ყოველ ოთხ საათში ერთხელ უნდა დაინიშნოს. გახანგრძლივებული მოქმედებისა კი ყოველ 12 საათში ერთხელ.

გია 41 წლისაა. 20 წლის წინ მას ხერხემალი დაუზიანდა და მას შემდეგ გამუდმებით ტკივა მარცხენა ხელის მტევანი.

„წლების მანძილზე მუდმივი ტკივილი ემოციებს გიხშობს, თითქოს ცოცხალიც აღარ ხარ. ერთადერთი, ძილი თუ განიჭებს ცოტაოდენ შვებას," – ამბობს გია, რომელიც დღეში ერთ აბ „ლირიკას", ანუ პრეგაბალინს სვამს. ეს კრუნჩხვის საწინააღმდეგო და ნეიროპათიული ტკივილის სამკურნალო წამალი მას ცოტათი შველის.

„მახსოვს, დამინიშნეს მორფინი, დღეში ერთი ამპულა, მაგრამ ტკივილს არ შველოდა, მხოლოდ მაბრუებდა და მეძინებოდა", – იხსენებს გია.

ონკოპრევენციის ცენტრის პალიატიური მზრუნველობის განყოფილების გამგე, პროფესორი მიხეილ შავდია ამბობს, რომ გიას ისტორია „ტკივილის არასწორი მართვის კლასიკური მაგალითია". „იმის გამო, რომ ექიმს შეეშინდა პაციენტი წამალდამოკიდებული არ გამხდარიყო, იმაზე ნაკლები დოზა დაუნიშნა, ვიდრე სჭირდება. თითქმის სულ ასე ხდება", – ამბობს იგი.

გარდა იმისა, რომ ტკივილი ძნელი ასატანია, მან შეიძლება პაციენტს ძლიერი ფსიქოლოგიური სტრესი მიაყენოს და სხვა ორგანოების დაზიანების მიზეზიც გახდეს.

„ამ დროს ჩვენს სხეულში იღუპებიან სიმსივნური უჯრედების „ბუნებრივი მკვლელი უჯრედები", რომლებიც ორგანიზმში მეტასტაზების გავრცელებას ხელს უშლიან. ამიტომ, თუკი ტკივილი ხანგრძლივად უმართავია, ქვეითდება ორგანიზმის იმუნიტეტიც", – ამბობს შავდია.

დღეს საქართველოში საშუალო და ძლიერი ტკივილგამაყუჩებელი წამლების შეზღუდული სპექტრია, არ შემოდის სწრაფი მოქმედების ტაბლეტირებული მორფინი, რომელიც პაციენტმა ყოველ 4 საათში ერთხელ უნდა დალიოს. სწორი დოზის შერჩევის შემდეგ შესაძლებელია გადასვლა ხანგრძლივი მოქმედების ფორმებზე. ეს აბები უკვე 12 საათში ერთხელ ინიშნება.

ძლიერი ოპიოიდებიდან სახელმწიფო პროგრამით საქართველოში ამჟამად მხოლოდ მორფინი და ფენტანილის პლასტირები შემოდის. „პაციენტს არ აქვს არჩევანი. შეიძლება, ოპიოიდს ახასიათებდეს გვერდითი მოვლენები და პაციენტმა მისი სხვა ოპიოიდით ჩანაცვლება უნდა შეძლოს. ამის საშუალება კი ჩვენთან არაა", – ამბობს შავდია.

თუ საქართველოში ტაბლეტირებული მორფინის სახეობებიც კი შეზღუდულია, საზღვარგარეთ ექიმები უკვე იმაზე ზრუნავენ, რომ პაციენტს წამალი მაქსიმალურად კომფორტული ფორმით მიაწოდონ. მაგალითად, შეერთებულ შტატებში უკვე იყენებენ სპეციალურ კანქვეშა იმპლანტს. ესაა პატარა რეზერვუარი, რომელიც კანქვეშ მაგრდება. მასზე გარედან თითის დაჭერით ოპიოიდი რეზერვუარიდან

ტკივილის ბიჰევე

„ტკივილმა „კედლებზე სიარული" მასწავლა"

„გლანდების ოპერაცია. ყველაზე ხანმოკლე ოპერაცია, ყველაზე საშინელი შეგრძნებით, გაუსაძლისი ტკივილით". „ჩემი ყველაზე დიდი ტკივილი ის იყო, როდესაც ხერხემლის ოპერაცია გავიკეთე და ვერ მიყუჩებდნენ ძვლების ტკივილს" – ეს იმ ადამიანთა მოგონებებია, რომლებმაც სხვადასხვა დროს მძიმე ფიზიკური ტკივილი გადაიტანეს და ახლა ამის შესახებ ერთი თვის წინ შექმნილ ვებ-გვერდზე http://tkivilisgareshe.ge ჰყვებიან.

პროექტი „ტკივილის გარეშე" ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს" დაფინანსებით ხორციელდება და საქართველოში მოქალაქეებისათვის ტკივილის გარეშე ცხოვრების ხელშეწყობასა და ტკივილის მართვის თანამედროვე სტანდარტების დანერგვას ისახავს მიზნად. „პაციენტს აქვს სრული უფლება მოითხოვოს უმტკივნეულო სამედიცინო მომსახურება" – ამბობს პროექტის განმახორციელებელი, ჟურნალისტი ირაკლი იმნაიშვილი.

ვებგვერდზე ყველა ადამიანს შეუძლია შევიდეს, დარეგისტრირდეს, დატოვოს კომენტარი, სხვებს თავისი გამოცდილება გაუზიაროს და მის მიერ განცდილი ტკივილის სიმძიმე სპეციალური შკალით შეაფასოს. შკალა მომღიმარი, მოწყენილი და მტირალი ადამიანის სახის გამომეტყველებას გამოხატავს.

ამ შკალის მიხედვით, პროექტის ავტორები შეადგენენ ტკვილის რეიტინგს და იმ პროცედურების სიას, რომელთა ჩატარება საქართველოში ყველაზე მტკივნეულია.

ორგანიზმში გაიწოვება.

ასეთ სამედიცინო მოწყობილობას იყენებენ ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაავადების, ოსტეოქონდროზის სამართავადაც. პაციენტს კანქვეშა იმპლანტი უდგას და როცა ტკივილს იგრძნობს დისტანციური მართვის პულტით ელექტროდების მიწოდებას არეგულირებს.

კიდევ ერთი მიზეზი, რომელიც ქართველ პაციენტებს ოპიოიდების მიმართ უარყოფითად განაწყობს, ისაა, რომ მათ ასაღებად პოლიციის შენობაში უნდა მივიდნენ.

თბილისში ექვსი აფთიაქია, რომელიც, უსაფრთხოების მიზნით, ოპიოიდებს პოლიციის შენობაში გასცემს.

„ეს პაციენტებს დისკომფორტს უქმნის“, – ამბობს ტკივილის პოლიტიკის საერთაშორისო პროგრამის მონაწილე ფატი ძოწენიძე.

იმისათვის, რომ კერძო აფთიაქში ოპიოიდები გაიყიდოს, აუცილებელია უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები – ხმოვანი სიგნალიზაცია, სეიფი, დაცვა. „კერძო აფთიაქებს ამის შესაძლებლობა არ აქვთ. ამიტომ აფთიაქის თანამშრომელი კვირაში ორჯერ პოლიციის შენობაში მიდის და წამლებს იქ გასცემს“, – ამბობს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს ფარმაცევტული სამსახურის ნარკოტიკების ლეგალური ბრუნვის განყოფილების უფროსი ლალი დავითაია.

კიდევ ერთი დაბრკოლება ისიცაა, რომ ოპიოიდების გაცემისთვის კვირაში მხოლოდ ორი დღეა გამოყოფილი.

„წარმოიდგინეთ, თუ პაციენტის მდგომარეობა შეიცვალა, მაგალითად, წამლის გაცემის შემდეგ და ტკივილის გამო დოზის გაზრდა სჭირდება, მას მოუწევს რამდენიმე დღე მოთმენა, სანამ არ დადგება წამლის გაცემის მორიგი დღე“, – ამბობს ძოწენიძე.

„ტკივილის მოთმენა“ – ამ ფრაზას დასავლეთში ექიმები უკვე დიდი ხანია აღარ იყენებენ. თანამედროვე მედიცინა დღეს, პირიქით, ცდილობს დაარწმუნოს ექიმები, რომ „ტკივილის მოთმენა“ არაჰუმანურია და მისკენ მოწოდება პაციენტის უფლებებს არღვევს.

წამლის ხელმისაწვდომობისა და ექიმების განათლების გარდა, საქართველოს კანონმდებლობასაც აქვს ხარვეზები, რომელთა გამოსწორება აუცილებელია იმისთვის, რომ ქრონიკული ტკივილის მქონე პირთა მიმართ დამოკიდებულება უფრო ჰუმანური გახდეს.

მაგალითად, დღევანდელ კანონში ფსიქოტროპული მედიკამენტების შესახებ არსებობს ისეთი მოძველებული ტერმინები, როგორიცაა სომატო-ნარკომანი.

ეს სიტყვა ნიშნავს იმას, რომ ადამიანს წამალზე ფიზიკური დამოკიდებულება ოპიოიდის არასწორი გამოყენების შედეგად განუვითარდა. თუმცა, წამალზე მხოლოდ ფიზიკური დამოკიდებულება არ ნიშნავს ნარკომანიას. ნარკომანია, პირველ რიგში, ფსიქოლოგიურ დამოკიდებულებას გულისხმობს.

„როცა ადამიანს სტკივა, და თუ მას არასწორი რეჟიმით აქვს ოპიოიდი დანიშნული, ოპიოიდის ფარმაკოლოგიური მოქმედების დროის გასვლის შემდეგ პაციენტს ისევ ეწყება ტკივილი; ბუნებრივია, მას უჩნდება სურვილი, გაიყუჩოს ტკივილი; ასევე ეცემა წამლის შემცველობა სისხლში, რამაც შეიძლება განაპირობოს ფიზიკური მოთხოვნილების გაჩენა; მაგრამ თუ პაციენტს წამალი სწორი დოზითა და რეჟიმით აქვს დანიშნული, მოთხოვნილება პრაქტიკულად არ ვლინდება. შესაბამისად, არ შეიძლება ამ სიმპტომების გაიგივება “დამოკიდებულების სინდრომთან“, ანუ საქართველოში მყარად დამკვიდრებულ ტერმინ „ნარკომანიასთან“, – ამბობს ძოწენიძე.

ექიმების არასათანადო განათლება, ოპიოიდების შეზღუდული არჩევანი, მათი პოლიციის განყოფილებებში გაცემის პრაქტიკა და ხარვეზები კანონმდებლობაში – ეს ის ფაქტორებია, რომელთა გამოსწორების გარეშე საქართველოში ქრონიკული ტკივილის მქონე პირთა უფლებები მუდმივად დაირღვევა.

ლიბერალი

გამოიწერეთ ჟურნალი „ლიბერალი“

მიიღეთ თქვენი ჟურნალი ყოველ ხუთშაბათს თქვენთვის სასურველ ადგილას!

ჟურნალის გამოწერის მსურველებმა დარეკეთ:
2962311, 2910151 პრეს-ექსპრესი

ფოტორეპორტაჟი

ხლინია

გიორგი ცაგარელი

წარმოუდგენლად რთულია, უყურო ოდესღაც ძლიერი და ჯანმრთელი ადამიანების ტანჯვას.

უყურო იმას, თუ როგორ გარდაიქმნებიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებად და ლოგინებს ეჯაჭვებიან ადამიანები, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინ უდარდელად გეგმავდნენ ცხოვრებას.

მედიცინის არნახული მიღწევების მიუხედავად,

გულით დაავადებულ ადამიანთა რიცხვი დღითიდღე იზრდება, ხოლო ასაკი უფრო და უფრო მცირდება. თუ 15-20 წლის წინ, კარდიოლოგიური კლინიკების პაციენტები ხანდაზმულები იყვნენ, დღეისათვის გულით დაავადებულთა შორის შესაძლებელია შეხვდეთ 20-30 წლის ახალგაზრდებსაც.

კავკასიის ანალიტიკური დაიჯესტი

resourcesecurityinstitute.org www.laender-analysen.de www.res.ethz.ch www.boell.ge

ირანის როლი სამხრეთ კავკასიაში

თორნიკე შარაშენიძე, თბილისი

რეზიუმე

ირანის პოლიტიკას სამხრეთ კავკასიაში რეგიონული და სხვა ქვეყნებიდან (აშშ, რუსეთი, თურქეთი) მომავალი საფრთხეებისაგან თავდაცვისა და, იმავდროულად, რეგიონში გავლენის გაძლიერების სურვილი განსაზღვრავს. მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში ირანმა მხარი მოულოდნელად სომხეთს დაუჭირა, რაც თვით ირანში თურქეთისა და აზერბაიჯანის ირედენტისტული პრეტენზიების გაწონასწორების ერთ-ერთი საშუალება იყო. საქართველო-ირანის ისტორიულმა ურთიერთობებმა საქართველოს საბოლოოდ რუსეთთან დაახლოებისაკენ უბიძგა, თუმცა ამჟამად ირანის გავლენა საქართველოზე მინიმალურია. ირანს რეგიონში ყველაზე უფრო აზერბაიჯანის პრობლემა აწუხებს და ამ ქვეყანას პოტენციურ მეტოქედაც განიხილავს, რადგან აზერბაიჯანში მოსახლეობის უმეტესობა შიიტია და ენერგორესურსებიც უხვად მოიპოვება.

რთული სამეზობლო

ირანის პოლიტიკის დღის წესრიგში სამხრეთ კავკასია საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გაჩნდა. ურთიერთობები თეირანსა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის მომავალში უფრო გააქტიურდება, რადგან ირანს რეგიონში უფრო მნიშვნელოვანი როლის თამაში აქვს განზრახული. ირანის მიდგომა ამ რეგიონისადმი ორ ასპექტს ემყარება. ესენია მისი ზოგადი საგარეო პოლიტიკური ხედვა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან ურთიერთობის ისტორიული გამოცდილება.

უეჭველია, რომ უსაფრთხოება და საგარეო საფრთხეების ნეიტრალიზაცია ირანის საგარეო პოლიტიკის უმთავრესი საკითხებია. ირანი საფრთხეებს სამეზობლოშიც ხედავს და ტერიტორიულად დაშორებულ ქვეყნებშიც, რომლებსაც შეუძლიათ საფრთხე მას მეზობელი ქვეყნების მეშვეობით შეუქმნან.

ისტორიულად, ირანს მეგობრული სამეზობლო არასოდეს ჰქონია. XVIII-XIX საუკუნეებში მას მეტოქეობა და ბრძოლა რუსეთთან და თურქეთთან უწევდა. დისკომფორტს ქმნიდა რელიგიური განსხვავებაც, რადგან შიიტური ირანის მეზობლად სახლობდნენ სუნიტური ტომები, რომლებმაც შემდგომში დამოუკიდებელი არაბული სახელმწიფოები ჩამოაყალიბეს. მტრული გარემოცვის შეგრძნება ისლამური რევოლუციის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა. ქვეყანა თვითიზოლაციაში აღმოჩნდა და მეზობლებსა და აშშ-ს დაუპირისპირდა, ამ უკანასკნელის გავლენა კი რეგიონში საკმაოდ ძლიერი იყო. ირანს, როგორც უძველესი და უნიკალური კულტურის მატარებელ ამბიციურ ერს, რეგიონში ლიდერობაზე პრეტენზია ყოველთვის ჰქონდა და სამეზობლოში გარეშე ძალების ყოფნა არასოდეს მოსწონდა. თუმცა მას შემდეგ, რაც რუსეთმა კასპიის ზღვის აუზში გაბატონებული მდგომარეობა დაკარგა, თეირანის უკმაყოფილების უმთავრეს წყაროდ აშშ იქცა.

ირანის როლს სამხრეთ კავკასიაში დიდწილად ეს ფართო კონტექსტი და ძალების ბალანსის ტრადიციული გათვლები განსაზღვრავს. მიუხედავად იმისა, რომ ირანს ძალიან უნდა გავლენის ექსკლუზიური სფეროების მოპოვება ან თუნდაც რეგიონულ სუპერსახელმწიფოდ ჩამოყალიბება, თავის შესაძლებლობებსა და ქვეყნის გარეთ არსებულ სირთულეებს ის რეალისტურად აფასებს. ამდენად, მისი რეგიონული პოლიტიკა საკმაოდ ფრთხილი და დაბალანსებულია. მაგალითად, აშკარაა, რომ ირანი სამხრეთ კავკასიაზე მნიშვნელოვან რესურსებს ხარჯავს, მაგრამ, რეგიონთან ურთიერთობის რთული ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით, მისი ყოფნა აქ თვალსაჩინო მაინც არ არის.

ირანის მიზნები

ირანის მიზნები სამხრეთ კავკასიაში მოკლედ შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს:

- გარეშე ძალების (კერძოდ, აშშ-ის) გავლენის შემცირება, რამაც ირანის უსაფრთხოებაც უნდა გააძლიეროს და მისი გავლენის სფეროების გაფართოების საშუალებაც შექმნას;
- სამხრეთ კავკასიაში სხვა რეგიონულ მოთამაშეებთან (რუსეთი, თურქეთი) მიმართებაში ძალების ბალანსის მიღწევა ან თუნდაც მათ ინტერესებთან საკუთარი ინტერესების შეხამება;
- ეკონომიკური და (თუ შესაძლებელი იქნა) კულტურული ექსპანსიის გზით რეგიონში ფეხის მოკიდება;
- რეგიონიდან მომავალი შესაძლო საფრთხეების განეიტრალება.

ირანის გავლენა სამხრეთ კავკასიაში უწინ უზარმაზარი იყო. ამდენად, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რეგიონთან ურთიერთობის ხელმეორედ დამყარების შესაძლებლობას ის სიხარულით შეხვდა, თუმცა სამხრეთ კავკასიაში რუსული სამხედრო ბაზების ყოფნისა და რუსეთის ჯერ კიდევ გაბატონებული მდგომარეობის გამო 90-იან წლებში თავისი მიზნების განხორციელების დიდი შესაძლებლობა, ირანს არ ჰქონია. მიუხედავად ამისა, რეგიონში რუსეთის გავლენა სხვა მხრივ შემცირდა და ადგილობრივ ეკონომიკასა და ვაჭრობაში დიდი ადგილი გამოთავისუფლდა, თუმცა ეს ადგილი, გარე სამყაროსთან ღია ურთიერთობისა და იაფი სამომხმარებლო საქონლის წარმოების წყალობით, ირანზე უკეთ მომზადებულმა თურქეთმა დაიკავა. ირანს დიდ მეტოქეებთან გამკლავება არ შეეძლო და რეგიონში მეორეხარისხოვანი როლისთვის იყო განწირული.

საოცრად ახლო ურთიერთობები სომხეთთან

მეტიც, რეგიონისადმი ირანის მიდგომის სერიოზულ გამოცდად მთიანი ყარაბაღის ომი იქცა. კონფლიქტმა ძალების დაბალანსების პოლიტიკისადმი თეირანის ერთგულება დაადასტურა, რადგან მან მხარი საკმაოდ ღიად დაუჭირა სომხეთს და არა მოძმე შიიტ მუსლიმ აზერბაიჯანელებს. ისლამური პრინციპებისადმი ერთგულების ღია დემონსტრირების მიუხედავად, რეალური პოლიტიკა იდეოლოგიასა და რელიგიურ გრძნობებზე უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. სომხეთისადმი ირანის მხარდაჭერას საფუძვლად თურქეთისადმი ირანის ტრადიციული მტრობაც უდევს, თურქეთი კი იმ დროისათვის უკვე აზერბაიჯანის ახალ მფარველად იყო ქცეული. თავისი როლი ითამაშა თვით ირანის აზერბაიჯანულ უმცირესობაში სეპარატისტული მიდრეკილებების გაჩენის შიშმაც. თეირანის რეალური პოლიტიკა აზერბაიჯანისთვის სასიამოვნო ნამდვილად არ ყოფილა, სომხეთმა კი პარტნიორი შეიძინა.

მოულოდნელად წარმოქმნილი ეს პარტნიორული ურთიერთობები შემდგომში კიდევ უფრო გაღრმავდა, რადგან ორივე ქვეყანა იზოლაციის პირობებში ცხოვრობდა (ირანის

წინააღმდეგ საერთაშორისო სანქციები იყო დაწესებული, სომხეთს კი ზღვაზე გასასვლელი არ ჰქონდა და აზერბაიჯანმა და თურქეთმაც ბლოკადა მოუწყვეს). სომხეთის ყოფილმა პრეზიდენტმა ლევონ ტერ-პეტროსიანმა ერთხელ აღიარა, რომ ირანის დახმარების გარეშე მისი ქვეყანა „რამდენიმე დღეში დაასრულებდა არსებობას". ქვეყნებს შორის გაღრმავდა სავაჭრო ურთიერთობები, 2007 წელს კი ირან-სომხეთის გაზსადენის მშენებლობაც დასრულდა, რის შემდეგაც სომხეთის ხელისუფლებამ „ბლოკადის დასრულება" გამოაცხადა.

იმ დროს სომხეთ-ირანის ორმხრივი ურთიერთობების მასშტაბები ჩვეულებრივი სავაჭრო-ეკონომიკური საკითხების ფარგლებს გასცდა, რადგან 2000 წლის შემდეგ რუსეთ-ირანის ურთიერთობები ახალ განზომილებაში გადავიდა. რუსეთი ცდილობდა სამხრეთ კავკასიაში ამერიკის გავლენა გაენეიტრალებინა და ამ მიზნით ირანთან კავშირები გააძლიერა. შესაბამისად, სომხეთმა (რეგიონში რუსეთთან ყველაზე დაახლოებულმა პარტნიორმა) ამ ანტიდასავლურ კოალიციაში მესამე ადგილი ავტომატურად დაიჭირა, აზერბაიჯანი, საქართველო და თურქეთი კი პროდასავლურ რეგიონულ დაჯგუფებად ჩამოყალიბდა. მოგვიანებით, როცა თურქეთმა რეგიონში უფრო დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარება დაიწყო, ხოლო ობამას გადატვირთვის პოლიტიკის წყალობით აშშ-რუსეთის ურთიერთობებიც დათბა, ამ ორმა კოალიციამ თავისი თავდაპირველი მნიშვნელობა დაკარგა. ამას გარდა, ირან-სომხეთის გაზსადენი მთელი დატვირთვით არ ამუშავებულა, რადგან რუსეთმა, რომელიც სომხეთის ენერგეტიკას მონოპოლისტის პოზიციებიდან აკონტროლებს, სომხეთს გაზის მხოლოდ უმნიშვნელო ოდენობით იმპორტის ნება დართო. რუსეთთან მეტოქეობა სომხეთში ირანს უბრალოდ არ შეუძლია, თუმცა ამ მხრივ ნამდვილად სჯობნის თურქეთს, რომელმაც აზერბაიჯანის მხარე დაიჭირა. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სომხეთ-თურქეთის ურთიერთობას ისტორიული მოვლენებიც ამძიმებს. ოსმალეთის იმპერიაში სომხების ხოცვა-ჟლეტას ერევანი გენოციდად აფასებს.

ურთიერთობა საქართველოსთან

უარყოფითი მომენტები სამხრეთი კავკასიის ქვეყნებთან ირანის ურთიერთობებსაც ამძიმებს. საქართველო დიდად დააზარალა ირანის შემოსევებმა, განსაკუთრებით კი XVIII საუკუნის ბოლოს ირანელების მიერ ქვეყნის დედაქალაქის, თბილისის გადაწვამ. ამ კატასტროფის შემდეგ საქართველოს მეფემ გადაწყვიტა, რომ ერთმორწმუნე მართლმადიდებელ რუსეთთან ურთიერთობის გაღრმავების გარდა სხვა გზა აღარ დარჩენოდა, რუსები კი ჯერ საქართველოში შემოვიდნენ, მოგვიანებით კი მთელი კავკასია დაიპყრეს და რეგიონიდან ჯერ ირანი, შემდეგ კი თურქეთიც განდევნეს.

ირანთან ომებმა ქართველების ისტორიულ მეხსიერებაში წარუშლელი კვალი დატოვა. გამოჩენილი ქართველი მოაზროვნეები ირანის უღლის წინააღმდეგ საქართველოს გმირულ ბრძოლას მაგალითად იყენებდნენ და, როგორც წესი, გრანდიოზულ ლეგენდებს ქმნიდნენ, რაც ეროვნული ცნობიერების შენარჩუნებას უწყობდა ხელს. ირანის საწინააღმდეგო გრძნობები საქართველოში კიდევ უფრო გაღრმავდა საბჭოთა პერიოდში, როცა ირანს საქართველოს მთავარ მეტოქედ და მტარვალად წარმოაჩენდნენ, თვითონ საქართველოს კი – მსხვერპლად, რომელიც საბოლოოდ ერთმორწმუნე მართლმადიდებელმა რუსეთმა იხსნა.

მაგრამ ამავე დროს არცერთი სხვა ქვეყანა არ ყოფილა საქართველოსთან კულტურულად ისე დაახლოებული, როგორც ირანი. მიუხედავად იმისა, რომ მუსლიმურ ირანთან ბრძოლით ქართველები არა მხოლოდ თავიანთ მიწას, არამედ ქრისტიანულ იდენტობასაც იცავდნენ, ირანულმა კულტურამ ქართველების ცნობიერებაში ღრმად შეაღწია. ზოგი ქართველი მეფე ლექსებს სპარსულად წერდა, ხოლო ბევრი ქართველი (და სომეხიც) ირანის სამეფო კარზე მსახურობდა. ირანელი დიდგვაროვნები ქართველ ქალებზე ქორწინდებოდნენ. მსგავსი ურთიერთობები საქართველოს მხოლოდ რუსეთთან ჰქონდა. კულტურული სიახლოვე ამ შემთხვევაშიც პოლიტიკურ მეტოქეობასთან იყო შერწყმული.

მიუხედავად ამისა, დღევანდელი ურთიერთობები საქართველოსა და ირანს შორის იმ დროის ძალიან მკრთალი გამოძახილია. თუ სპარსული ენიდან მცირე რაოდენობით ნასესხებ სიტყვებსა და გამოთქმებს არ ჩავთვლით, პროდასავლურ და მოდერნიზებულ საქართველოს ირანთან საერთო თითქმის არაფერი აქვს. გაცნობიერებული აქვთ რა ეს სირთულეები, ირანელები საქართველოში არ აქტიურობენ და მხოლოდ თავიანთ მშვიდობიან გეგმებსა და ქვეყნებს შორის ისტორიული ურთიერთობებიდან გამომდინარე ჭეშმარიტ სიახლოვეზე ლაპარაკობენ, თუმცა სულ უფრო ცხადი ხდება, რომ ეს ურთიერთობები უკვე წარსულს ჩაბარდა. საქართველოს ინტერესი ირანისადმი უვიზო მიმოსვლის შემოღებამაც კი ვერ გააძლიერა, თუმცა ირანელი ტურისტების რიცხვმა საქართველოში მკვეთრად იმატა და, პროგნოზებს თუ დავუჯერებთ, ეს ტენდენცია მომავალშიც შენარჩუნდება. ორმხრივი ვაჭრობა ირანთან უმნიშვნელოა მაშინ, როცა თურქეთი საქართველოს ყველაზე დიდი სავაჭრო პარტნიორია. საქართველოსა და ირანს შორის ვაჭრობის მოცულობას ამ სფეროში რუსეთ-საქართველოს მაჩვენებლებიც კი სჭარბობს. ირანი საქართველოს სავაჭრო პარტნიორთა პირველ ათეულშიც კი არ არის.

ირანის რთული ურთიერთობები აზერბაიჯანთან

მკვეთრად გამოხატული პრომერიკულობის გამო, საქართველო სამხრეთ კავკასიაში ირანის ყველაზე უხერხულ მეზობლად შეიძლება ჩაითვალოს. უეჭველია, რომ ამ მხრივ საქართველო ირანის სპეცსამსახურების უმთავრესი სამიზნეა. იგივე შეიძლება ითქვას აზერბაიჯანზეც, რომელიც აშშ-სთან თავისი ურთიერთობებით რამდენიმე

წლის წინ თეირანს კიდევ უფრო აღიზიანებდა. 2003 წელს გავრცელდა ცნობა, რომ აზერბაიჯანში ამერიკის ჯარების განლაგება იგეგმებოდა. ამ საკითხზე საუბარი წლების განმავლობაში გაგრძელდა, სანამ არ დადგინდა, რომ ვაშინგტონს ასეთი გეგმები არ ჰქონდა (ან ჰქონდა, მაგრამ გადაიფიქრა). თეირანმა ამგვარ ცნობებს სხვადასხვა საშუალებით, მათ შორის აზერბაიჯანის საჰაერო სივრცეში დემონსტრაციული შემოჭრით უპასუხა.

2003 წელს აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი გახდა და ბაქოს საგარეო პოლიტიკამ თანდათანობით უფრო დაბალანსებული სახე მიიღო (ილჰამის მამის, ჰეიდარ ალიევის პოლიტიკა ერთმნიშვნელოვნად პროდასავლური იყო). აზერბაიჯანმა ყველა დიდი სახელმწიფოს, მათ შორის რეგიონული სახელმწიფოების ინტერესების დაბალანსება დაიწყო, თუმცა ირანთან დაძაბული ურთიერთობები მაინც შენარჩუნდა. ამასწინათ ბაქომ მწვავე პასუხი გასცა ირანის გენერალური შტაბის ხელმძღვანელს, რომელმაც ილჰამ ალიევი „ისლამური კანონების უგულებელყოფაში“ დაადანაშაულა და მას „შავბნელი მომავლით“ დაემუქრა. თუ Wikileaks-ის წყაროებს დავუჯერებთ, თვითონ ალიევს თეირანის ჰეგემონისტური მისწრაფებები აშფოთებს: მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებაში ირანი ბაქოს კვლავაც ხელს უშლის და აზერბაიჯანს პრამერიკული პოზიციის შეცვლისაკენ მოუწოდებს.

ძალების დაბალანსების ტრადიციული მიდგომის გარდა, რომელმაც მთიანი ყარაბაღის პრობლემის მიმართ თეირანის პოლიტიკის შემუშავებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა, აზერბაიჯანისადმი ირანის დამოკიდებულებას რამდენიმე სხვა ფაქტორიც განსაზღვრავს. აზერბაიჯანი ირანის ერთმორწმუნე შიიტური ქვეყანაა, ამიტომ ირანი მისგან „საერთო ისლამური საქმისადმი“ გაცილებით მეტ ერთგულებას მოითხოვს. ირანს გაცნობიერებული აქვს, რომ აზერბაიჯანი ძირითადად სეკულარული ქვეყანაა, და დიპლომატიური, რელიგიური და ჰუმანიტარული მისიების მეშვეობით ისლამისადმი დაინტერესების გაზრდას ცდილობს, რის შედეგადაც აზერბაიჯანის სამხრეთ ნაწილში ირანის გავლენა უკვე საგრძნობი გახდა, თუმცა მოსახლეობის უმეტესობაზე, მმართველ ელიტაზე რომ არაფერი ვთქვათ, ამ ძალისხმევას რაიმე გავლენა ჯერ არ მოუხდენია. უეჭველია, რომ ისლამისადმი მიდრეკილების გაძლიერებით თეირანი აზერბაიჯანში დასავლეთის გავლენის შესუსტებას ცდილობს, თუმცა აზერბაიჯანული საზოგადოება მთლიანობაში მშვიდი და მთავრობის ერთგულია. თუ ოფიციალური ბაქო პროდასავლურ კურსს არ შეცვლის, ირანი და რუსეთი მის წინააღმდეგ ვერაფერს გახდებიან. აზერბაიჯანის რეჟიმი სტაბილურია. ამასთან, ნავთობზე მაღალი ფასების წყალობით ქვეყნის მმართველი ელიტა ამჟამად უპრეცედენტო ეკონომიკურ ზრდას განიცდის, რაც მას თითქმის ყოველგვარი გარეშე ზეწოლისაგან იცავს.

აზერბაიჯანისადმი ირანის პოლიტიკის განმსაზღვრელი მეორე ფაქტორი ენერგორესურსების მიწოდების გზებზე კონკურენციის შედეგია. აზერბაიჯანის როგორც ენერგორესურსების მიმწოდებლის როლი ბოლო ათი წლის განმავლობაში გაიზარდა, ირანს კი იზოლაციის გამო უზარმაზარი პოტენციალი გამოუყენებელი რჩება. საერთაშორისო სანქციები კვლავაც ძალაშია, რის გამოც ირანი ძვირფას დროს კარგავს და დიდი ენერგეტიკული პროექტების მიღმა რჩება. ამიტომ თეირანს ენერგეტიკის სფეროში ახალი წამოწყებების ჩაშლა და დროის მოგება სურს, რომ იზოლაციიდან გამოსვლის შემდეგ სამომავლო პროექტებში მონაწილეობა შეძლოს.

დასკვნა

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან ირანის ურთიერთობების მიმოხილვას თუ შევაჯამებთ, ცხადი გახდება, რომ თეირანის რეგიონულ დღის წესრიგში პირველ ადგილზე აზერბაიჯანია. ბაქოს მიმართ თეირანს ამბიციური გეგმები აქვს, რადგან აზერბაიჯანს განიხილავს როგორც მეტოქეს, რომელმაც თავისი ენერგორესურსების წყალობით და ირანის აზერბაიჯანულ უმცირესობაში სეპარატისტული განწყობების ნახალისებით ირანის პოზიციებს შეიძლება, საფრთხე შეუქმნას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ირანი აზერბაიჯანს საფრთხედ მიიჩნევს. სომხეთი რეგიონში ყველაზე უსაფრთხო მეზობელია, რადგან რუსეთზე მის დამოკიდებულებას აშშ-ის გავლენა თითქმის ნულამდე დაჰყავს. მაგრამ ირანის გავლენა ამ ქვეყანაში რუსეთისას ვერ შეედრება, რის გამოც ირანი აქ რუსეთის ინტერესების მხარდაჭერით კმაყოფილდება. რაც შეეხება საქართველოს, ის ირანს არც თავისთავად უქმნის უშუალო საფრთხეს და არც აშშ-ის მეშვეობით, რადგან საქართველო-რუსეთის ომის შემდეგ საქართველოს ტერიტორიიდან აშშ-ის სამხედრო კამპანია ირანის წინააღმდეგ ნაკლებად სავარაუდოა. ეს საფრთხეები განეიტრალებულია (ყოველ შემთხვევაში, მოცემულ მომენტში მაინც), რის გამოც ირანის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ საკმაოდ რბილია. რეგიონში გავლენის გაძლიერების თვალსაზრისით, ირანისთვის სამივე ქვეყანა საინტერესოა, თუმცა აშკარაა, რომ აზერბაიჯანი, ამ მხრივ, პირველ ადგილზეა.

ეს არჩევანი ლოგიკურია, რადგან ის ისლამისტური პროპაგანდის გაჩაღების საშუალებას იძლევა. როგორც უკვე ითქვა, ამ მხრივ რაიმე საგრძნობი წარმატებისათვის ირანს ჯერ არ მიუღწევია, თუმცა ეს პოზიცია მრავლისმეტყველია და ირანს წარმოაჩენს, როგორც ამბიციურ რეგიონულ სახელმწიფოს, რომელსაც ნათლად ჩამოყალიბებული სამომავლო გეგმები აქვს.

ავტორის შესახებ:
პროფესორი თორნიკე შარაშენიძე GIPA-ს საერთაშორისო საქმეთა სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელია.

თურქეთის კავკასიური პოლიტიკა ანკარის ახალი საგარეო პოლიტიკის ჩარჩოებში

ნიგარ გოქსელი, სტამბული

რეზიუმე

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში თურქეთი დასავლეთისგან დისტანცირების, მეზობელ რეგიონებზე ყურადღების გამახვილებისა და ისლამური ფაქტორის გამოყენების მეშვეობით ცდილობს, რეგიონულ ეკონომიკურ ზესახელმწიფოდ და ენერგეტიკულ გამანაწილებელ ცენტრად იქცეს და გაამრავალფეროვნოს თავისი საგარეო პოლიტიკა. ბოლო ათი წლის განმავლობაში თურქეთის საგარეო პოლიტიკისათვის კავკასიაზე უფრო მნიშვნელოვანი ახლო აღმოსავლეთია, რადგან მას დანარჩენი მსოფლიოც შედარებით მეტ ყურადღებას აქცევს. თურქეთის მოკავშირეებს როგორც დასავლეთში, ისე საქართველოში, რუსულ-თურქული ურთიერთობების გაუმჯობესებამ იმედები გაუცრუა. თურქეთის ხელმძღვანელობამაც სამომავლოდ გადადო სომხეთთან მოლაპარაკება, რადგან, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ მხრივ გადადგმული ნაბიჯები როგორც აზერბაიჯანში, ისე საკუთარ ქვეყანაში უკმაყოფილების მიზეზი გახდა. თურქეთმა კავკასიას ზურგი კი არ უნდა შეაქციოს, არამედ უფრო თანმიმდევრული და ხანგრძლივ პერსპექტივაზე გათვლილი პოლიტიკა უნდა გაატაროს, რაც თავისი მიზნების განხორციელების საშუალებას მისცემს. ეს მიზნები კი საზღვრების ღიაობა, კონფლიქტების მოგვარება, რბილი ძალის გამოყენება და ქვეყნების ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულებაა.

თურქეთის პოლიტიკის მიზნები

ბოლო წლების განმავლობაში თურქეთის საგარეო პოლიტიკური დისკურსი მსოფლიო არენაზე თურქეთის სტრატეგიული ძლიერების გაზრდის მიზნით მრავალგანზომილებიანი და აქტიური პოლიტიკის გატარებისკენაა მიმართული. ამ კონტექსტში ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა თურქეთისათვის ტრადიციად ქცეული პოლიტიკის – დასავლეთ ევროპასა და შეერთებულ შტატებზე „გადაჭარბებული ყურადღების გამახვილების“ – „გამოსწორებაა“. თურქეთის ლიდერების აზრით, მათი ქვეყანა თავის პოტენციალს სრულად ვერ იყენებს, რადგან დასავლეთზეა კონცენტრირებული და მეზობელ რეგიონებს – ევრაზიას, ახლო აღმოსავლეთსა და აფრიკას – სათანადო ყურადღებას არ უთმობს.

დასავლეთზე ტრადიციული სწორება, ბუნებრივია, ართულებდა თურქეთის ურთიერთობებს ირანისა და რუსეთის მსგავს ქვეყნებთან და ამ უკანასკნელთ თურქეთის საწინააღმდეგოდ თანამშრომლობისა და მისი სტრატეგიული ძლიერების შეზღუდვისაკენ უბიძგებდა. ამგვარ ორიენტაციასთან აშკარად არის დაკავშირებული ის აღიარებული ფაქტი, რომ მეზობლებთან დაპირისპირება თურქეთს ძალას ართმევს და პოტენციალის გამოყენებაში ხელს უშლის. ამ მოსაზრებასვე ეფუძნება გაცხადებული ლოზუნგი: „არავითარი პრობლემები მეზობლებთან!“ თურქეთის საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელ პრინციპად თურქეთის ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებისათვის მეზობლების მოტივაციის შემცირება იქცა. თურქეთის 2009 წლის ინიციატივა სომხეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციის შესახებ ასევე ამ მოსაზრებას ემყარება.

რეგიონში განვითარებულმა და დასავლეთისათვის წარუმატებლობად მიჩნეულმა მოვლენებმა, მაგალითად, იმან, რომ აშშ-მა აქ გადამწყვეტი როლის შესრულება, ევროკავშირმა კი უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ საკითხებზე გაერთიანება ვერ მოახერხა, თურქეთში იმ აზრის მომწიფებას შეუწყო ხელი, რომ დასავლური ორიენტაციის „დივერსიფიკაცია“ აუცილებელია. თურქეთი უკვე აღარ მოქმედებს როგორც ტრანსატლანტიკური ბლოკის გაგრძელება, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როცა რუსეთის ინტერესებთან შეჯახება გარდაუვალია. ეს ნათლად გამოჩნდა 2005 წელს, როცა ანკარა წინ აღუდგა აშშ-ის წინადადებას ნატო-ს ხმელთაშუა ზღვის ოპერაცია Active Endeavor შავ ზღვაზეც გაევრცელებინათ.

დასავლეთთან კავშირების შეზღუდვასა და მეზობლებთან პრობლემების მოგვარებასთან ერთად, ანკარა ცდილობს გავლენა რეგიონში მაქსიმუმამდე გაზარდოს და მისი ეკონომიკური და ენერგორესურსების გამანაწილებელი ცენტრი გახდეს, ხოლო ამისათვის რბილი ძალის (soft power) სახით ისლამი გამოიყენოს.

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა

დიაგრამა 1: მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება (ბრუტო) 1993-2010 წწ.



წყარო: Caucasus Research Resource Centers. “Caucasus Barometer 2009 and 2010”. იხ.: http://www.crrccenters.org/caucasusbarometer/

გრაფიკი 2: სომხეთის ეკონომიკისათვის თურქეთთან საზღვრების გახსნა იქნება... (%)



წყარო: Caucasus Research Resource Centers. “Caucasus Barometer 2009 and 2010”. იხ.: http://www.crrccenters.org/caucasusbarometer/

გრაფიკი 3: სომხეთის ეროვნული უსაფრთხოებისათვის თურქეთთან საზღვრების გახსნა იქნება... (%)



წყარო: Caucasus Research Resource Centers. “Caucasus Barometer 2009 and 2010”. იხ.: http://www.crrccenters.org/caucasusbarometer/

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა

გრაფიკი 4: თურქეთის მოსახლეობის დამოკიდებულება სომხეთისადმი... (%)



წყარო: Caucasus Research Resource Centers. "Caucasus Barometer 2009 and 2010" იხ.: http://www.crrccenters.org/caucasusbarometer/

გრაფიკი 5: სომხეთის მხარდაჭერა თურქეთის ევროკავშირის წევრობისადმი (%)



წყარო: Caucasus Research Resource Centers. "Caucasus Barometer 2009 and 2010" იხ.: http://www.crrccenters.org/caucasusbarometer/

გრაფიკი 6: საქართველო: უნდა გახდეს თუ არა თურქეთი ევროკავშირის წევრი? (%)



წყარო: Caucasus Research Resource Centers. "Survey of Knowledge and Attitudes toward the EU in Georgia (2011)". იხ.: http://www.crrccenters.org/caucasusbarometer/

თურქეთის საგარეო პოლიტიკის უმთავრესი ამოცანა თურქეთის ეკონომიკური ზრდა და ქვეყნის ბიზნესის ინტერესების დაცვაა. თურქეთის მთავრობა მეზობლებთან პოლიტიკური ურთიერთობების გამყარებას თურქული ბიზნესისათვის უკეთესი ეკონომიკური პირობების შექმნის მიზნით ესწრაფვის. თურქეთის რბილ ძალას უვიზო მიმოსვლის რეჟიმები, თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები და მსგავსი ზომები უმაგრებს ზურგს. კავკასიაში ანკარა ყურადღებას, ძირითადად, ორ უმსხვილეს ეკონომიკურ მოთამაშეს, რუსეთსა და აზერბაიჯანს უთმობს.

საქართველოსთან ურთიერთობებიც ორივე ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის მაქსიმალური გამოყენებისაკენაა მიმართული. ამ მხრივ ანომალიურია სომხეთის მდგომარეობა, რადგანაც მასთან ეკონომიკური ურთიერთობები ჩაკეტილი საზღვრისა და დიპლომატიური ურთიერთობების არქონის გამოა შეზღუდული. ვინაიდან აღმოსავლელი მეზობლების უმრავლესობაში ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლება ავტორიტარული რეჟიმების ხელშია, ეკონომიკური დივიდენდების მისაღებად თურქეთმა დემოკრატიის დეფიციტის გამო ამ ქვეყნების კრიტიკა საგრძნობლად შეამცირა.

ეკონომიკური ინტერესების მქონე ჯგუფების გარდა ანკარის საგარეო პოლიტიკაზე ზოგადად და მათ შორის, მის კავკასიურ კურსზე გავლენას საზოგადოებრივი აზრიც ახდენს. აზერბაიჯანის მიმართ თურქეთის მოსახლეობის სიმპათიებმა და სომხეთთან შერიგებისაკენ ლიბერალური ამომრჩევლების საწინააღმდეგო მისწრაფებამ თურქეთის ძალისხმევა თავიდანვე არათანმიმდევრული გახადა ამ ქვეყანასთან ურთიერთობების ნორმალიზების სფეროში. საქართველოსა და რუსეთის მიმართ ანკარის რიტორიკასა და პოლიტიკაზე გავლენას ქვეყნის შიგნით არსებული ლობისტური ჯგუფები, მათ შორის, ჩრდილოკავკასიური და აფხაზური დიასპორებიც ახდენენ.

თურქეთის მთავრობა ყარაბაღის კონფლიქტში დაზარალებული აზერბაიჯანელების გაჭირვებას გაგებით ეკიდება. ეს ხალხი თურქეთისთვის მსხვერპლია, რომელსაც „დასავლეთი" ყურადღებას არ აქცევს. მიუხედავად იმისა, რომ ყარაბაღს ნაკლები ყურადღება ექცევა, ვიდრე სხვა ისეთ აშკარად „მუსლიმურ პრობლემებს", როგორიცაა პალესტინის საკითხი, აზერბაიჯანის მხარდაჭერა მთავრობას აზერბაიჯანელი და თურქი ამომრჩევლების მხარდაჭერის მოპოვებაში ეხმარება. მაგრამ იმ შემთხვევებში, როცა ამგვარი იდეალიზმი შეიძლება თურქეთის ინტერესების საწინააღმდეგო აღმოჩნდეს ან საშინაო პოლიტიკაში საკმარისად ღირებული დივიდენდები არ მოიტანოს, ღირებულებებზე დაფუძნებული დისკურსი დავიწყებას მიეცემა ხოლმე.

ბოლო ათი წლის განმავლობაში თურქეთის კავკასიური პოლიტიკის მთავარი მახასიათებელი ისაა, რომ ანკარის

საგარეო პოლიტიკურ აქცენტებსა და ქმედებებში კავკასია მეორეხარისხოვანია ახლო აღმოსავლეთთან/აფრიკასთან და ევროპასთან შედარებით (2005 წლის შემდეგ ამ უკანასკნელის მნიშვნელობაც მცირდება). ის, რომ ანკარა კავკასიას შედარებით უყურადღებოდ ეკიდება, სხვადასხვა ფაქტორით აიხსნება. საერთაშორისო დონეზე არაბულ სამყაროში მომხდარ აჯანყებებს ბევრად მეტი ყურადღება ექცევა, ქვეყნის შიგნით 2002 წელს ხელისუფლების სათავეში მოსულ პოლიტიკურ გუნდს კი კავკასიაში ან ამ რეგიონთან კავშირებში განსაკუთრებული ინტერესი არ ჰქონია.

2008 წლის შემდეგ თურქეთის კავკასიურმა ინიციატივებმა თურქეთის ახალი საგარეო პოლიტიკის რეალური განხორციელების დროს წამოჭრილი პრობლემები წამოსწია წინა პლანზე. ბოლო რამდენიმე შემთხვევაში თურქეთი კავკასიაში თითქოს იმპროვიზაციას მიმართავდა, რამაც მეთვალყურეებს ეჭვი გაუჩინა, რომ მისი ტაქტიკური ნაბიჯები ნათლად ჩამოყალიბებულ გრძელვადიან ხედვას არ ემყარებოდა და ქვეყანა უბრალოდ მოკლევადიანი მიზნების საფუძველზე მოქმედებდა.

იმპულსური ქმედებები

თურქი დიპლომატები ხაზგასმით აცხადებენ, რომ თურქეთის მიზანი ყველა მეზობელთან ურთიერთმომგებიანი ურთიერთობების ჩამოყალიბებაა, მაგრამ კონფლიქტებში ან ერთმანეთთან სტრატეგიულ პაექრობაში ჩართული მეზობლებისათვის ამგვარი მიდგომა მათ სტრატეგიულ ინტერესებს ეწინააღმდეგება, რაც თურქეთს, როგორც სტრატეგიულ პარტნიორს, ღირებულებას უკარგავს.

ამ შეუსაბამობამ თურქეთ-რუსეთის ურთიერთობების განვითარების დროსაც იჩინა თავი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თურქეთის „ტრადიციული ევროპელი მოკავშირეებისათვის“ მისი ღირებულება იმით განისაზღვრებოდა, რომ ქვეყანას საკვანძო მდებარეობა ჰქონდა და შეეძლო რუსეთისა და ირანის საპირწონე გამხდარიყო. ამდენად, თურქეთის ახალმა საგარეო პოლიტიკამ ქვეყნის სტრატეგიული როლის შესახებ კითხვები წარმოშვა. ამასთან, იმ ფაქტმა, რომ თურქეთმა შავ ზღვაში რუსეთისათვის გამაღიზიანებელ სტრატეგიულ გეგმებზე უარი თქვა, და ანკარის სურვილმა ენერგომატარებლების ტრანზიტის რუსულ გეგმებში მიიღოს მონაწილეობა, რაც საზოგადოდ ევროპაში სხვა წარმომავლობის ნახშირწყლების მიწოდების საწინააღმდეგო ნაბიჯად განიხილება, ევროპასა და კავკასიაში შეშფოთება გამოიწვია.

რუსეთ-საქართველოს ომმა ნათლად დაგვანახა, თუ რამდენად სარისკოა თურქეთის პოზიცია რუსეთის მზარდი აგრესიულობის ფონზე. ომის დროს ანკარა ჩრდილში დარჩა და რუსეთის მიმართ უფრო რბილი პოზიცია დაიჭირა, ვიდრე ამას დასავლეთში საქართველოს გულშემატკივრები ელოდნენ. თურქეთის მიერ დიდი ენთუზიაზმით (სწორედ მოსკოვში) გამოცხადებულმა კავკასიაში სტაბილურობისა და თანამშრომლობის პლატფორმამ დაგვანახა, თუ რამდენად დაშორებულია თურქეთი რეგიონში არსებულ რეალობას. თუმცა ინიციატივაში დახატული ჩარჩოები და წამოყენებული მოსაზრებები შეიძლება გრძელვადიან პერსპექტივაში მიმზიდველი იყოს, მალევე გამოჩნდა წინააღმდეგობები, რომლებიც მის პრაქტიკულ განხორციელებას ხელს უშლის.

კავკასიაში თურქეთის საგარეო პოლიტიკური ხედვის განხორციელების თაობაზე წინააღმდეგობრივი მოსაზრებები 2009 წელს თურქეთ-სომხეთის მოლაპარაკებების დაწყებამაც წარმოშვა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის დაწყებულმა ყარაბაღის ომმა ისტორიულად ისედაც დაძაბული სომხეთ-თურქეთის ურთიერთობები კიდევ უფრო გაამწვავა, რის გამოც ანკარამ სომხეთთან საზღვარი ჩაკეტა და მასთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებაზეც უარი თქვა. თურქეთ-სომხეთის საზღვრის გახსნის პერსპექტივა ჩიხში შესული ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარებაში სომხეთისათვის სავარაუდოდ უმნიშვნელოვანესი სტიმული იქნება. აქედან გამომდინარე, ორმხრივი ურთიერთობების მოგვარების (დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების, საზღვრის გახსნისა და ურთიერთობების შემდგომი განვითარების მიზნით კომისიების შექმნის) მცდელობამ თურქეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობებში ბზარები გააჩინა.

ამ ინიციატივას თავიდანვე მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები ჰქონდა. იმის გათვალისწინებით, რომ ყარაბაღის კონფლიქტი ამჟამად ჩიხშია შესული, სტრატეგიულად, ეკონომიკურად და საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით, თურქეთის მთავრობისათვის სომხეთთან საზღვრის გახსნა მომგებიანი არაა. ანკარის ორაზროვანი და ურთიერთსაწინააღმდეგო განცხადებები მის პოზიციებს ერევანშიც ასუსტებს და ბაქოშიც. მეტიც, იმის ნაცვლად, რომ თურქეთში საზოგადოებრივი აზრი თავიდანვე შეეფასებინა და ეცვალა, მთავრობამ ამ ინიციატივის წინააღმდეგ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას ხელი არ შეუშალა და ხალხისგან მხარდაჭერის მისაღებად არავითარი ზომები არ გაატარა. სომხეთთან ურთიერთობების ნორმალიზაციის თაობაზე ინიციატივის გამოცხადებიდან ექვსი თვის თავზე ბაქოსთან ურთიერთობების დაძაბვისა და თურქული საზოგადოების რეაქციის ფონზე თურქეთის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ამ პროცესის ბოლომდე მიყვანას მხოლოდ იმ შემთხვევაში აპირებდნენ, თუ ბაქო და ერევანი მთიანი ყარაბაღის თაობაზე შეთანხმებას მიაღწევდნენ. ამით ამ გახმაურებული ინიციატივის განხორციელება, ფაქტობრივად, გაურკვეველი ვადით გადაიდო.

ამ შემთხვევაში არა მხოლოდ მეზობლებთან „ნულოვანი პრობლემების“ პოლიტიკის განხორციელების ხელისშემშლელი ფაქტორები გამოჩნდა, არამედ პროცესში ორივე მხარის დიპლომატებისა და საზოგადოებების უფრო ღია ჩართვის, მათთვის პერსპექტივების თავიდანვე განმარტებისა და მხარდაჭერის ეფექტური მობილიზაციის საჭიროებაც. ისეთი ინიციატივების წამოყენების ნაცვლად, რომელთა ბოლომდე მიყვანა ნაკლებად სავარაუდოა, ანკარამ თავისი ინიციატივები უფრო გულდასმით უნდა მოამზადოს და მათი განხორციელება დროზე ადრე არ უნდა დაიწყოს. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ მისი პოლიტიკის ზოგიერთი მოკლევადიანი მიზანი, კავკასიაში არსებული სიტუაციის გათვალისწინებით, ურთიერთგამომრიცხავი ხასიათისაა.

გრძელვადიანი პროექტები

2008-2010 წლებში თურქეთის გახმაურებულმა მცდელობებმა, კავკასიის ჩიხში შესული კონფლიქტები გადაეწყვიტა, ვერ იმუშავა. მას შემდეგ თურქეთმა ყურადღება ძირითადად ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაზე გადაიტანა. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ახლო მომავალში თურქეთმა კავკასიაში დინამიკის შეცვლის კიდევ ერთ გახმაურებულ მცდელობას მიმართოს.

ამასთან, თურქეთმა უნდა იმუშაოს უფრო გრძელვადიან მიდგომაზე, რომლის მიზანი კავკასიის იმგვარი განვითარება იქნება, რომ თურქეთს შესაძლებლობას მისცემს თავისი პოლიტიკური მიზნების, ანუ საზღვრების გახსნის, კონფლიქტების მოგვარების, რბილი ძალის გამოყენებისა და ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების მიმართულებით დაიწყოს მუშაობა. მოკლედ, ანკარამ უნდა დაგეგმოს პირველი ნაბიჯები, რომლებიც კავკასიის ქვეყნებში ნდობის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს და პოლიტიკურ დებატებზე იქონიებს ზეგავლენას.

ძირითადი თურქული მედიასაშუალებებისა და რეგიონის პრობლემებზე მომუშავე თურქი ანალიტიკოსების დაუინტერესებლობა საქართველოში მომხდარი ვარდების რევოლუციითა და მის შემდეგ განხორციელებული რეფორმებით და მათ მიმართ ცინიკური დამოკიდებულება ნათლად გვიჩვენებს, თუ რამდენად შორს დგას თურქეთი რეგიონში დემოკრატიზაციის შესახებ მიმდინარე დებატებისაგან. თუმცა კავკასიაში მმართველობის სწორი პრინციპების გამოყენება და ღია საზოგადოებების ჩამოყალიბება თურქეთის ინტერესებს შეესაბამება. საბოლოოდ სწორედ ვარდების რევოლუციის შედეგად განხორციელებულმა რეფორმებმა მისცა თურქეთს მისთვის საჭირო პოლიტიკის გატარების საშუალება, მაგალითად, საქართველოსთან უვიზო რეჟიმის შემოღება და თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების დადება. დასავლური დემოკრატიის განვითარების ინიციატივებისადმი სკეპტიკურმა დამოკიდებულებამ და სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევის შიშმა ხელი არ უნდა შეუშალოს თანმიმდევრულ დისკურსს, რომლითაც ანკარა კავკასიაში დემოკრატიის განვითარებას სათანადოდ შეაფასებს და ხელს შეუწყობს.

კავკასიაში თურქეთის წონას ქვეყნის შიგნით დემოკრატიის თანმიმდევრული განვითარება და მეზობლებისათვის მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის უფრო ნათლად კომუნიკაციაც გაზრდის. გაძლიერდება თურქეთის ლეგიტიმურობა, მისი დასავლური მანდატი და რბილი ძალა. მაგალითად, ისეთი შორსგამიზნული და გრძელვადიანი ინიციატივები, როგორიცაა სკოლის სახელმძღვანელოებში ანატოლიის სომხეთის ისტორიის განსხვავებული ენით აღწერა და პოლიტიკური განცხადებების უფრო ფრთხილი გამოყენება, უფრო დადებითი შედეგების მომტანი იქნება, ვიდრე ხმაურიანი და ერთჯერადი წინადადებები შერიგების თაობაზე, რაც სომხეთში მხოლოდ ცინიკურ დამოკიდებულებას იწვევს.

და ბოლოს, უნდა ითქვას, რომ რუსეთთან კარგი ურთიერთობები თურქეთის ეროვნულ ინტერესებს ამჟამად მართლაც მრავალი თვალსაზრისით შეესაბამება, თუმცა აუცილებელია, რომ თურქეთის ინტელექტუალებმა და პოლიტიკოსებმა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების ოპტიმალური სიღრმე და მასშტაბები კრიტიკულად შეაფასონ.

HEINRICH BÖLL STIFTUNG
სამხრეთ კავკასია

სტატია მომზადებულია ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის მხარდაჭერით. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამოხატავდეს ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის შეხედულებებს.

ავტორის შესახებ:
ნიგარ გოქსელი Turkish Policy Quarterly-ს მთავარი რედაქტორია.

ხმამაღალი დუმილი

ანა დოლიძის ბლოგი

ერთი მოხუცი ნაცნობი ამბობდა, რომ ადამიანები ქუჩაში სიარულისას ვუფრთხით და ვუყურებთ ხმაურიან მანქანებს, ვაკვირდებით მშენებლობებს და შინაგანად ვტუქსავთ მოჩხუბარ მყვირალა ახალგაზრდებს, მაგრამ ვერ ვამჩნევთ, თუ როგორ ჩუმად და უბრძოლველად კვდებიან ქუჩაში მწკრივად ჩალაგებული ხეები.

ქართულ მედიაშიც ბევრ რამეს აქცევენ ყურადღებას. წერენ აკაკი ბობოხიძის მუშტი-კრივზე, ბიძინა ივანიშვილთან მივარდნილ მყვირალა გოგონებზე, პრეზიდენტის ტყუილებზე, დაჭერებზე, ცემაზე... მოკლედ, წერენ ყველაზე და ყველაფერზე, რასაც ხმით, განსხვავებულობით და ძალით ყურადღების მიქცევა შეუძლია. მაგრამ იშვიათად წერენ სიჩუმეზე. იმ სიჩუმეზე, რომელიც უუფლებობის და უსუსურობის განცდას მოაქვს, და იმ ადამიანებზე, ვინც ყვირილის, მუშტი-კრივის, კამერების ყურადღებას დაჩვეული ექსცენტრიულობის გარეშე ცდილობენ გადარჩენას. სინამდვილეში კი, ხშირად, მათი მდუმარე ყოფა ყველაზე უფრო შემზარავია.

სომალელი მეკობრეების ტყვეობაში მყოფი 15 ქართველი მეზღვაური სწორედ რომ ის თემაა, რომელიც ძალზედ იშვიათად, ისიც შემთხვევით ხვდება ჩვენს თვალსაწიერში. 15 ქართველი მამაკაცი, ერთ წელზე მეტია ტყვეობაშია, ისინი საკუთარი ოჯახების გარდა არავის ახსოვს.

ახლახან გავრცელებულ ვიდეოში ისინი თავჩაქინდრულნი, მდუმარედ სხედან, არც ყვირიან და არც რამეს იხვეწებიან, თითქოს იციან, რომ რაიმეს თხოვნას აზრი არ აქვს. როგორც ჩანს, საქართველოს სახელმწიფოს ისინი არ აინტერესებს. ხოლო სახელმწიფოს ჩარევის გარეშე მათი უფლებები, ჯერემი ბენთამის სიტყვებისა არ იყოს, „მხოლოდ ქუსლებზე შემომდგარი სისულელეა“.

მეორე მსოფლიო ომის დროს დახოცილ ებრაელებზე არენდტი წერდა: „წერენ, რომ ადამიანის უფლებები განუყოფელია, რადგანაც მათი დაცვა არ უნდა იყოს დამოკიდებული რომელიმე ხელისუფლებაზე. თუმცა აღმოჩნდა, რომ როცა ადამიანებს ზურგს საკუთარი სახელმწიფო არ უმაგრებს და ისინი მხოლოდ ადამიანის უფლებების ცნების ამარა რჩებიან, მათ დაცვას და ხელშეუხებლობის უზრუნველყოფას ვერავინ ახერხებს“.

შეიძლებოდა ვინმეს, ხელისუფლების მიღმაც, გულთან ახლოს მიეტანა ამ 15 უბედური ადამიანის და მათი ოჯახების ამბავი, მოეხდინა საზოგადოებრივი ყურადღების მობილიზაცია, შეეწუხებინა გავლენიანი მეგობრები, ან ეცადა ამ საკითხის გადაჭრის მოთხოვნით საინფორმაციო სივრცის გარღვევა. ბოლო-ბოლო, სომალელი მეკობრეებისაგან ამ ადამიანების დახსნას არც ჰიროშიმას დაბომბვა უნდა ჭირდებოდეს და არც ბომბეიდან ლონდონამდე გვირაბის გაყვანა. მით უმეტეს, რომ მათთან ერთად თურქი მოქალაქეებიც არიან, რის გამოც თურქეთთანაც შეიძლებოდა მოლაპარაკებების წარმოება.

საქართველოში ბევრი აღივსებოდა თანაგრძნობით, დაინტერესდებოდა მათი ბედით და ამ ხალხის გადარჩენის სურვილით გააქტიურდებოდა. თუმცა ამისათვის აუცილებელია, ამ ადამიანების ტყვეობის და მძიმე ყოფის ამბავმა უფრო ფართო წრეებამდე მიაღწიოს. საკუთარი ოჯახის და ნათესაობის გარდა სხვებიც უნდა შეწუხდნენ მათი ყოფის გაუსაძლისობით და ერთი წამით მაინც წარმოიდგინონ საკუთარი თავი მეკობრეთა მონობაში.

ამისათვის აუცილებელი იქნება, ქართული ტელევიზიებიდან მომავალი ფუჭი კაკაფონია ერთი წამით მაინც დადუმდეს და იმ ადამიანებისათვის გამოჩნდეს სივრცე, ვინც არც ხტუნავენ, არც ვინმეს ცემენ და არც ყვირიან. ვიდეოში ნაჩვენები თხუთმეტი ქართველი თავჩაქინდრული მამაკაცი ხომ დუმს, მაგრამ წამიერად რომ დააკვირდეთ, ისინი დუმან იმ სევდიანი სიჩუმით, რომელიც ყველაზე უფრო ხმამაღალია.

ბავშვებს! ბავშვებს!

კახა თოლორდავა
ჟურნალისტი

ამაზე ლაპარაკი შეიძლება მართლაც ძალიან ადრე იყოს, მაგრამ მაინც ღირს, რადგანაც მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში უკვე გაასკეცებული ინტენსივობით საუბრობენ ისეთი ქალაქების მოწყობაზე, რომლებიც ბ ა ვ შ ვ ე ბ ი ს ა დ მ ი მეგობრულად იქნება განწყობილი.

„უუჰ, მართალც რომ ადრეა!“ – ამოიოხრებს ჩემი საუკეთესო მეგობარი, „ჭეშმარიტი ქართველი“ და სინანულით გააქნევს თავს. მის სიტყვებზე მე ერთი ბრმა არგენტინელის სიტყვებს გავიხსენებ, – „ჩვენ იმდენად დაცლილნი ვართ სიმამაცისგან და რწმენისგან, რომ ნებისმიერ ბედნიერ ფინალში მასების გემოვნების დასაკმაყოფილებლად უხეშად შეთითხნილ წაქეზებას ვხედავთ. ჩვენ ვერ ვიჯერებთ სამოთხის არსებობას, უფრო ნაკლებად კი – ჯოჯოხეთის“, – და მეც სინანულით გადავაქნევ თავს, რადგანაც საკმარისია, გაეცნო დაინტერესებული და საზრიანი ადამიანების მიერ შემოთავაზებულ, ბავშვებისადმი მეგობრულად განწყობილი ქალაქების მოწყობისათვის აუცილებელ კომპონენტებს და გული უმალ ბედნიერი ფინალისკენ გაგიწევს. ბედნიერი ფინალი კი წრეს კრავს და გულისხმობს ამგვარი ქალაქის შესაქმნელად მოღვაწეობას.

ზოგადად, მეგობრულად განწყობილი ქალაქი ბავშვებს საშუალებას უნდა აძლევდეს, ქალაქთან დაკავშირებულ საკითხებზე აზრი გამოხატონ; მათ უნდა შეეძლოთ სოციალურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის მიღება; გარანტირებული უნდა ჰქონდეთ ჯანდაცვა, განათლება და თავშესაფარი; ისინი უნდა სვამდნენ სუფთა წყალს და იღებდნენ სუფთა საკვებს; უნდა იყვნენ დაცულები ჩაგვრისგან და ძალადობისგან; უნდა შეეძლოთ საკუთარი ქალაქის ქუჩებში თავისუფლად სიარული; უნდა ცხოვრობდნენ დაუბინძურებელ გარემოში და იყვნენ თანაბარი მოქალაქენი საკუთარ ქალაქში. ეს კომპონენტები, უფრო სწორად, ნაწილი კომპონენტებისა, უბრალოდ იმიტომ ჩამოვთვალე, რომ ამ კუთხით კიდევ ერთხელ გადავხედოთ თბილისს და საქართველოს სხვა ქალაქებსაც

ფოტო: ლევან მესხი

და გულახდილი პასუხი გავცეთ შეკითხვაზე, – რამდენ კომპონენტს ვაკმაყოფილებთ? სხვათა შორის, მინდა ვაღიარო, რომ ჩვენ ნამდვილად არ ვართ ყველაზე, ყველაზე უარესნი ამ თვალსაზრისით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მთავარს, – დაუბინძურებელ გარემოს; ეს კი ბედნიერი ფინალისგან შორს გვამყოფებს.

ქალაქში სიარულისას ზოგჯერ ბავშვის თვალით ვცდილობ დავინახო ხოლმე თბილისის ქუჩები და ამ დროს, რა თქმა უნდა, ნამდვილად არ ვფიქრობ ზემოთ ჩამოთვლილ კომპონენტებზე; უბრალოდ, ვიხსენებ საკუთარ ბავშვობას და ვცდილობ, შევიგრძნო ქუჩები ისე, როგორც ბავშვობისას. მე არ ვგულისხმობ შაბათ-კვირაობით მთელი ოჯახებით გასასვლელ ადგილებს, მთაწმინდის პარკს, კინოებს, ზოოპარკს და ასეთ რამეებს, არამედ ზოგადად ქალაქს, მის ქუჩებს, ეზოებს, პროსპექტებს, ტრანსპორტს, ყველაფერს... რას აკეთებს ქალაქი იმისთვის, რომ ბავშვები მოხიბლოს, გააოცოს და სიზმრებში დაანახოს თავი? აირჩიეთ ნებისმიერი მარშრუტი ქალაქში, იქეცით ბავშვად და გაიარეთ ეს მარშრუტი, ოღონდ ტურისტულ უბნებს მოერიდეთ თუ შეიძლება, ისინი მოზრდილი ბავშვებისთვისაა, მათთვის, ვისაც უნდა რომ ქალაქმა ის მოატყუოს. არა, ამის მაგივრად აირჩიეთ ყოველდღიური მარშრუტები და ძალიან ადვილად შეიგრძნობთ, რომ თბილისს ასეთი ხ ე დ ვ ა და მიდგომა აკლია. ეს ასაკოვანი ადამიანის ნოსტალგიური გამოხდომა არ გეგონოთ, – მე არ ვცდილობ იმის თქმას, რომ ჩემს ბავშვობაში ყველაფერი უფრო კარგად იყო, ვიდრე ახლა. ბოლოს და ბოლოს, ყველა ბავშვი, ვისაც მცირეოდენი ფანტაზია გააჩნია (და ბავშვები სწორედ ამით გამოირჩევიან) თვითონ მოახერხებს ქალაქის „გაფერადებას“ და მისთვის საინტერესო ფრაგმენტებად დანაწევრებას.

ჩვენ კი, დროა, ნელ-ნელა შევუდგეთ იმაზე ფიქრს, თუ როგორ ქალაქში ცხოვრება გვინდა შევთავაზოთ მათ და ამაში შედის ყველაფერი ზემოთჩამოთვლილი – საკვები, ჰაერი, უფლებები... და ამაზე ლაპარაკი ა დ რ ე არასოდეს არაა. იმედი მაქვს, რომ მეთანხმებით.

FM 101.9
WWW.RADIOKALAKI.GE
რადიოქალაქი წარმოგიდგენთ
ყოველ სამუშაო დღეს
17:30
გადაცემას
დღის ბიზნეს სტუმარი
მაია ჯავახიშვილთან ერთად



WWW.LIBERALI.GE